ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლიტერატურული საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

25 ოქტომბერი 2024წ. №14 (4092) გამოცემის 93-ე წელი ფასი 2 ლარი


დათო მაღრაძე

## მერვე დღე

*...ასე მოიქეცი ხბოსა და ბატკნის*
*შემთხვევაშიც: შვიდი დღე დატოვე დედასთან,*
*მერვე დღეს კი მე მომიძღვენი.*
*გამოსვლა 22.30*

ვერავინ ვერასდროს ვერაფერს მოასწრებს, –
რა გრანტიც არ უნდა გამოყოს ენჯეომ,
თუ ჩემი არ გჯერათ,
მიმართეთ მონასტერს,
სადაც დრო უძრავად დამდგარა დოინჯით.
ვერაფერს მოასწრებს ვერასდროს ვერავინ,
გარდა იმ ფიქრის, რომ
ვერ ასწრებს ვერაფერს...
ასეა ცხოვრება, ფრანგულად – C'est la vie,
ან ჰკითხეთ ფსიქოლოგს,
თუ გნებავთ, თერაპევტს.
ვისაც შურს...
ვისაც სძულს...
ვერაფერს
ვერასდროს
ვერ ასწრებს, რადგანაც უფალი დიდია...
ეს ბიჭი მოკვდეს თუ სხვა ხილვა მენატროს,
მხოლოდ, რაც უხილავ ძაფებზე ჰკიდია.
შორიდან ბეთლემის რომ ისმის არია
და ბერძნულ ფრესკაზე პიესა პიესობს, –
კედელზე იესო არ უმზერს მარიას...
კედელზე მარია არ უმზერს იესოს...
... რაც მუდამ უხილავ ძაფებზე ეკიდა,
რაც მუდამ გამორჩათ პროგრესულ ლუზერებს, –
ნიკალას გმირებიც დუქანის კედლიდან
სუფრასთან ერთმანეთს არასდროს უმზერენ.
– ნიკალა, ვინატრი კიბისქვეშ კელიას!
სულ შენსკენ მოვყავარ გზას სახეტიალოს...
ეგ შენი გმირებიც მლოცველებს ელიან,
და მხოლოდ მლოცველთან
მართავენ დიალოგს.
უორჰოლის მერლინი თვითხიბლით გართული, –
ჩანს თავსამკაული მაღლივი შენობის...
და მაცხოვრებლები სულ ბოლო სართულის
მერლინთან, როგორც ჩანს, არიან შენობით.
და დროულ შეკითხვას:
– ვინ არის მედროვე?..
ვპასუხობ, ვინც ცდილობს, რომ ტრენდმა
ათრიოს,
მედროვე, – ეს ნიშნავს ზეთანამედროვეს,
ან, სიაფანდსა და მგზნებარე პატრიოტს.
როგორც კი ფანჯარას მისწვდება არილი,
იწყება: – პატრია...
– არა, მე! – არა შენ!
არადა, სამშობლოს გემო აქვს მარილის,
ცოტაც და... ლექსსაც და სუფრასაც ამლაშებს.

▶▶ დასასრული მე-2 გვ.

## ვის ვირჩევთ თუ რას ვირჩევთ?!

**ხვალ საპარლამენტო არჩევნებია.**

საქართველოს მოქალაქეები, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, გამოხატავენ თავიანთ პოლიტიკურ ნებას, აირჩევენ ახალ პარლამენტს, რომელსაც დაეკისრება ქვეყნის გაძღოლა მეტად რთულ საშინაო და საგარეო ვითარებაში.

ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნები, რომელიც კი ჩატარებულა სუვერენიტეტის აღდგენის შემდეგ – ამტკიცებენ პოლიტიკოსებიც და ექსპერტებიც, საზღვარგარეთელი პარტნიორებიც და რიგითი ამომრჩევლებიც.

მაგრამ რომელი არჩევნები არ ყოფილა მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი. ნერვიული დაძაბულობისა და უკიდურესი კონფრონტაციის გარეშე არცერთ არჩევნებს არ ჩაუვლია.

გამონაკლისი არც 26 ოქტომბრის არჩევნები იქნება.

ეს არის ჩვენი პოლიტიკური ბედისწერა – ვიცხოვროთ ზღვრული სიტუაციის რეჟიმში. ამას გარკვეულწილად შევეჩვიეთ კიდეც, მაგრამ ვერ ვისწავლეთ საერთო ფსიქოლოგიური წნეხის ატანა და ალბათ ვერც ვისწავლით, თუ რამე არ შეიცვალა.

ასე რომ, ხვალ არჩევნებია.

იმედია, ვიცით, რა არის მთავარი: ვის ვირჩევთ, რას ვირჩევთ თუ რისთვის ვირჩევთ.

იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

იმედია.

ჰოდა, ნუ მოგიშალოთ იმედი, რწმენა და ნერვები.

ხსოვნა

## დარდების შემგროვებელი

### გოდერძი ჩოხელი – 70



უცნაური და ღრმა მწერალია გოდერძი ჩოხელი. მის ნაწარმოებს რომ კითხულობ, ყველაფერი უბრალოდ, მარტივად და გულუბრყვილოდ გეჩვენება, მაგრამ ბოლოში რომ გახვალ, გაოცებული რჩები, იმხელა აზრი და გრძნობა წამოიმართება შენ წინაშე.

მას აქვს თავისი ხედვა და სტილი როგორც მწერლობაში, ისე კინოში.

მან გააცოცხლა მივიწყებული მთა, ჩაგვახედა მთიელი კაცის სულში, მიგვაახლოვა მის ადამიანურ არსთან.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედების არეალი ერთ პატარა ხეობაში ეტევა. გუდამაყარი ჰქვია ამ ხეობას. იმის იქით არ გასულა, ნაბიჯით არ გასცდენია.

თვითონვე წერდა: „ერთი პერიოდი კიდეც მსაყვედურობდნენ, ბიჭო, ისევ გუდამაყარზე წერო? მომინდა, სხვა რალაცაზე დამეწერა, მაგრამ ვერ დავწერე. მერე დავფიქრდი და მივხვდი, სხვა რამეზე რომ ვწერო, მართალი არ ვიქნები. იმაზე უნდა წერო, სადაც დაიბადე და რაც კარგად იცი იმ ადამიანებზე, რომლებმაც შენს სულში ჩაიარეს და ვისაც რა ჩეეძლო, ის დაგიტოვეს - ზოგმა სევდა, ზოგმა სიყვარული. კარგად ამბობს ეგზიუპერი: ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო. მეც ჩემი გუდამაყრიდან მოვდივად და ვწერ ამ გუდამაყარზე".

გოდერძი ჩოხელმა გუდამაყრის ხეობა გადაგვიშალა და წაგვაკითხა როგორც წიგნი, რომელშიც ყველაფერი ხდება, რაც კი რამ მომხდარა ქვეყანაზე ათადანბაბადან ვიდრე დღემდე; მან გუდამაყარში დაინახა მსოფლიოს ჭირ-ვარამი, ადამიანთა სევდა, მათი სულისკვეთება და მისწრაფებანი. მიუახლოვდა ადამიანის სულს და მის ფარულ სიმებს შეეხო. ადამიანი და ბუნება ერთ მთლიანობად დაინახა, როგორც დიდმა ვაჟა-ფშაველამ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ ვაჟამ ბუნებაში დაინახა ადამიანი, გოდერძი ჩოხელმა ადამიანში დაინახა ბუნება.

ის იყო დიდი განცდების შემოქმედი. თავისი პერსონაჟის, გამიხარდაის, მსგავსად დარდებს აგროვებდა. მთელი მისი შემოქმედება მწერლობასა და კინემატოგრაფიაში - ეს არის დარდების „საერთო რვეული", რომელშიც ჩაწერილია ადამიანთა სევდის ფილოსოფია... გაუჭირდა უთვალავი დარდის ტარება, ძალიან გაუჭირდა და, სამწუხაროდ, ადრე დატოვა წუთისოფელი... ყოველთვის გვახსოვს. დღესაც ვიხსენებთ. საიუბილეოდ. 70-ის გახდებოდა.

**ივანე ამირხანაშვილი**

### დაუვიწყარი ჰანგები



მერი დავითაშვილი - 100

გვ. 2

### უჩვეულო საჩუქრები



თამაზ ვასაძე

გვ. 4

### ნელი ტანგო



ნინო დარბაისელი

გვ. 5

### დებიუტი



ანა ტაკაშვილი

გვ. 7

### მიკოლა ბაჟანი - 120



რაულ ჩილაჩავა

გვ. 11

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მერვე დღე

▶▶ პირველი გვერდიდან

მოდერნის კლუბი და საკლუბო საწვერო...
პროგრესის ვაზნები დაზეთილ ლულაში
ჩაანყვეს... ისროლეს...
– ეშმაკმა დასწყევლოს!
და გაჩნდა ჯოკონდას ღიმილზე ულვაში.
ბურჟუას მოუნდა სტიქარიც ეყიდა
და განცდა დაკარგა სერობის ხიფათის,
ჯოკონდას ულვაშზე წამოკრა ფეხი და
წაიქცა ევროპა ნუმპეში სიფათით.
და მაინც იმედის არ მტოვებს ნაწილი,
როდესაც პრადოში შევყურებ მენინებს...
და მორბის ტოლედოს ქუჩაში ყმაწვილი
და ძაფზე გამობმულ მზეს მოარბენინებს.
მინაში ჩაფლული კი არა, არამედ
ზეცის უხილავი იხსნება საბადო,
ვერავინ დაადგენს
განედს და პარამეტრს,
მალერს რომ წარადგენს კლაუდიო აბადო.
ცხოვრების ტალღებში იესომ ბადე რომ
ისროლა, საშველი მიეცათ მონათა
და ასცდა სტიქარი ბურჟუას გარდერობს
და ენდო დიზაინს Chanel-ის მონატანს
...როდესაც ხმა გნვდება სამყაროს გარედან
და უნდა აცხადდეს ნანახი სიზმარი
მკაცრია Dress code-ი
და ისმის კარებთან:
– მათხოვე, თუ ძმა ხარ,
ეგ შენი სტიქარი!
ლექსით თუ,
კვესით თუ,
საბანკო ანაბრით,
ნიკალას ამქარით, თუ კადრით ბრესონის,
რას აღარ ვეცადე, არ დგება არაფრით,
შეიდი დღის ხალხისთვის მერვე დღის სეზონი.
შეიდი დღის ხალხი ხომ
შეიდი დღის ხალხია, –
ვინც ასწრებს ამქვეყნად ვერასდროს ვერაფერს...
მათი ხსნის ძიება ჩემზეც რომ ახია,
ჰკითხეთ ან ფსიქოლოგს,
თუ გნებავთ, თერაპევტს.
შეიდ დღეში ნიადაგ მერვე დღეს ვეძებდი,
წერილიც მივწერე თბილისელ მეგობარს...
სიზმარში მომეცა მერვე დღის რეცეპტი
და ვცდილობ ვუშველო შეიდი დღის ეპოქას.

# „მაჯაშისა შემტყვებარი“

## გამოხმაურება ვანო ჩხიკვაძის პოემაზე

რომც ვცადო, უფრო „ხმადაბლა“ ვერ ვიტყვი – „ლიტერატურული საქართველოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული, „ობოლი ერის“ უნიჭიერესი მწერლის ვანო ჩხიკვაძის მცირე პოემა „ივნისი“ ლირიკული პუბლიცისტიკის ბრწყინვალე ნიმუშია, გულისშემძვრელი პანორამაა, შთამბეჭდავი სურათებითა და ხილვებით დღევანდელობისა, რომელშიც გვიხდება ცხოვრება.

„უსამართლობის მებალე-ცერბერს მემკვიდრეობით დარჩა სამყარო“, წერს პოეტი გაუკუღმართების მცდელობით დაავადებული მსოფლიოს გამო და თავისი უთვისტომო სამშობლოს ხვედრზე, როგორც რუსთაველი ბრძანებს „მაჯაშისა შემტყვებარივით“ ჩაფრენილი და მოფიქრალი მის არითმიულ გულისცემას სუნთქვაშეკრული უსმენს:

*დედა-ღვთისმშობლის მწუხარე სახით,*
*ვინც ხმა ზეციურ ხმებს შეუერთა,*
*მოდი, ობოლი სამშობლო ნახე,*
*ხელგაშვერილი დგას ქაშუეთთან!*
*მაგრამ იმედი მაინც არ ქრება!*
*პოეტი არ აძლევს იმედს ჩაქრობის უფლებას:*
*გავა ზაფხულიც,*
*დრო ერთნაირად*
*აჭკნობს ყვავილს და ახმობს ნარ-ეკალს,*
*ვილაც სამრეკლოს კიბეს აირბენს*
*და შემოდგომის ზარებს დარეკავს.*

*აუნთებს სანთელს მშობელს „უპოვარს“*
*და ხელს კი არა, თავად უჭერო*
*თავის სიცოცხლეს მოუმყუდროვებს,*
*სანთელს სული რომ არ შეუბერონ!“*

„ივნისს“ მხოლოდ თვალებით ვერ წაიკითხავ, მკითხველის გულის კარის თავად შეაღებს!

**გიზო ზარნაძე**



# ღვაწლის დაფასება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აკადემიკოს ანდრია აფაქიძის 110 წლის იუბილე აღინიშნა მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში დიდი ქართველი არქეოლოგის, ისტორიკოსის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის 110 წლის იუბილე აღინიშნა.

საიუბილეო სხდომა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა გახსნა. მან ისაუბრა აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ღვაწლზე ქართული მეცნიერებისა და ისტორიოგრაფიის წინაშე.

ანდრია აფაქიძე იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1967), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1983), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯერ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ხოლო შემდეგ ვიცე-პრეზიდენტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე.

სხდომაზე მოხსენებით — „ანდრია აფაქიძის ცხოვრება და მოღვაწეობა“, გამოვიდა აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ალექსანდრე ნონეშვილი.

ბატონმა ანდრია აფაქიძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიისა და არქეოლოგიის განვითარებაში. მან ფუნდამენტური ნაშრომები შექმნა საქართველოს არქეოლოგიაში. ეს შრომები სპეციალისტებისათვის დღესაც სამაგიდო წიგნებად რჩება. მისი ღვაწლი არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში საერთაშორისო მასშტაბით არის აღიარებული.

საიუბილეო სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ:

ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი, მეუფე დანიელი (დათუაშვილი), პროფესორები: ვახტანგ ჯაფარიძე, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პაატა სურგულაძე.

სხდომის დასასრულს სიტყვა გადაეცა ბატონი ანდრია აფაქიძის შვილიშვილს, ცნობილ პიანისტს დუდანა მაზმანიშვილს, რომელმაც ღვაწლმოსილი მეცნიერის ოჯახის სახელით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას იუბილეს აღნიშვნისათვის მადლობა გადაუხადა.

# დაუვიწყარი ჰანგები

## მერი დავითაშვილი — 100

ასი წელი გავიდა ბავშვების (და არა მხოლოდ ბავშვების) უსაყვარლესი კომპოზიტორის მერი დავითაშვილის დაბადებიდან. ამა წლის 30 მაისს, ამ საიუბილეო თარიღს მიეძღვნა კონცერტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მისი სიმფონიური, ინსტრუმენტული და ვოკალური ჟანრის ნაწარმოებების შესრულებით.

საოცრად დახვეწილი, ფაქიზ გრძნობათა ულამაზესი მიმოქცევის, გულში ჩამწვდომი მუსიკა სააමოდ ჟღერდა დიდი საკონცერტო დარბაზის სივრცეში და აღადგენდა გარდასულ დროთა კავშირს. გაზაფხულის იმ ცრემლიან საღამოს, თითქოს ბუნებაც დასტიროდა მსმენელის ნოსტალგიურ განწყობას, იმ შემოქმედის გახსენებას, ვინც თავისი ცხოვრებით და მოღვაწეობით გამოხატავდა სიყვარულს სამშობლოს მიმართ.



ამ საიუბილეო წელს მერი დავითაშვილის მრავალმხრივ შემოქმედებას მიეძღვნა არაერთი დაუვიწყარი საღამო და კონცერტი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუზეუმში გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეთა კონცერტი კომპოზიტორის ნაწარმოებების შესანიშნავი შესრულებით, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეში ჩატარდა კომპოზიტორების - გოგი ცაბაძის და მერი დავითაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთობლივი საღამო, 1-7 ივნისს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირსა და თბილისის საკონცერტო დარბაზებში გაიმართა მერი დავითაშვილის მიერ დაფუძნებული და ამჟამად მისი სახელობის ბავშვთა მუსიკალური კვირეული და სხვა.

მისი ცხოვრების და შემოქმედების შესახებ გადაღებულ იქნა დოკუმენტური ფილმი. რეჟისორმა დიმიტრი ბუთლიაშვილმა ეკრანი დაუთმო ყველა იმ ადამიანს, ვისთვისაც ასე ძვირფასი იყო მერი დავითაშვილის მუსიკა: კახა ცაბაძეს, გიორგი შავერზაშვილს, ვიქტორია ჩაპლინსკაიას, ირმა სოხაძეს, მარიკა კვალიაშვილს, ნინო ანანიაშვილს, გურამ ჯაიანს... ქალბატონი მერის მიმართ თვით ფილმის ავტორის უაღრესად სათუთი დამოკიდებულებაც იგრძნობა და ამშვენებს ამ შესანიშნავ, შთამბეჭდავ კინომოთხრობას.

დოკუმენტური ფილმის გადაღება და გალა კონცერტის ჩატარება მოხერხდა საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტროს და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შემწეობითა და ძალისხმევით.



# ჟანრები და ავტორები

ჟანრული თვალსაზრისით, ტრადიციულად დაბალანსებულია ჟურნალ „ცისკრის“ მე-4 ნომერი:

პოეზია: თემურ ელიავას ლექსები ეგზისტენციური მელანქოლიითა და ანა კალანდაძის კამერტონით; სოფო ღლონტის ლირიკული დისკურსი ბიბლიური რემინისცენციებითა და იუველური რითმებით; ნანა ლეინიაშვილის შინაგანი დიალოგები და ამბოხი საკუთარი თავის წინააღმდეგ.

პროზა: ალექსანდრე კაკიაშვილის მოთხრობა „მოგონებებით მოვაჭრე ანუ შეშლილთა ნეკროპოლისი“ - წყვდიადისა და „ალუზიური თვითმყოფადობის“ მისტიკა ამერიკული აქცენტით; საბა ქვათაძის ორი მოთხრობა: სუპერრეალიზმისა და ბიბლიური ასოციაციების სინთეზი.

კრიტიკა-ესეისტიკა: ნინო დარბაისელისტრონის საყურადღებო ანალიტიკური სტატია „შოთა ჩანტლაძის „მანიფესტის“ პოეტიკა (ანუ შემოქმედი – ტოტალიტარისტულ გარემოში, ორი ოპუსი)“; გუგა მგელაძე, „ყოფნის ხსოვნა (ფიქრები ანდრო ბუაჩიძის კრებულზე „ტრამვაი, სახელად წარსული“)“.

საბავშვო პოეზია: მარიამ წიკლაურის სახალისო ლექსები.

ახალი თარგმანები: იური მამლეევის მოთხრობა „ვალუტა“. რუსულიდან თარგმნა ბესო ხვედელიძემ; როალდ დალის ნოველა „დამთხვეული ფოქსლი“. ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ სონღულაშვილმა.

# ბევრნაირი სიცოცხლე

ჟურნალი „არილი“ № 5:

„იმისათვის ვწერ, რომ ჩემს პერსონაჟებს რაც შეიძლება ხანგრძლივი და ბევრნაირი სიცოცხლე ჰქონდეთ“ – ეს თამთა მელაშვილის ინტერვიუს (ესაუბრა გვანცა თულაშვილი) სათაურია. აქვე წაიკითხავთ მის პიესას „კაბა“.

ლელა სამნიაშვილის, ია ჯინჭარაძისა და თემურ ჩხეტიანის ლექსები.

თარგმანები ესპანურიდან და ბასკურიდან – ირაკლი მენთეშაშვილი წარმოგვიდგენს კირმენ ურიბე ურბიეტას ლექსებს.

დიმიტრი წიკლაურის მოთხრობა „ბუკინისტი“.

ერთი თავი მალხაზ ხარბედიას წიგნიდან „ქართული ლიტერატურის თბილისური ტექსტი“ – ვასილ ბარნოვის თბილისური ეთნოგრაფია და წარმოსახვა. სახელები, ადგილები, ინტერიერები და პანორამები.

მეთიუ ბევისი, „მსუბუქი თავბრუსხვევა“ – იუსტენ პიუ ოდენის შემოქმედების შესახებ. ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ.

რეკლამა: ჯოზეფ კემპბელის „ათასახოვანი გმირი“, („პალიტრა ლ“), გიორგი მაჭარაშვილის თარგმანი.

გარეკანი მამუკა ტყეშელაშვილისა.



# ტრადიცია და ავანგარდი

ჟურნალი „არილი“ № 6: მთავარი თემა გარეკანზეა. დიახ, ეს ის არის – ადონისი, იგივე ალი აჰმად საიდ ისბირი, სირიელ-ლიბანელი პოეტი, არაბული ლიტერატურის გამოჩენილი თეორეტიკოსი, მოდერნისტი, ჟურნალისტი.

ამ თემაზე შეგიძლიათ წაიკითხოთ ნინო დოლიძის წერილი „ადონისი ტრადიციისა და ავანგარდის მიჯნაზე“, ადონისის ლექსების ციკლი „მიჰიარ დამასკელის სიმღერები“ (არაბულიდან თარგმნა ნინო დოლიძემ), ინტერვიუ ადონისთან – „მე სამჯერ დავიბადე“ (ხომ არ აჯობებდა: „სამჯერ ვარ დაბადებული“, - რედ.), ინგლისურიდან თარგმნა ლევან ბერიაშვილმა, ადონისის ესეი „წერა“ (არაბულიდან თარგმნა ნინო დოლიძემ), შტეფან ვაიდნერის ლიტერატურულ-ფილოსოფიური შტუდია „ნიცშესა და ჰაიდეგერს შორის. რა აიღო ადონისმა გერმანული ფილოსოფიიდან“, გერმანულიდან თარგმნა ნინო დოლიძემ.



შემდეგ კი თანამედროვე ქართული პროზა –

ზაალ სამადაშვილის „ის დღე...“ და ცოტნე ავსაჯანიშვილის „ჩამავალი მზის სანგარი“.

პოეტური სვეტები –

რამაზ გიგაურის, დიმიტრი ბახუტაშვილისა და თაკო მღებრიშვილის ლექსები.

ახალი თარგმანებიდან –

ედგარ ლორენს დოქტოროუს მოთხრობა „მედოლე ყმაწვილი დამოუკიდებლობის დღეს“. ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ.

რეკლამა: მარგარეტ ეტვუდი, „პენელოპიადა“. მარიამ ნოზაძის თარგმანი, და აკა მორჩილაძის ახალი რომანი „როძინა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტამანგო

## ღია გაკვეთილი ამომრჩეველთათვის

ამ წერილის სათაური დიდი ფრანგი მწერლისაგან პროსპერ მერიმესაგან ვისესხე. სწორედ მის ერთ-ერთ შესანიშნავ მოთხრობას ჰქვია „ტამანგო". ამ მოთხრობაში მაღალმხატვრულად არის გადმოცემული ერთი ტრაგიკული ამბავი, რომელიც, ჩემი აზრით, ფრიად ჭკუის სასწავლებელი, რეკომენდაციას წარმოადგენს საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით არჩევნების წინა პერიოდში. სწორედ ასეთი პერიოდი გვიდგას დღეს!

ამ მოთხრობის სიუჟეტი თუ არ გაგაცანით. ისე, ვფიქრობ, გაუგებარი იქნება მისი დიდაქტიკური არსი. მაშ, ასე:

ამერიკელ მონათმფლობელებს აფრიკაში დატყვევებული ზანგები გემით მიჰყავთ შტატებში მონებად. გემის ტრიუმი სამასამდე ჯანღონით სავსე ადამიანებით არის სავსე. ზანგებმა იციან, რომ მთელი დარჩენილი სიცოცხლე მონურ შრომაში მოუწევთ გატარება და აუტანელ ტანჯვა-წამებაში ამოხდებათ სული, მაგრამ რა ქნან, არანაირი იარაღი არ აქვთ, გემზე მონათმფლობელებს კბილებამდე შეიარაღებული მცველების რაზმი ჰყავთ და არც ტყვია-წამალი აკლიათ.

დატყვევებულ შავკანიანთა შორის არის ერთი, ყველასგან გამორჩეული ძლიერი და მამაცი ახალგაზრდა – ტამანგო, რომელიც არ აპირებს მონობაში სიცოცხლეს და თავისუფლებისათვის თავგადადებული ბრძოლისათვის არის მზად. სწორედ მან ჩააგონა ტყვეებს აჯანყების იდეა. გემზე ორმოცდაათამდე შეიარაღებული ადამიანია, ჩვენ სამასამდე ვართ, ტრიუმის კარებს რომ გაალებენ საკვების ჩამოსაწოდებლად, ავიჭრათ მაღლა, დავერიოთ იარალიანებს, ყველას დახოცვას ვერ მოასწრებენ, ჩვენ ყველას დავხოცავთ, ოკეანეში გადავყრით და გავთავისუფლდებით, ყველა არა, მაგრამ ნაწილი მაინცო. მონობაში სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო.

დაიყოლია ტამანგომ ტყვეები და როგორც კი ტრიუმის ხუფი გაალეს, ტამანგო და ყველაზე მამაცი ტყვეები გემბანზე აცვივდნენ, მათ სხვებიც მიჰყვნენ და გაიმართა დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა. როცა გემზე მყოფი ყველა თეთრკანიანი ზღვაში გადაუძახეს, აღმოჩნდა, რომ ორასზე მეტი ტყვე ცოცხალი გადარჩენილიყო. გამარჯვების ჟივილ-ხივილმა გადაუარა ოკეანის ტალღებს.

ახლა პრობლემა ის იყო, როგორ დაბრუნებულიყვნენ აფრიკის კონტინენტზე, ან სხვა ხმელეთზე მაინც. გემის მეთაურობა აჯანყების ორგანიზატორს, ტამანგოს მიანდეს, მაგრამ ნავიგაციისა არც მან იცოდა რამე და არც მისმა რომელიმე მამაცმა თანამებრძოლმა, აფრააშებული გემი ოკეანის ტალღებს უმისამართოდ მიაპობდა. ტამანგოს იმედი ჰქონდა, სადმე ხმელეთზე გაალწევდნენ, მაგრამ ამოვარდა ქარიშხალი, უმართავ გემს ბურთივით ისროდა უზარმაზარი ტალღები და მალე დალეწილი ხომალდი „გამარჯვებულ ეკიპაჟთან" ერთად ოკეანის ბნელ უფსკრულში შთაინთქა!

ტამანგოს უსაზღვროდ უყვარდა თავისუფლება, მაგრამ იმ ხომალდის მართვისა არ იცოდა რა, რომლის თავისუფლებისაკენ წაყვანასაც აპირებდა.

ერთი ჩემი მეგობარი ხშირად იმეორებდა ხოლმე ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდში, სამშობლოს სიყვარული პროფესია არ არის, ქვეყნის მართვას ცოდნა სჭირდება და ამ ცოდნის საგანი პოლიტიკააო.

ქვეყანა, მით უფრო მტრულ, თუ არამეგობრულ გარემოცვაში მყოფი ახალგაზრდა სახელმწიფო იმ ხომალდს ჰგავს, ტამანგომ რომ ჩაიგდო ხელში. სახელმწიფოს, როგორც ხომალდის მართვას, ნავიგაციის ცოდნა სჭირდება, რომ ტალღებს ხომალდის კიჩო შეაგებოს და გაჭრას იგი და არა ფერდი, რომელიც უთუოდ დაიმსხვრევა, სწორედ მცოდნე კაპიტანს, შტურმანსა და ბოცმანს, ზღვაოსნობის მცოდნე მატროსებთან ერთად შეუძლიათ ოკეანის ბობოქარ ტალღებში გავლა და სამშვიდობოს გასვლა.

ამ ოთხი ათწლეულის განამავლობაში ჩვენი ქვეყნის საჭესთან ტამანგოებიც ვნახეთ და მათი ეკიპაჟებიც, რომლებმაც ქვეყანა უაზროდ ატარეს აბობოქრებული პოლიტიკის ოკეანეში და ნავსაყუდელი ჯერაც ვერსად დალანდეს, ხომალდის ეკიპაჟი კი უკვე განახევრებულია!

ამასწინათ ამომრჩეველებთან შეხვედრაზე ხელისუფლების წარმომადგენლები ასე მიმართავდნენ ხალხს! ოქტომბრის არჩევნები რომელიმე პარტიის გადარჩენის ამოცანას კი არ ისახავს, არამედ ქვეყნის გადარჩენისო. ამიტომო, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს 26 ოქტომბერს და ხმა მოგვცეს ჩვენ და არა ქვეყნის დამღუპველ ომის პარტიას, კოლექტიურ ნაცმოძრაობასო.

ამაში არ შეიძლება არ დაეთანხმო ხელისუფლებას, მაგრამ მხოლოდ ერთი არსებითი შენიშვნის გათვალისწინების შემდეგ, რომელსაც ახლა კითხვის ფორმით ჩამოვაყალიბებ!

ქვეყნის გადარჩენის რა პროგრამას სთავაზობთ რიგით ამომრჩევლებს? იმას, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემთხვევაში მიიღებთ ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავ კანონს, ერთსქესიანთა ქორწინებას გამოაცხადებთ დაუშვებლად და ანტიკონსტიტუციურად, მიიღებთ ისეთ საკანონმდებლო აქტებს, რაც ქართული ღირებულებებისა და ჩვენი ეროვნული იდენტობის გარანტიებს მოგვცემს. აშენდა თქვენი ოჯახი, მაგრამ ამის შემდეგ რომ აცხადებთ, ევროპაში ჩვენი ინტეგრაცია ჩვენი ისტორიული არჩევანია და ჩვენი ადათ-წესებით, ეროვნული იდენტობით, ოჯახის ტრადიციული ინსტიტუციებით შევალთ ევროპულ ოჯახშიო, რომ ამბობთ, ეს უნდა დაგიჯეროთ ხალხმა, მაშინ, როდესაც ევროკავშირის მმართველები და ნატოელი ბოსები გვეუბნებიან, თუ ჩვენს რეკომენდაციებს არ შეასრულებთ, თქვენი ფეხი არ იქნება აქაო. როგორ, ძალით შეიჭრებით ევროპაში? ძალით ერთხელ ცხინვალში შეიჭრა ჩვენი ფსევდოტამანგო და რაც მივიღეთ, გახსოვთ, ალბათ! და მერე, რომ აცხადებთ ჩვენი ევროპული ცივილიზაციის თანაშემოქმედებით ვართ და ჩვენი ადგილი სწორედ იქ არისო, ეს შეიძლება ვინმე ჯოხიტლეკიაშვილმა და ბასაია მითაგვარიამ დაიჯეროს, მაგრამ ყველა გამოთაყვანებული ხომ არ არის. ის, რაც ერთხელ უბედური საქართველოს უბედურმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა ერთ-ერთ ევროპულ შეკრებაზე, მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელიო, – ეს დაიჯერეთ და ჰეგელის ნათქვამი იმის თაობაზე, რომ ქართველები კავკასიურ რასას წარმოადგენენო, ეს მიაყურისძირეთ? თუ ჩვენი ვაიარქეოლოგების ნათქვამი გჯერათ, პირველი ევროპელები დმანისში ცხოვრობდნენ და ჩვენ მიერ აქ ღმოჩენილ ნამარხში ზეზვასა და ლელას პირადობის მოწმობები აღმოაჩნდათ, სადაც ევროპელობა უწერიათ, რასაც ნოეს კიდობანის კაპიტანი ნოეს ბეჭედი ადასტურებსო.

სიმართლე ან არის, ან არ არის! ნახევარი სიმართლე სიცრუეზე უარესია და როდესაც გემის კაპიტანი ბობოქარ ზღვაში შედის, სუპერკრეისერით კი არა, არამედ აფრიანი გემით, ნავიგაციის ვირტუოზულად მცოდნე უნდა იყოს და არა ნახევრად მცოდნე, რომელიც ველარასოდეს მიადგება ნაპირს.

არა მგონია, ჩვენი ხელისუფლება პოლიტიკური ნავიგაციის უცოდინარი იყოს ამიტომ, ხალხს უნდა უთხრათ სიმართლე, რაც პოლიტიკური ნავიგაციის ერთ-ერთი საკვანძო მოთხოვნაა, თორემ ...

დავით აღმაშენებელი დიდგორის ბრძოლაში ოთხჯერ ნაკლები ჯარი ჰყავდა. ეს კი არ დაუმალავს თავისი ლაშქრისათვის, არამედ ასე მიმართა მას (თანამედროვე ქართულით გეტყვით): „ქრისტეს მხედრებო! ჩვენს წინააღმდეგ ეშმაკეულთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი დგას და ჩვენს მამულს ემუქრება, ღვთის რწმენას თუ განვიმტკიცებთ, თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ!"

ასეც მოხდა, ის რომ ეთქვა დიდ მეფეს, ამ ბრძოლას მოვიგებთ, თუ ზურგის ქარი დაჰბერავს, ან ილღაზს კუჭი აეშლება, ან პირლებინება დაეწყებაო, – არა მგონია, „ძლევაი საკვირველი" მომხდარიყო.

ახლა ჩვენში ბევრია ქვეყნის მართვის მოწადინე, მათ შორის ტამანგოებიც არიან, მაგრამ იშვიათად, ბევრნი კი ისინი არიან, რომლებსაც ქვეყანაც ფეხებზე ჰკიდიათ, იდეები და პრინციპები, სათოფეზე რომ არ გაუკარებიათ და სადაც საჩხუბარი და საომარია, იმ ადგილს კურდღელივით უფრთხიან, დიდი გული მხოლოდ იქ აქვთ, სადაც მათ თავხედობას (რაც, მართლაც, არ აკლიათ) პასუხს არავინ, თუ ვერავინ გასცემს.




ცოტა ძნელი კი არის ამ „პოლიტიკურ" ვაკხანალიაში გარკვევა, რადგან ზოგიერთი პარტიის შტატიან „კაჭკაჭს" ისეთი ენა აქვს, რომ მისთვის უსაფრთხო გარემოში შეუძლია ლეგენდარულ ამირანად წარმოადგინოს თავი და ბაყბაყ დევების გამანადგურებელი ეგონოს ხალხი.

ამომრჩეველს ვურჩევ, რომ იმაზე კი არ გაამახვილოს ყურადღება, რა ძალას იჩემებს ესა თუ ის პარტია, ანუ ვის და რის დამარცხებას აპირებს, არამედ იმაზე, თუ რა პროცესების მართვა შეუძლია და როგორ, რისი აშენება – გაკეთება აქვს მიზნად და როგორ საით და როგორ უნდა წაიყვანოს ეროვნული ხომალდი, რითი და როგორ გაარჩიოს მტერი და მოყვარე, კარგად იცოდეს, რაში მდგომარეობს ქართველთა ძალა და სისუსტე, რა არის ეროვნული ერთიანობის დვრიტა და საფუძველი.

აი, ამას თუ გაარკვევს ამომრჩეველი, მაშინ გააკეთებს სწორ არჩევანს. შემეცნების ღვთიური უნარი უნდა აამოქმედოთო, ძვირფასო თანამემამულეებო, და არა მხოლოდ ყური და თვალი, რადგან შემეცნების უნარის, ანუ გონიერების გარეშე ორივე მაცდურია: თვალს ბრჭყვიალა ჰგონია კარგი, ყურს კი – კეთილხმოვანება სასარგებლო.

როგორ შეიძლება, შეცდეს მთელი ხალხი, ანუ როგორ შეიძლება მცდარი არჩევანი, ბრძნული მიგნება ეგონოს, ამის ისტორიული მაგალითია დღევანდელი უკრაინა.

ა, ბატონო, ბრძნული არჩევანი: უკრაინის ებრაელი პრეზიდენტი ზელენსკი და ყირიმელი თათარი უმაროვი უკრაინის „ჯიგარდამწვარი პატრიოტები" არიან, ეთნიკური რუსები, ასევე ეთნიკური რუსები ანუ უკრაინელების – „დაუძინებელი მტრები"! ამიტომ არის, რომ ზელენსკი-უმაროვი და მათი ოკიანისგაღმელი პატრონები „თავდადებით" იბრძვიან ბოლო უკრაინელამდე რუსეთის წინააღმდეგ, რათა უკრაინა უკრაინელების გარეშე სჭირდებათ, მათ (წიაღისეულით, უზარმაზარი შავმიწანიადაგიანი სივრცეებით, შავი ზღვის პორტებით).

ზელენსკის რომ ირჩევდნენ, რომელიც მანამდე არც ტამანგო იყო და არც ტარას ბულბა, ერთი ცნობილი მსახიობი იყო, ხალხს კი გმირად ეჩვენებოდა, მისი პარტიის პროგრამით რომ გაეცნო ხალხს, მიმხდარიყვნენ იქნებ, რა სამოთხესაც უმზადებდა იგი თავის ამომრჩევლებს.

პარტიის პროგრამის მიხედვით უნდა შეაფასოთ პოლიტიკური პარტია, თორემ ლამაზი სადღეგრძელოებით შეიძლება მთვრალი ან დასათბობად გამზადებული ხალხი მოხიბლოს მხოლოდ, პახმელიაზე რომ ალარავის შერჩება ხიბლი.

პოლიტიკური „პახმელია" მძიმეა, იმედგაცრუება იცის და ამიტომ არჩევნების შემდეგ ხელისუფლება მუდმივად უნდა აკონტროლოს ხალხმა, რათა არ დაუშვას მათივე პროგრამიდან გადახვევა. პროგრამა პარტიის მოქმედების შინაარსია და არა დაპირება, რომლის შესრულება, ძირითადად, სხვადასხვა გარემოებებზეა დამოკიდებული. აქ ვერავინ იტყვის, პარტიის პროგრამის განხორციელებას ახლა ვერ ვახერხებთ და სამომავლოდ სადავეები არ უნდა განდოთ, თორემ ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში ისინი შეუცვლელნი არიან, ამიტომ ხელისუფლებაში უნდა მოვიყვანოთ ისეთი ადამიანები, რომლებმაც პოლიტიკური ნავიგაციაც კარგად იციან და სამშობლოს უანგარო სიყვარულიც და თავდადებაც შეუძლიათ, თორემ მხდალი ხელისუფლება მამაც ქვეშევრდომებს ორგანულად ვერ იტანს, რადგან ეშინიათ მათი, ე, მანდ, ხელისუფლება არ გამომგვლიჯონ ხელიდანო. მხოლოდ მხდალს ეშინია ხელისუფლების დაკარგვისა, სამშობლოს დაკარგვაზე მეტად.

ის, რაც ამ გაკვეთილით მინდოდა მეთქვა, ხუთი თითივით იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, რომლებმაც ისტორიის ქარტეხილებში გამოატარეს ჩვენი ქვეყანა და მოიყვანეს დღემდე, იმ დღემდე, როცა მამაცი მონღოლების ლაშქარი კი არ გვემუქრება, ვისთანაც ვაჟკაცობაც ფასდებოდა მტრისა და მის თავდადებაც სამშობლოსადმი, არამედ მრუდე საქმეთა მიმდევარი ლგბტ თემები, რომლებმაც არც სამშობლო იციან, რა არის, არც ეროვნული ღირებულებანი, არც ოჯახი და არც მეგობარ-ამხანაგი. მათ მხოლოდ იმ მოთხოვნილებისათვის თავდადება იციან (უფრო კი სხვა რამის დადება), რომელიც ტვინსა და გულში კი არ აღმოცენდება, არამედ ორგანიზმის სხვა ნაწილში! ამიტომ ამომრჩევლობა ძალიან მნიშვნელოვანი მოვალეობაა. კარგი ამომრჩევლის გარეშე არ არის კარგი ხელისუფლება, კარგი ხელისუფლების გარეშე არ არის კარგი სახელმწიფო!

**ზურაბ ცუცქირიძე**

პედაგოგიკის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი, დიმიტრი ყიფიანის მედლის მფლობელი.

ტელ: 555 56-75-37

P.S. ერთ კაცს აეკვიატა მამლის შიში: გარეთ აღარ გადიოდა, მამალი გადამყლაპავსო. როგორ თუ გადაგყლაპავსო, ჰკითხეს. ხორბლის მარცვალი ვარ და იმიტომო. წაიყვანეს ის კაცი ფსიქიატრიულ კლინიკაში, დაუწყეს ჩაგონება, რომ შენ ხორბლის მარცვალი კი არა, კაცი ხარო. ერთი თვის შემდეგ კონსილიუმი გაიმართა იმის დასადგენად, გამოჯანმრთელდა თუ არა პაციენტი, გამოკითხვით დადგინდა, რომ პაციენტმა დაიჯერა, რომ იგი ადამიანია და არა ხორბლის მარცვალი, ამის შემდეგ „გამოჯანმრთელებულ" პაციენტს ერთმა ექიმმა ხუმრობით ჰკითხა: ახლა ხომ აღარ გეშინია მამლისო. მეშინიაო, – პაციენტმა. კი, მაგრამ შენ ხომ დაიჯერე, რომ ადამიანი ხარო? გაუკვირდა ექიმს. მე კი ვიცი, ექიმო, მაგრამ მამალმა ხომ არ იცის ესო!

ამომრჩევლებს ვურჩევ: ამგვარად გამოჯანმრთელებულ პოლიტიკოსებს ნუ აირჩევენ ხელისუფლებაში.

ზ. ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამაზ ვასაძე

# უჩვეულო საჩუქრები



კადრი ფილმიდან „ვედრება"

„ალუდა ქეთელაურის" მთავარი გმირის რადიკალური სულიერი სახეცვლილების განმაპირობებელი ერთ-ერთი ღრმა ფაქტორი ისიც არის, რომ სიკვდილის წინ მუცალმა მისი ვაჟკაცობა აღიარა საჩუქრად თოფი დაუტოვა.

არქაულ საზოგადოებებში (და არა მარტო) საჩუქრის მიძღვნა სწორედ ადრესატის აღიარების გამოხატულებაა; ამასთანავე, ჩუქება გულისხმობს ორმხრიობას, სანაცვლო საჩუქრის მიძღვნას საპასუხო აღიარებას, კეთილგანწყობას (პ. რიკიორი).

მუცალის უჩვეულო საჩუქარმა, მუცალის მიერ მისი ღირსების აღიარებამ ალუდას ცნობიერებაში ძლიერი გამოძახილი პოვა და მასაც მტრის ღირსების აღიარებისკენ უბიძგა.

მუცალის მოულოდნელი, არაორდინარული ქცევა ალუდაზე მძაფრ შთაბეჭდილებას ახდენს, რამდენადაც მტრის, თანაც „ურჯულოს", ღირსების აღიარება, მითუმეტეს დამარცხებული, სიკვდილის პირას მყოფი ადამიანისგან, მის იშვიათ სულის ძალას და სილაღეს მოწმობს.

ეს ადამიანი საჩუქრის გაცემით უსიტყვოდ მოითხოვს თავისი ღირსების სანაცვლო აღიარებას, რაც ამ შემთხვევაში უწინარესად იმით შეიძლება გამოვლინდეს, რომ ალუდამ არ შეურაცხყოს მისი ცხედარი, მარჯვენა არ მოკვეთოს მას — ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მუცალმა იცის, როგორ ექცევიან მოკლული „ურჯულო" მტრის ნეშტს იმ სინამდვილეში, რომლის მკვიდრიც არის.

მუცალი ალუდასთვის თოფის მოულოდნელი ჩუქებით, მისი ვაჟკაცობის უჩვეულო, უცნაური აღიარებით უთქმელად მასაც არასტანდარტულად მოქცევას, განსაკუთრებული სულგრძელობის გამოჩენას ავალებს. და ალუდას საპასუხო ჩუქების აქტი ბევრად უფრო დიდსულოვანი და უხვია, ვიდრე მუცალი შეიძლება ითხოვდეს არა მარტო მარჯვენას არ ჭრის და აპატიოსნებს მუცალის ცხედარს, არამარტო მის ვაჟკაცობას აღიარებს, არამედ ცხონების ღირსად, ღვთის სრულფასოვან შვილად, თავის მოყვასად მიიჩნევს „ურჯულო" მტერს და მას შესწირავს საკუთარ მაღალ პრესტიჟს, წარმატებულ ცხოვრებას მშობლიურ მხარეში, მისი გულისთვის სასწორზე შეაგდებს საკუთარ სიცოცხლეს.

მაგრამ მუცალის საჩუქარმა ალუდაზე კიდევ უფრო ღრმა ფსიქოლოგიური და მორალური ზემოქმედებაც მოახდინა. ალუდა რომ იძულებს მკვლელობას, სისხლისღვრას, სისასტიკეს, მას დანაშაულის გრძნობა, თავისი „კაციჭამიობის" მიმართ ზიზღი და განწმენდის მოთხოვნილება რომ უჩნდება, ამაში მუცალის მიერ ნაჩუქარი იარაღის წილი დიდია.

სიზმარში, რომელიც ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის შინაგან სამყაროში მიმდინარე დრამატული პროცესის ყველაზე ტევადი და მკვეთრი გამოსახულებაა, ის ხედავს: „ერთ ნამს ხელ ვინამ დამტაცა, ტარი ჩამიდვა ხანჯრისა. შავხედენ, მუცალი იყო, ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა... „მინდა სიკვდილი, არ ვკვდები, მაშკალო, მითხრა ხვეწნითა, თქვენ დაგრჩესთ წუთისოფელი, მე კი წავიდე ქვეყნითა. დამძლით, ხევსურთშვილებო, ლაშქრობით, ხმლების ქნევითა!". ამას მოსდევს ალუდას მიერ თავისი თავის კანიბალად დანახვა და ეს მუცალის ქმედების გამო ხდება, რომელმაც მტკივნეული სიცხადით უჩვენა, რომ საზარელი მკვლელია, უჩვენა იმით, რომ ხანჯალი გადასცა როგორც კაცისკვლის მოყვარულს, ამ საქმის ოსტატს და სთხოვა, მოეკლა იგი.

საიდან ჩნდება აქ ხანჯალი? ჩნდება იქიდან, საიდანაც აღმოცენდება მუცალის სიზმრეული სახის მეორე დეტალი, რომელიც ალუდას ასევე მტკივნეულად აგრძნობინებს, რომ ის მკვლელია: „...გულზედ ეწნივა ნიშანი მე-დ იმის ბრძოლის ნამისა, ეფივა ნატყვიარშია ლეგა საფევი ბრძამისა". ცხადია, რომ ალუდას სიზმარში არეკლილია მისი და მუცალის ორთაბრძოლა. ოღონდ თუ ქრილობაში მუცალის მიერ ბალახის ჩაფენამ რეალობიდან სიზმარში უცვლელად გადაინაცვლა, თოფი სიზმარში სხვა იარაღად, ხანჯლად გარდაისახა, ალუდასთვის თოფის გადაცემა სიზმარში ხანჯლის გადაცემად იქცა. ასეთი გარდასახვა, ჩანაცვლება ფსიქოანალიზში სიზმრის ერთ-ერთ ძირეულ მახასიათებლად არის მიჩნეული რეალური საგნები, არსებები, მოვლენები სიზმარში სახეს ისე იცვლიან, რომ თავიანთ არსობრივ იდენტობას, რაობას ინარჩუნებენ.

მუცალის საჩუქარი ორაზროვანია თუ ეს, ერთი მხრივ, ალუდას ღირსების აღიარებაა, მეორე მხრივ, ეს თოფია, მომაკვდინებელი იარაღია. სიცოცხლის მომსპობი იარაღის ჩუქებამ ალუდას სულის სიღრმეში სასტიკ მკვლელად ალაქმევინა საკუთარი თავი და მტანჯავი სინდისი გაუღვიძა.

მუცალის ნაჩუქარი იარაღის წყალობითაც არის, რომ ალუდაში კვდება ბრუტალური ადამიანი და იბადება სინდისიერი, ჰუმანური პიროვნება.

თითქოსდა ჩეხოვის ცნობილი გამონათქვამის შესატყვისად (რომ თოფი, რომელსაც მაღალი დონის სპექტაკლის დასაწყისში დავინახავთ, ბოლოს აუცილებლად გაისვრის), მუცალის მიერ ნაჩუქარი იარაღი შემდეგ ისევ გაჩნდა და დაეხმარა ალუდას, სინდისის ძალით დაეთრგუნა თავისი არსების აგრესიული საწყისი. მუცალმა ალუდას თოფთან ერთად უნებლიეთ განსაკუთრებულად მგრძნობიარე და მოუსყიდველი სინდისი აჩუქა.

***

საჩუქრის, ჩუქების ფენომენის როლი „სტუმარ-მასპინძელშიც" მნიშვნელოვანია.

აქ თუმცა ზვიადაური არ იჩუქებს ახლადგაცნობილი ქისტის ნანადირევის ნაწილს, მაგრამ ამის გადამფარავ საგანგებო საჩუქრად გვევლინება ჯოყოლას მიერ ქისტებთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ტომის წევრის თავისთან სტუმრად მიპატიჟება, რომელსაც იგი თანხმდება.

მ. ენაფის თქმით, რომელმაც საჩუქრის ფენომენი, მისი ინტერპრეტაციების ისტორია სპეციალურად შეისწავლა, სტუმართმოყვარეობა, სტუმარმასპინძლობა არის „დამოკიდებულება სხვისადმი როგორც ჩუქების დამოკიდებულება და ორმხრიობის მოთხოვნა. უპირველესად ლაპარაკია არა საჩუქარზე როგორც მოწყალებაზე, არამედ მტკიცე კავშირზე, რომელიც წარმოიშობა მასპინძლობის შეთავაზების ჟესტში და ითვალისწინებს შეხვედრისთვის პოზიტიური მნიშვნელობის მინიჭებას და პასუხის შესაბამისი ჟესტით გაცემის აუცილებლობას".

„სტუმარ-მასპინძელში", ისევე როგორც „ალუდა ქეთელაურში", საჩუქარი მისი მიმღების აღიარების გამოხატულებაა. ქისტებისა და ხევსურების ეთნიკურ-რელიგიური მტრობა ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს სრულფასოვან ადამიანებად არ თვლიან და ამგვარ ვითარებაში ყველაზე ძნელი და ამდენად ღირებულიც მათ მიერ ერთმანეთის ღირსების აღიარებაა.

ჯოყოლამ შეჭირვებული ხევსურისთვის თავისი სტუმართმოყვარული სითბოს და მზრუნველობის ჩუქებით მისი ადამიანური ღირსება აღიარა — მოულოდნელი, უჩვეულო რამ გააკეთა, ხოლო ზვიადაურმა მიპატიჟებაზე დათანხმებით ასევე აღიარა ჯოყოლას ღირსება.

გარეგნულად ეს, ჯოყოლას დამსახურებით, ხდება უბრალოდ და ადვილად, თითქოს სხვანაირად არც შეიძლება იყოს, თითქოს ამაში განსაკუთრებული და პრობლემური არაფერია. სინამდვილეში ზვიადაურისა და ჯოყოლას სტუმარმასპინძლობა ჩანასახშივე არაორდინარულია და ორივესთვის დიდი პოტენციური საფრთხის შემცველია.

ზვიადაური მიდის ქისტურ თემში, რომლის წევრებსაც იგი ბევრჯერ უნახავთ სასტიკი, საშინელი მტრის სახით და ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ ქისტები ვერ იცნობენ და ანგარიშს არ გაუსწორებენ. მაგრამ ზვიადაური მაინც იღებს ჯოყოლას მიწვევას არამხოლოდ იმიტომ, რომ არქაულ საზოგადოებებში საჩუქარზე უარის თქმა მტრული დამოკიდებულების გამომჟღავნებად ითვლება, რომ აქ საჩუქრის მიღება და შემდგომში საპასუხო საჩუქრის გაცემა სავალდებულოა; რაც მთავარია, ზვიადაური მიწვევას თანხმდება იმიტომ, რომ ჯოყოლას მოულოდნელმა და უჩვეულო გულისხმიერებამ, სულის სიუხვემ, ნდობამ, ჯოყოლას მიერ მის სრულფასოვან, კეთილი დამოკიდებულებისა და მზრუნველობის ღირს ადამიანად აღიარებამ მასშიც კეთილმოსურნეობა და ნდობა დაბადა, იგი ჯოყოლას ღირსების მადლიერი აღიარებისთვის განაწყო; და მან ჯოყოლას სიუხვის სანაცვლოდ სავსებით რეალურ სასიკვდილო საფრთხეს არ აარიდა თავი.

ჯოყოლას სტუმართმოყვარული სიუხვე მისთვის ასევე სახიფათოა. ქისტებსა და ხევსურებს შორის განუწყვეტლივ მიმდინარე კონფლიქტის პირობებში მტრული ეთნოსის და რელიგიის წარმომადგენლის საკუთარ თემში სტუმრად მიწვევა რომ სახიფათო ნაბიჯია, ამას ჯოყოლა უჩუმრად გრძნობს და აცნობიერებს. ეს ერთბაშად ვლინდება ჯოყოლას პირველ რეაქციაში კრიტიკულ სიტუაციაზე, რომელიც იქმნება მაშინ, როცა მის ოჯახს თავს დაესხმებიან: „ნამდვილ აკლებას გვიპირებს, გვღალატობს ჩვენი სტუმარი; ძმობით და მეგობრობითა შემოგვაპარა ლაშქარი!". აშკარა ხდება, რომ ჯოყოლამ თავისი სიცოცხლე და თავისი თემის უსაფრთხოება რისკიანად ანდო ზვიადაურს, რომელმაც ასევე მიანდო მას საკუთარი სიცოცხლე.

„სტუმარ-მასპინძლის" მთავარი გმირების მიერ საჩუქრის გაცემა და მიღება, ამით მიღწეული მათი უჩვეულო ურთიერთაღიარება საბოლოოდ ტრაგიკულად იქცევა ერთმანეთისთვის სიცოცხლის შეწირვად.

ნიკო გორგილაძე

# ეს საქართველოა

ვაჟა-ფშაველას „თხზულებანში", რომელიც სხვა ოთხ ძვირფას წიგნთან ერთად გამოვიყოლე თან, როცა რამდენიმე წლის წინ გერმანიაში გადმოვცხოვრდი, ერთგან ვკითხულობთ: „ფშაველები პოეტური ხალხია და მათი პოეზია წარმოადგენს უძირო ზღვას. რასაც ფშავლის თვალი და გონება მისწვდომია, იმას ყველაფერზედ უთქვამს ლექსი, — მოყოლებული სიცოცხლიდამ სიკვდილამდე და საიქიომდე". ასეთივეა ბესიკ ხარანაულის „ეს საქართველოა" — აქ ყველაფერსა და ყველაფერზე წაიკითხავთ. თავად პოეტი კი, თითქოს, დაბადებამდეც პოეზიის უძირო ზღვაში იყო და, ახლაც, თავისი პოეზიით, იმ სიღრმეში გვახედებს, რომლიდანაც წამოსულა. ლექსების დიდი ნაწილი ხმამაღლა წავიკითხე, წამღერებით, როგორც წლების წინ ვკითხულობდი ფსალმუნებს — ამ უძველეს და უმაღლეს პოეზიას. ზოგიერთ მათგანში, ლამის ყოველ სტროფს თავისი მუსიკა ჰქონდა, როგორც ზღვის ყოველ ახალ ტალღას. ამიტაც მიყვარს პოეზია, რომ იგი მახსენებს ცურვას მონატრებულ შავ ზღვაში, და ლექსშიც, ისევე როგორც ზღვაში, არცერთი შესვლა არ ჰგავს წინას. კი, ცურვა იყო ამ წიგნის კითხვაც, ისევე როგორც ბავშვობაში, როცა წყლის სიღრმეში ვეძებდი ფერად მუშის კენჭებს, დიდ ქვებსა და შავ თუ ნაცრისფერ ქვებს შორის. ბევრი იყო ასეთი ტექსტიც, მაგრამ მათ შემდეგ ჩემთვის ძვირფასის აღმოჩენა კიდევ უფრო დიდ სიამოვნებას მგვრიდა.

ბესიკ ხარანაული ხომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი მაგალითია ჩვენში იმისა, რომ პოეზია არაა უბრალოდ გარითმული ტექსტი, ფსევდოპატრიოტული მჯიღისცემა გულზე, სადღეგრძელო და სკოლის ასაკიდან მოძულებული საზეპიროები.

„შენ გშია, გცივა, გეშინია, შენ არაფრის არ გაქვს იმედი

და შენ გინდა ჩემი ნუგეში" — ასე იწყება ერთ-ერთი ლექსი და, მიუხედავად სრულიად სხვაგვარი დასასრულისა, მე მაინც მგონია, რომ ეს ნუგეშიც პოეზიაშია, რომელიც „ტკბილია, როგორც გოლეული". მთელი კვირა ხმამაღლა ვკითხულობდი, აქამდე კარგად ნაცნობ თუ უცნობ ლექსებს. ერთ საღამოს, მეგობარსაც წავუკითხე რამდენიმე მათგანი და ვუთხარი: აი, როგორი პოეტია იგი, მე რომ გათენებამდე ვწერდი რამდენიმესტროფიან ლექსს, მთელ იმ სათქმელს, ტკივილსა და სათქმელს, ერთ ხაზში ამბობს ბესიკი-მეთქი: „ან რად გაძალებ მე ზანზალაკს, რომ იყო ზარი" — მთელი ჩვენი მოლოდინები ვისიმე მიმართ, იმედგაცრუება, სიყვარული და სიყვარულის შემდგომი ტკივილი ამ ერთ ხაზშია. და როცა მიხვდები, რომ ის, ვინც ზარი გეგონა, სინამდვილეში, ზანზალაკი იყო, სიყვარულთან ერთად წყენაცა და ბრაზიც გაივლის, რადგან არავინაა ვალდებული. არავინაა დამნაშავე.

არის ისეთი ტექსტებიც, რომელთა ხმამაღლა წაკითხვაც არ შეიძლება თურმე, რადგან ისე შემზარავად გაისმა, ისე დამზაფვრელად, გულისგულში ჩამარხული იმგვარი შიში გაალვიძა, რომლის გაგონებაც კი არ მინდოდა, თითქოს მანამდეც ვიცოდი და გავურბოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა:

„მითხარი რამე სისულელე, თორემ გავგიჟდები...
მკვდარია კაცი,
როცა იქ არის, სადაც არ უნდა".

მართალია, ფსალმუნები დღემდე მიყვარს, მაგრამ ქადაგებისა რა მოგახსენოთ... ზოგიერთ ლექსში პოეტი მართლაც ქადაგს მოგაგონებთ, თუმცალა, პატრიოტული მოტივებითა და აქა-იქ მორალიზმითაც დახუნძლული ვრცელი ქადაგებების პარალელურად, რომლებმაც, შესაძლოა, ჩემ მსგავსად გადაგღალოთ კიდეც, ისეთი ლექსებიც შეგხვდებათ, სუნთქვა რომ შეგეკვრებათ, ლექსი კი არა და, ფსალმუნი კი არა და, სიმღერა კი არა და, სულ მთლად გალობა რომ არის, არა ტაძრის მგალობელთა გუნდის, არა ჩიტების, არამედ ნიავის, ფოთოლთა შრიალის, ღვთაებრივი სიმსუბუქის მომტანი... ეს შეგრძნება, ალბათ, გაცილებით უფრო მძაფრია სამშობლოდან შორს, რადგან კიდევ ერთხელ გაგრძნობინებს პოეზიის ჯადოსნურობას, რომელიც არ ცნობს დროისა და სივრცის საზღვრებს:

„წალენჯიხის ეკლესიავ, ერთხელ ჩამო
თიანეთში,
წამოიყვა შენი ბალი, ცას აწვდილი ხიანები,
ნიავი არ დაგავიწყდეს, ფოთლებშია,
შრიალებში,
ცოტა ხანს შენთან დამმარხე, შენი მიწის
წიაღებში,
მერე გადავიმარხები, დიდხანს არ
დავგვიანდები,
ხომ იცი, საქართველოა, წმინდა
ადგილიანები".

თქვენი არ ვიცი და, ჩემთვის, სხვა არცთუ ბევრი მიზეზის გარდა, ამ იშვიათი და ბედნიერი შეგრძნებების გამო ღირს ცხოვრება, ამიტაც მიყვარს პოეზია და ამ წიგნში უთუოდ შეხვდებით და იგრძნობთ, კიდევ ერთხელ, თუ რა რამხელა ძალა აქვს სიტყვას, პოეზიას და, რასაკვირველია, თავად შემოქმედს, რომელიც შიგადაშიგ გაფიქრებინებს: „როცა სიფაქიზე გაკლია, ფარდას ნუ ეხები". და არათუ გაფიქრებინებს, იძულებულს გხდის, დროებით კითხვა შეწყვიტო...

„სად არიან შვილები, შვილები სად არიან" — კითხულობს პოეტი ბოლო დროის ცნობილ ლექსში. ბევრი რამის თქმა შეიძლება აქ, ითქვა კიდეც და მომავალშიც იტყვიან ჩემზე გაცილებით უკეთ, მე კი მხოლოდ ესღა შემიძლია ვთქვა, რომ არიან ისეთი შვილებიც, საქართველოდან შორსაც რომ ასე ფიქრობენ:

„ჰეი მავანნო,
ვინც ეძებთ სამოთხეს,
ჩემი სამოთხე ეს ჯოჯოხეთია!
ეს საქართველოა!"

უცნაურია, ალბათ, რასაც ვწერ. ალოგიკურიცა და სადავოც. მაგრამ უცნაურია ეს წიგნიც და, საერთოდაც, ეს საქართველოა, ასეთია იგი.

ამ ქვეყანაში ერთდროულად შეგიძლია თქვა ესეც:

„ქათამმა დადო ვერცხლის კვერცხი,
ოქროს ველოდი.
კმაყოფილი ვარ ჩემი ბედით —
საქართველოთი".

და ესეც:

„სამშობლოში რომ ვარ და სამშობლო რომ
მენატრება,
მახსენდება გურამიშვილი,
ვეუბნები: „კარგი ჰქენ, რომ არ ჩამოხვედი!"

გარდა ინტენსიური პატრიოტული ლირიკისა, რომელიც, ასე ერთბაშად და ერთიანად, შესაძლოა, სიახლეც კი იყოს მისი მკითხველისთვის, უნიკალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პოეტის ხმა უკანასკნელ ხანებში, ხმა, რომელიც ყველას ესმოდა და აერთიანებდა — ჯენზისაც და ძველ მკითხველსაც, სწორედ ბესიკ ხარანაულმა თქვა ის, რაც უნდა ეთქვათ „ძველებს", და ის, რაც აუცილებლად უნდა მოესმინა ახალ თაობას:

დამთავრდა ერა
პალსტუხიანების,
მუცელგველიანების!
...
მე შორს დავუდგები,
შორს დავესახლები,"
ვუყურებ,
დავტკბები,
ვუყურებ,
გავძღები:
ასპარეზზე გამოვლენ ახლები!

ის არ შემოიფარგლა მხოლოდ ამ შეძახილით: „გაილვიძე, საქართველო, ადექ, ტანი დაძარი!" შეგვახსენა ჩვენი საუკუნოვანი ეროვნული ხსნის გზაც, რომელიც მუცელგველიანებმა ეჭვქვეშ დააყენეს: „საქართველო, შენი გემი ევროპისკენ დაძრულია!"

ბევრი ვიფიქრე, როგორ გადმომეცა გულწრფელად ჩემი გაოცება, რომელიც წიგნის წაკითხვის შემდეგ მქონდა, ან დამეწერა თუ არა საერთოდ ეს ტექსტი, საბოლოოდ, ამ საქმეშიც პოეტი დამეხმარა, უწინარესად წიგნის სათაურით - „ეს საქართველოა" —შესაძლოა, მათ შორის, ამის თქმაც სურდა, რომ ესაა საქართველო, ასეთია იგი, სადაც, საბედნიეროდ, დღემდეა ბესიკ ხარანაულის პოეტური მარგალიტები მიმობნეული, ისევე როგორც ლოცვაცა და წყევლაც, ილბალიცა და უბედობაც, მორალიზმიც, სასიცოცხლოდ აუცილებელი და, ზოგჯერ, მოყირჭებული პატრიოტიზმიც, უიმედობაცა და ნუგეშიც, ბრაზიცა და შეგულიანებაც... დასასრულ კი ასე მოვრიგდით:

ჩემო ახალგაზრდა კაცო,
მე კი ვიცი, სხვას რომ ვმღერი,
მაგრამ, რა ვქნა, ეს ბებერი,
და ეს ოხრად დასარჩენი,
სხვისი არავისი არის,
საქართველო არის შენი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო დარბაისელი სტრონი

# ნელი ტანგო — პროზიდან პოეზიაში





ამას წინათ ერთ ახალგაზრდა კრიტიკოსთან კომენტარი დავტოვე ერთ ლიტერატურულ საიტზე (მერე, მგონი, ოპუსადაც ვაქციე), ქართული კონვენციური ლექსის განვითარების პერსპექტივას პოლიფონიაში ვხედავ-მეთქი და ნიმუშად მურმან ლებანიძის ლექსი ვიგულისხმე, რომელსაც ქვემოთ მოვიხმობ.

მჯერა, ჩემსავით ბევრს გიყვართ.

ამ ლექსს, გარდა პოლიმეტრული რიტმისა, უცნაური შინაგანი კომპოზიციაც აქვს, ასოციაციური რკალური ნახტომებით ბმა კომპოზიციურ ნაწილებს შორის.

აქ თითქოს დიდი, ტრაგიკული ემოციიდან – ლექსის დაბადებამდელი რალაც მომენტია მოხელთებული.

და ეს ყველაფერი მოქცეულია მცირე ზომაში. სათქმელისთვის – ლექსის ოპტიმალური ზომის განსაზღვრა, მეტადრე თანამედროვე ქართულ თავისუფალ ლექსში ხომ ტიპობრივ პრობლემადაა ქცეული და ამ მხრივ სხვაზე ნაკლები ცოდვა არც ამ წერილის ავტორს მიუძღვის .

ადრე ალბათ ამ ლექსზე რომ მესაუბრა თქვენთან, უფრო იმის ნიმუშად დავასახელებდი, თუ სიტყვა „სხვათაშორის" – როგორ ზიდავს მთელს პოეტურ- კომპოზიციურ კონსტრუქციას.

მთელი ცხოვრებაა ვუტრიალებ ამ ლექსს, როგორც ამოცანას და ახლა, მგონი, ახალ რალაცას მივაგენი.

ვცდი, ვიტყვი და თუ არ გამომივიდა, არ დამძრახოთ!

***

სიტყვა „სხვათაშორის" რა ფუნქციის მტვირთველადაც მიმაჩნდა აქამდე, ეტყობა, მთლად ზუსტი არ ვიყავი. ახლა ვფიქრობ, რომ რალაცას მეტისმეტად ვაზვიადებდი...

იგი არა მზიდი, არამედ „თანამზიდი" ჩანს, ხოლო ძირითად მზიდად მესახება სტრიქონი:

„ნელი ტანგოა ეს ქვეყანა, გურამ!"

შეიძლებოდა, უბრალოდ, ალგვენიშნა, რომ აქ პოეტი ტრაგიკულად გარდაცვლილი მეგობარი პროზაიკოსის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოების სათაურს ახსენებს , ოლონდ უბრჭყალებოდ („ნელი ტანგო") და ამას დავსჯერებოდით, ან უფრო შორს „გაგვეცურა" – რეალურ ფაქტს – სხვისი გადარჩენისას გურამის დახრჩობასა და მის ცნობილ მოთხრობაში გადმოცემულ ამბავს შორის – კაცი რომ დახრჩობისგან ცოლ-შვილის გადარჩენისას თვითონ ილუპება – აშკარა კავშირი დაგვეფიქსირებინა და დანანებით გვეთქვა, რომ მწერალმა იწინასწარმეტყველა საკუთარი გტრაგიკული აღსასრული... მაგრამ

საქმე გაცილებით საინტერესო ჩანს.

მათთვის, ვისაც ლირიკული ნაწარმოების კომპოზიციაზე ნაკლები ინფორმაცია აქვს, მოკლედ განვმარტავ:

ეს ლექსი სამი სტროფოიდისგან შედგება.

სტროფოიდს ვუწოდებთ ლექსის რიტმულ-ინტონაციურად გამოყოფილ გრაფიკულ ბლოკს, რომელიც – რიტმულად არც თანაზომიერია სხვა ბლოკებისა და არც პოტენციურად თანაზომიერი.

მარტივ არითმეტიკას მივმართოთ და გადავთვალოთ სტრიქონები:

1. პირველი სტროფოიდი – რეფრენული წყობისაა,

(„მე რა ვიცოდი") და 10 სტრიქონია. უფრო ზუსტად, მაგრამ ზერელედ რომ ვთქვათ, ეს იქნება ხალხური ხმითნატირლების ცხრამარცვლედს პლიუს რეფრენი

(ლექსის კვლევის პროფესიონალებო, ლექსმცოდნენო, მაპატიეთ, რომ ტაეპს არ ვიყენებ! – არ ვაპირებ აქ რთულ სტრუქტურულ ანალიზს).

2. მეორე სტროფოიდი 6 სტრიქონს მოიცავს.

3. მესამე – 7-ს.

ბეჭდურად გამოქვეყნებული ტექსტის მონაცემები რამდენად ზუსტად ემთხვევა ჩემს ზეპირ ანგარიშს, ვერ გეტყვით, მეხსიერებას ვეყრდნობი, თუმცა ზუსტად, დაბეჯითებით გეტყვით ერთს, რომ ლექსში ნამდვილად გვაქვს სტროფოიდები და არა სტროფები!

რეფრენი, რომელიც პირველი სტროფოიდის გარდა, ალარ მეორდება, იქცევა რიტმული იმპულსად, რიტმულ ექოდ, რომელიც ვარიაციებს ქმნის ქორე-დაქტილურ რიტმთან, მეორე „მარიტმიზირებელი" ფაქტორია – ორმარცვლიანი, ქორეული აგებულების საკუთარი სახელი „გურამ!"

ეს სახელი სამსავე სტროფოიდში მეორდება და ამ განმეორების წყალობით, ჯერ ლექსის კიდევ ერთი რიტმულ-ინტონაციური და შემდგომ, მაღალ საფეხურზე კი მთელი ლექსის კომპოზიციური ფიქსატორია.

ზოგადად, ლექსის კომპოზიციას აქვს შინაგანი და გარე მხარეები, ასე ვამბობთ პირობითად, სამუშაოს გასაადვილებლად, თორემ, სინამდვილეში, არ არსებობს კარგი ლექსის არათუ კომპოზიციური, არამედ არცერთი მომენტი, რომელიც უნისონში არ მუშაობს, ყველაფერ დანარჩენთან, როგორც აქ, ამ შემთხვევაში.

გარე კომპოზიციაზე ფიქრისას უნდა ალვნიშნოთ, რომ პირობითად, იგი ასეა აგებული:

პირველი სტროფოიდი – პირადი დამოკიდებულება – ადრესატსა და ავტორს შორის (ფსიქოლოგიურად ცნობილი რამ. ვილაცის დაკარგვის, დალუპვის შემთხვევაში ხომ მუდამ ახლიდან „ვკითხულობთ" ჩვენი ურთიერთობის მთელს ისტორიას და რალაცას, მიმანიშნებელს ვეძებთ.

და თითქოს ვპოულობთ კიდეც ჩვეულებრივ, ყოფით ურთიერთობაში, რალაც ნაწინასწარმეტყველებს, მიმნიშნებელს მომხდარის შესახებ („მე რა ვიცოდი").

მეორე სტროფოიდი უკვე მომხდარს გვაგებინებს.

მესამე – შემაჯამებელია, თითქოს სონეტის ჟანრობრივი, მსუბუქი მონახაზივითაა, არა?!

(თეზა – ანტითეზა – დასკვნა?)

დასკვნითი სტროფოიდი გვაცნობს, თუ რა მოხდა „პოსტ ფაქტუმ", ანუ ტრაგიკული შემთხვევის მერე.

მე ამ ოპუსის წერა კონკრეტული მიზანდასახულებით დავიწყე და ვატყობ, სათქმელმა შემიყოლია და ლექსმცოდნეობითი ტრადიციის – ერთი ლექსის ანალიზისკენ გამიტყუა.

უმჯობესია, კონკრეტულ საკითხს დავუბრუნდეთ.

კერძოდ, ვცადოთ, გავარკვიოთ, თუ, გარდა ზემოთ ნახსენებისა, რა ფუნქციას ასრულებს სტრიქონი:

ნელი ტანგოა ეს ქვეყანა გურამ!"

ამაზე საპასუხოდ უნდა გავიხსენოთ, რომ თემატურად – გურამ რჩეულიშვილის ალნიშნულსათაურიან პროზაულ ნაწარმოებში გადმოცემულია ამბავი, თუ როგორ დაილუპა მამა, რომელმაც ზღვაში დახრჩობისაგან იხსნა საკუთარი ცოლშვილი,

...მაგრამ, როგორც ზემოთ ალვნიშნე, აქ გაჩერება არ ეგების.

გურამ რჩეულიშვილის პროზაულ ნაწარმოებში სწორედ კომპოზიცია იმდროინდელი ქართული პროზისთვის უცნობი (ან ნაკლებად ცნობილი) ხერხითაა აგებული.

კერძოდ, ტრადიციული კვანძის გახსნა უშუალოდ მომხდარს კი არ მოსდევს, ან ამ ამბის რაიმე ნაწილი კი არაა, ასე ვთქვათ ფაბულის გასიუჟეტების წყალობით, არამედ საერთოდ „გატანილია" სხვაგან ( გავიხსენოთ: პირველი, დიდი ნაწილი მოთხრობისა მთავრდება იმით, რომ მთელი ოჯახი უკვე ნაპირზეა გამოყვანილი და მაშველები წყალნაყლაპი დედისა და ბავშვის გადასარჩენად ირჯებიან, აქაა აქცენტი!).

რა ხდება მოთხრობის მეორე, დასკვნით ნაწილში, რომელსაც სრულიად სხვა რიტმიკა, სხვა ანტურაჟი, ასევე სრულიად სხვა მოქმედი პირები ჰყავს?

რა და – „ტანცებზე" ნელი ტანგოს მუსიკაზე, ვინმე ბიჭი ცდილობს, საუბარი გააბას ცეკვის პარტნიორ უცხო გოგოსთან, ოლონდ ტიპობრივი „შემბმელი" კლიშეებით გაბეზრებული ბიჭი ახალ გზას ეძებს და იმ დღეს მომხდარის შესახებ ეკითხება. თუ გაიგეთო.

ასე, მისი „სხვათაშორის" ნათქვამიდან ვგებულობთ, რომ ცოლშვილის გადამრჩენ მამას მამას ჯერ კიდევ ნაპირზე გამოსვლამდე გული გახეთქვია და ნაპირზე მომკვდარა.

აი, ამ პროზაული კომპოზიციის ანალოგიური აგებულება აქვს ლექსსაც.

სიტყვა „სხვათაშორის" ლექსში იქცევა იმ კორელატად, რომელიც გვაბრუნებს უკან ლექსის საყრდენ სტრიქონთან – „ნელი ტანგოა ეს ქვეყანა, გურამ".

დასასრულ, მთავარი კონცეფცია რჩეულიშვილის ნაწარმოებისა შეიძლება ასეც ჩამოვაყალიბოთ:

– ის, რაც ჩვენთვის ტრაგედიაა, სხვისთვის შესაძლოა, სხვათაშორის მოსაყოლ ამბად იქცეს.

ამგვარადვე „ითარგმნება" ლებანიძის ლექსის „ბიჭებიანი" სტროფოიდიც.

ვფიქრობ, ეს ლექსი-შედევრი ამ მხრივაც უნიკალური მოვლენაა.

**მურმან ლებანიძე**

**გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას**

გურამ! ახალციხესთან ტბა ყოფილა –
მე რა ვიცოდი!
გურამ! ტბასთან სათიბი ზღვად ყოფილა,
მე რა ვიცოდი!
იქ სლავურ სოფელს რა უნდოდა,
მე რა ვიცოდა!
და სანადიროდ, საკალმახოდ, ცხენთა
სახელდნად რომ მპატიჟობდი,
ველარასოდეს თუ ვერ გნახავდი,
მე რა ვიცოდი!

„ნელი ტანგოა" ეს ქვეყანა, გურამ!
ხომ არ იცეკვებო, – ათასჯერ მორიდებით
მკითხეს!..
აბასთუმანში, ჭიქა არაყზე,
„გურამი დამხრჩვალაო", –
სხვათაშორის ბიჭებმა მითხრეს...

ან გვაგონდები
ჩუმი სევდით და ჩუმი წყენით,
ვინც კაცურ მჯილით გრანიტებს ფშვნიდი.
გურამ,
შენს წიგნზე დავხატეთ ცხენი –
შენს კისერს უგავს
კისერი – მშვილდი!

# ის, რაც არ (ვერ) დავივიწყეთ

### მოგონებები, რომლებიც ვერ გადავყარეთ

მარჩინ ვიხას რომანი „ნივთები, რომლებიც არ გადამიყრია", პირველ რიგში, მეხსიერების წიგნია. აქ ნივთები და მოგონებები ერთ სივრცეში მოძრაობენ და თან ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან. ნივთები არიან სწორედ ის დამაკავშირებელი საშუალებები, რომლებსაც ზუსტად მივყავართ იმ ამბებთან, რაც ოდესმე ჩვენ გადაგვხდენია, რაც გარშემო მყოფ საყვარელ ადამიანებთან გვაკავშირებს. აქ ყოველ ნივთს საკუთარი ამბავი აქვს სათქმელი, ყოველ წაკითხულ თუ წაუკითხავ, თაროზე შემოდებულ წიგნს თავისი ისტორია დაჰყვება თან.

მაგრამ როგორც ავტორი წიგნის დასაწყისშივე გვეუბნება, ეს წიგნი არის დედამისზეც, გარდაცვლილ დედაზე და ამიტომაც მხიარულიც ალარ იქნება. მიუხედავად ავტორის ჯიუტი წინააღმდეგობისა ყოველი მოთხრობილი ამბავი საკუთარ ირონიული თუ სარკასტული სტილით შეფუთოს, ყოველი მისი ღიმილის ღიმილი ტექსტის უკან მაინც სევდანარევი ღიმილია.

ამიტომაც, რამდენადაც ავტორი საუბრობს ნივთების გამოხშირვაზე, მათ გადახარისხებაზე, გადასაყრელად თუ დასატოვებლად, ის ამასთანავე ახარისხებს საკუთარ მოგონებებსაც. ეს ყველაზე საინტერესო პროცესია და მე ვიტყოდი საშიშიც, რადგან მეხსიერება არის ერთ-ერთი ის ნაწილი, რომელიც ადამიანებად გვამყოფებს, რომლებსაც საკუთარი ისტორიები აქვთ. მცდელობა, რომ მეხსიერება მოიხელთო და ყოველი მოგონება გამოხშირო, ხშირად რთულიცაა, მაგრამ ამ გახსენების პროცესში სრულიად მივიწყებულის პოვნაა შესაძლებელი. მწერალიც ამას ცდილობს, საკუთარ მეხსიერებაში დაიარება და ამბებს აკონინებს, ისტორიებს ეძებს წარსულიდან, ამიტომაცაა, რომ მისი თხრობის სტილი არ არის მწყობრი და თანმიმდევრული, რომანს არც სიუჟეტი გააჩნია და არც დრამატული მწყობრი ხაზი, თავისი კვანძის შეკვრით, გახსნით თუ ფინალით.

### „ჩვენ შეგვიძლია ყოველივე ეს დავწეროთ"

მაგრამ თუკი ვსაუბრობთ მეხსიერების ქექვაზე, მოგონებების თაროდან გადმოლებაზე, მაშინ ამისთვის შესაბამისი იარაღია საჭირო, როგორ მოვახერხებთ ყოველივე ამას? ან როგორ შევძლებთ, ეს ყველაფერი, რაც გავიხსენეთ, კვლავ დავიწყების ქვიშაში არ ჩავაბრუნოთ? ამის პასუხი სწორედ წერაა, წერის შესაძლებლობა, რომლითაც მოახერხებ დავიწყებული გააცოცხლო, უსულოს სული შთაბერო, ამბები გააცოცხლო იმისთვის, რომ დავიწყებას არ მიეცნენ, წერა თითქოს ბრძოლაცაა დავიწყებასთან.

ეს ძალა კი საკუთარ თავში ავტორმა ბავშვობისას აღმოაჩინა, როდესაც სახლში წყალი დროგამოშვებით წყდებოდა და ერთ-ერთი ინჟინერი კი, რომელიც პასუხისმგებელი იყო შესაბამის საქმეზე სპეციალისტები გაეგზავნა, ზარებს არ პასუხობდა. ამიტომაც დედა წერილის წერას იწყებს, საჩივარს წერს გაზეთში გამოსაქვეყნებლად. ამ დროს ავტორი ხვდება, რომ სწორედ ის, რომ წერა შეუძლიათ, აძლევთ მათ განსაკუთრებულ ძალას და ამის შემდეგ მსგავს სიტყვებს წერს, რა თქმა უნდა, ზუსტი ირონიულობით და ეს ირონიულობაც საკუთარი თავისკენ უფროა მიმართული:

„აჰ, ინჟინერო კოპშჩიავკო. როგორ შეგრცხვება! მთელი ქალაქი წაიკითხავს ამას, შენი ცოლი ცრემლებს ჩაყლაპავს. შენი შვილები სირცხვილით დაიწვებიან.

შენი უფროსი აილებს ტელეფონს და ნამდვილად გამოგაგდებს სამსახურიდან. ოთხ ქარს გაგაყოლებს, ინჟინერო. მაშინ კი გაიხსენებ, რომ სპეციალისტები გამოძახებაზე უნდა გაგეშვა მადალინსკის ქუჩაზე. რამდენჯერ გთხოვეს, მაგრამ უშედეგოდ.

ახლა მოცუნცულდები. შემოსასვლელში ხალიჩაზე იწრიალებ, მაგრამ უკვე გვიანი იქნება. იმას მიილებ, რასაც იმსახურებ, რადგან ჩვენ შეგვიძლია ყოველივე ეს დავწეროთ."

### ადორნო – ცელანი

პოლოკოსტის შემდეგ, 1949 წელს თეოდორ ადორნო იტყვის, რომ აუშვიცის (იგივე ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი) შემდეგ პოეზიის წერა ბარბაროსობაა. ეს სიტყვები, პირველ რიგში, ცელანის ლექსს მიემართება „სიკვდილის ფუგას", რომელიც სწორედ საკონცენტრაციო ბანაკის ამბებს ეხება, იმ სისასტიკეს, რომელიც სწორედ ევროპულ კულტურაში ჩაისახა („ხოლო სიკვდილი მოძღვარია გერმანიიდან" (თარგმანი ზვიად რატიანისა), მაგრამ მარტო ცელანის ლექსშიც არ უნდა იყოს საქმე, ეს სიტყვები შეიძლება მივმართოთ კაცობრიობაში დატრიალებულ ყველა ტრაგედიას, რომლის შემდეგაც ავტორს შეუძლია მასზე წეროს სრულად გააზრებულად. მაგრამ აქ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცელანმა თავად გამოსცადა საკონცენტრაციო ბანაკი, თავად იყო მსხვერპლი იმ სრული ტერორის, რასაც ფაშიზმი ჰქვია. მარჩინ ვიხას ტექსტშიც ტრაგიკულ ამბებს ვაწყდებით, მაგრამ, პირველ რიგში, ეს ამბები იმიტომაცაა უხერხულად ალსაქმელი, რომ ეს ტრაგედია ავტორისაა, ამბავია დედამისის სიკვდილზე და მის სიკვდილისპირა პერიოდზე, კითხვისას გიჩნდება სწორედ მსგავსი განცდა და გაბრაზებულმაც შეიძლება იკითხო: როგორ შეიძლება წერო შენთვის ყველაზე მტკივნეულ თემაზე, მით უმეტეს მაშინ, როცა თხრობა არაა ელეგიური, უფრო მეტიც, ავტორის ირონიაც იგრძნობა. ეს გაბრაზება სწორედ ავტორს შეიძლება მიემართოს, რომელიც წიგნის დასაწყისშივე გვეუბნება, რომ ეს წიგნი მხიარული არ იქნება, რადგან გარდაცვლილ დედაზეა, მაგრამ იქვე ამასაც დასძენს: „დედამ მითხრა: „ცხოვრებაში ყველაფერს ვერ გადააკეთებ სასაცილო ისტორიებად". ვიცოდი, რომ სიმართლეს ამბობდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვცდილობდი."

**ილია ჭანტურია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

## პაატა ნაცვლიშვილი







### კეთილი ადამიანებისა და 544 გვერდისა

რა ჩვევა აქვს მაინც ამ ფეისბუქს! ვთქვათ, გეჩქარება, შევირბენ რამდენიმე წუთითო, — იტყვი, შეირბენ და ისეთ რამეს გაგახსენებს, ისეთ რამეს ამოგიგდებს, რომ — რისი რამდენიმე წუთი! აღარც ის გახსოვს, სად გეჩქარებოდა და აღარც ის, საერთოდ გეჩქარებოდა თუ არა.

აი, იმ დილასაც, უკვე საგარეოდ ჩაცმულ-დახურულმა ერთი წუთით შევირბინე და ის ტექსტი ამომიგდო, პაოლო იაშვილის უცნობი პროექტის შესახებ, რომელიც 2020 წლის 2 ოქტომბერს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა და წინა საღამოს, ანუ ზუსტად 4 წლის წინ, 1 ოქტომბერს, როგორც საგაზეთო პუბლიკაციის ანონსი, ფეისბუქზეც დამიდევს.

იდენტური ტექსტებია, მხოლოდ ის არის, რომ გაზეთში უკვე ველარ, მაგრამ ფეისბუქზე ბოლო ფრაზა მივაწერე:

„თუმცა ამაებზე სხვა დროს".

ვგულისხმობდი არაერთ საკითხს, რომლებსაც ეს შთანაწერი ეხება და რომლებიც აუცილებელ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ის ტექსტი თავისთავად — სათაურიდან მოყოლებული — ისეთია, რომ თავს არაფრით დაგანებებს. მანამდეც და მას მერეც მაწუხებს პაოლო იაშვილის ამ უცნობი პორტრეტის ამბავი.

აკი ვწერ კიდეც:

„ბევრისთვის ალბათ უცნობია, რომ რომ XX საუკუნის პირველი ნახევრის თვალსაჩინო რუს მხატვარს, ექსცენტრიკულ რეალისტად და რუს პოსტიმპრესიონისტად მონათლულ ილია მაშკოვს (1881-1944) შესაძლოა პაოლო იაშვილი ჰყავდეს დახატული".

„პოეტის პორტრეტი" — ასე იწოდება ინტერნეტში ეს ტილო. იგი 1910 წლით არის დათარიღებული და ტრეტიაკოვის გალერეაშია დაცული მოსკოვში. ცნობილი რუსი ხელოვნებათმცოდნე, რუსული ავანგარდის აღიარებული მკვლევარი გლებ პოსპელოვი თავის მონოგრაფიაში „ბუბნოვი ვალეტი" (Бубновый валет, Москва, 1990) მას ორ ადგილას (გვ. გვ. 27 და 102) პაოლო იაშვილის პორტრეტად მიიჩნევს, ხოლო ერთგან — რუსი პოეტის, სემიონ რუბანოვიჩის პორტრეტად , თუმცა კი ფრჩხილებში ორივე შემთხვევაში კითხვის ნიშანსაც სვამს.

აქ მართლაც ისმის კითხვა. და თანაც რამდენიმე:

სად და როდის უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ცისფერყანწელი ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი და მასზე 13 წლით უფროსი ილია მაშკოვი — 1910 წელს შექმნილი მხატვართა ცნობილი გაერთიანების დამფუძნებელი წევრი?

რატომ უნდა დაინტერესებულიყო მაშინ უკვე ცნობილი მხატვარი 16 წლის ქუთაისელი ჭაბუკით, რომელსაც მისი „პოეტის პორტრეტის" შექმნის წელს ჯერ ერთი ლექსიც არ ჰქონდა გამოქვეყნებული?

და საერთოდ, არის თუ არა ტილოზე ასახული ახალგაზრდა მამაკაცი პაოლო იაშვილი?"

დღეს უკვე ნაკლებად, მაგრამ ამ ლიბროკუბიკულარისტული შთანაწერიდან ორი-სამი წლის განმავლობაში ინტენსიურად ვმუშაობდი, რომ აქ დასმულ კითხვებზე პასუხი მეპოვა და ზოგიერთი მართლა საინტერესო ვერსიაც გაჩნდა, თავისი არგუმენტებით, რომელთაგან ზოგიერთი რამდენადმე ცვლის ჩვენს ცოდნას პაოლო იაშვილზე. ვაპირებდი კიდეც, რომ უკვე ახალი ტექსტი დამეწერა, უკვე არა შთანაწერი, არამედ ნარკვევი, თანაც ლიტერატურული კი არა, არამედ მეცნიერული, რომ უცებ:

ბახ!

აულიათ კეთილ ადამიანებს ეს ჩემი ძველი ტექსტი და სამი წლის შემდეგ, დაუკითხავად, პირდაპირ წიგნში გაუშანშალებიათ.

არადა, მშვენიერი წიგნია, 544-გვერდიანი, ილუსტრირებული, პაოლოს მთელი შემოქმედებითა და მასზე საინტერესო მოგონებებით დახუნძლული.

ყველაფრის მიუხედავად, რომ ეთქვათ, ყველა საქმეს გადავდებდი და საამწიგნედ იმ, განახლებულ ნარკვევს შევთავაზებდი. მაგრამ არათუ უთქვამთ, ჩემი ტექსტი უჩემოდ აულიათ, არ ვიცი, რის მიხედვით შეუკრეჭიათ, სათაურიც გადაურქმევიათ და ისე დაუბეჭდავთ.

ჩემი სათაური — „პაოლო იაშვილის უცნობი პორტრეტისა" წიგნში „პაოლო იაშვილის" სავარაუდო პორტრეტად" ქცეულა. თანაც, — და ეს მთავარია, — ჩემ მიერ დამოწმებული რუსი ავტორის მოხსენება უცებ მთავარი გამხდარა, ჩემი ტექსტი კი — მისი მინაწერი. არადა, პირიქით არის. გლებ პოსპელოვი და ილია მაშკოვი ჩემი ტექსტიდან გაიგეს, ჩემი ტექსტიდან გაიგეს ალბათ ის წიგნიც, რომლის გამოცემის წელიც კი მივუთითე. მერე პოსპელოვის მოხსენების ტექსტი შეამცირეს და ჩემს ტექსტს წაუმძღვარეს. ჩემი ტექსტი რომ არ დაებეჭდათ, — არც არაფერი, ვიფიქრებდი, რომ წიგნი ნახეს, საინტერესოდ მოეჩვენათ, თარგმნეს და დაბეჭდეს-მეთქი. მართლა და მართლა, წიგნი ერთ ეგზემპლარად ხომ ამ დაუბეჭდავთ. მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ საქმე პირიქით იყო.

არ ვიცი, რა იყო ამის მიზეზი და რატომ მოიქცა ასე ეს კეთილი ხალხი. არ მინდა ვიფიქრო, რომ გრანტის გამცემს, სპონსორს თუ ვინმე სხვას თავი მოაწონეს, ნახეთ პაოლო იაშვილის უცნობი, სავარაუდო პორტრეტი ვიპოვეთო!

ლიტერატურის ნუსხაში მაინც ეხსენებინათ ჩემი წერილი, ან მადლობა მაინც გადაეხადათ, რომ პოსპელოვის მართლა საინტერესო წიგნი მივუთითე და პაოლო იაშვილის მაშკოვისეული პორტრეტი გავაცანი.

არადა, მადლობებისთვის ცალკე გვერდიც გამოუყვიათ და ძალიან კარგადაც მოქცეულან. ერთ-ერთს, ვისაც გამომცემლები სრულიად სამართლიანად მადლობას უთვლიან, ვკითხე, როგორ უნდა მოხვედრილიყო ჩემი წერილი ამ წიგნში ჩემს უკითხავად?

როგორრო, — აღშფოთდა — არ უკითხავთო?! არა, არ უკითხავთ, ჩემო ბატონო!

არადა, ამ ვეებერთელა წიგნში, თუ ბოლოში დართულ კონფერენციის მასალების ამონარიდებს არ ჩავთვლით, მგონი, ერთადერთი ცოცხალი ავტორი მე ვარ.

გეკითხათ, თქვე კეთილო ადამიანებო, იქნებ სამი წლის მანძილზე რამით შემევსო ჩემი მასალა, იქნებ მე თავად შემეცვალა სათაური, ან იქნებ საერთოდ არ მინდოდა მაგ კრებულში თანამშრომლობა.

ან ბოლოს და ბოლოს, — ვის აქვს დღეს საქართველოში ჰონორარზე პრეტენზია — ერთი წიგნი მაინც მოგეცათ და 60 ლარი არ გადამეხადა. თუ ამასაც არ ითვალისწინებდა გრანტი თუ სპონსორი?

დიდხანს ვმერყეობდი, დამეწერა თუ არა ეს ყველაფერი, ბოლოს გადავწყვიტე, რომ არ ღირდა, უკვე დავიწყებულიც მქონდა ის ამბები, მაგრამ ფეისბუქის მემორის განა რამე დაავიწყდება?! ამომიგდო და თავის რელსებზე გადამიყვანა ისე, რომ ბოლოში გასულმა ძლივსღა გავიხსენე, რა საქმეზე მეჩქარებოდა იმ დღეს ოლიმპიურ კომიტეტში.

ჰოდა, შემხვდა ერთ მშვენიერ დღეს წიგნის შემდგენელი და რედაქტორი, ჩემი მრავალი წლის კოლეგა და მეგობარი, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, და ეს ყველაფერი დაუფარავად ვუთხარი: იქნებ გაზეთში ყველაფერი შემოკლებულად დაიბეჭდა, იქნებ წერილში დასმულ კითხვებზე პასუხებიც უკვე მოვძებნე, იქნებ პირველი პუბლიკაციის დროს რაიმე შეცდომა გაიპარა და, რაკი დაბეჭდვა გადაგიწყვეტიათ, ვინძლო იმის გასწორება მაინც ღირდა-მეთქი.

სხვა რა ევალება ან შემდგენელს, ან რედაქტორს?

ან კოლეგასა და მეგობარს?

სულ სიცილ-კისკისში გაატარა, სიურპრიზი მინდოდა მომეწყოო! პრეზენტაცია ჯერ არ გვქონია და იქ ვიტყვი, რაც საჭიროაო!

თითქოს მეორეკურსელი ჟურნალისტი ვიყო და წიგნსა თუ გაზეთში ჩემი გვარის მოხვედრაზე ღამე აღარ მეძინებოდეს. ან თითქოს ის მიხაროდეს, თუ ვინმე პრეზენტაციაზე ჩემზე ილაპარაკებს.

სიურპრიზი კი მართლა მომიწყვე-მეთქი, ვუთხარი.

საერთო ნაცნობის გამოფენაზე შემთხვევით შევეჩეხეთ ერთმანეთს, არც ის ყოფილა მარტო, არც მე, და ის ხანმოკლე საუბარი ჩემს თავშეკავებულ საყვედურებსა და მის კისკისს არ გასცილებია.

ის კი ვუთხარი, — რომ გეთქვა, წიგნისთვის უფრო ფასეულ მასალას მოგაწვდიდი-მეთქი.

არადა, სიურპრიზიო, არა?!

მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა. მეგონა დამირეკავდა, ან პრეზენტაციის ამბავს გამაგებინებდა, ან ბოლოს და ბოლოს, ერთ წიგნს მაინც გამომიგზავნიდა. საავტორო რომ ჰქვია.

გაგიგონია?!

აქ თითქოს კავშირში არ არის, მაგრამ ერთი ძველისძველი ოქროს სიტყვები უნდა გავიხსენო:

„საერთოდ ჩვენი საზოგადოება განიცდის განათლებისა და მორალის საშინელ დეფიციტს: შესაბამისად, ყველა ჩვენი მანკიერება ორ ცნებად რომ დავაკონკრეტოთ: დღეს გვჭამს და გვანადგურებს: უმეცრება და უსინდისობა".

ორ წინადადებაში სამი ორწერტილი მეტისმეტი მგონია, მაგრამ სიტყვები კი მართლა ოქროსია. სხვაც ბევრი კეთილი სიტყვა აქვს ამ კეთილ ადამიანს, — დასტურ კარგ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. ამ 544-გვერდიანი წიგნის იდეის ავტორიც სწორედ ის არის. დიახაც კარგი და სასარგებლო იდეის. და რა სასიამოვნოა, რომ ამ იდეის ავტორი თავად არის წიგნის გამომცემელიც, რომელსაც ხელს ვერავინ შეუშლის და ვერც ვერავინ შეზღუდავს საკუთარი იდეის მშვიდად განხორციელებაში.

ზემოთ რომ დავწერე, ყველაფრის მიუხედავად, მზად ვიყავი, რომ ეთქვათ, საამწიგნედ ტექსტის ახალი ვარიანტი შემეთავაზებინა-მეთქი, სწორედ ამ ოქროს სიტყვებს ვგულისხმობდი. იქ ნახსენები მანკიერებანი — უმეცრება და უსინდისობა — საერთო სატკივარზე კი მიუთითებს, მაგრამ სინამდვილეში ძირითადად მე მეხება. ყოველ შემთხვევაში, მე მამუნათებს, როგორ თუ ჩემსავე თანამშრომელს, რომელმაც მასთან ინტერვიუ ჩაიწერა და ჩემს არყოფნაში დაბეჭდა, საყვედური გამოვუცხადე. არადა, ვისაც გამოვუცხადე, მან მაშინაც ძალიან კარგად იცოდა და დღესაც, მით უმეტეს, ძალიან კარგად იცის, რატომ და რისთვის დაიმსახურა საყვედური.

საქმე ის იყო, რომ თავად ინტერვიუერმა გაწირა რედაქციის რამდენიმე თანამშრომელი, რომელთაც, როგორც ჩანს, დაარწმუნეს, ჩვენ არაფერი, რედაქტორი შვებულებაშია, დრო ვიხელთოთ, დავბეჭდოთ, ჩამოვა და დაე, იმან აგოს პასუხიო. ჩამოვედი და იმ ჩემი საყვედურებით თანამშრომლები უფრო მკაცრ სასჯელს გადავარჩინე. სხვა დრო იყო, სათქმელს თქმას ისე ვცდილობდით, რომ საბჭოური სისტემა თავისი მუხლუხებით ზედ არ შეგვდგომოდა.

შეიძლება იდეის ავტორმა არ იცოდეს, რაც ჩემი ოპუსის გამო ზემოთ დავწერე, ისევე, როგორც არ ის იცოდა, როგორ სცადეს მისი ინტერვიუს გამოყენება თავის დროზე. არც ის ვიცი, რა რეაქცია ექნება ამ ყველაფერზე ან საერთოდ ექნება თუ არა რეაქცია და არც არის ეს ჩემი საქმე. მე ვერაფრით ჩავერევი იმაში, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს იგი თავის საგამომცემლო სახლში, ვის ანდობს თავისი იდეის განხორციელებას, ვის წაახალისებს ან ვის გამოუცხადებს საყვედურს... ვერც იმის განმსჯელად გამოვდგები, ის ოქროს სიტყვები მართლა საერთო საზოგადო თავისტკივილად მიაჩნია, თუ მარტო მე ვგონივარ ასეთი?

ხოლო ის წერილი, საიდანაც ის ოქროს სიტყვები მოვიტანე, მრავალი წლის წინ ავტორმა ჯერ სხვა გაზეთში დაბეჭდა და მეორე წელს თავის წიგნშიც შეიტანა. სხვათა შორის, ის წიგნიც — ლიბროკუბიკულარისტი რომ არ ვიყო, ამას ყურადღებას როგორ მივაქცევდი — 544-გვერდიანია. ზუსტად! კარგი წიგნია, სხვათა შორის. იმ ჩემი განმაქიქებელი წერილის მიუხედავად. დროის კვალიც ემჩნევა და დროის უკვალობაც.

მეც ამ ჩემს იძულებით მინაწერს მემორის მიერ შეხსენებულ პოსტზე, ჯერ გაზეთში დავბეჭდავ და მერე ალბათ წიგნშიც შევიტან. წიგნის გვერდების რაოდენობა ჯერ არ ვიცი, რამდენი იქნება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში 544! ლიბროკუბიკულარისტები ასეთ წვრილმან ამბებსაც კი ყურადღებას აქცევენ.

და ბოლოს, თუ რომელიმე მკითხველი იკითხავს, რატომ ან იდეის ავტორი და გამომცემელი არ დაასახელე ან წიგნის შემდგენელი და რედაქტორიო, ვუპასუხებ: ჯერ ერთი, ორივე ქალია, მეორეც — მართლა კეთილი ადამიანები არიან, ერთსაც და მეორესაც არაერთი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული თავის ცხოვრებაში და ეს ერთი თუ ორი გაუგებრობა სახსენებელიც არ იქნებოდა, ფეისბუქს რომ არ შეეხსენებინა ჩემთვის დღეს დილას.

მართლა რა უადგილო ადგილას ამოგიგდებს ხოლმე ეს ფეისბუქი დავიწყებულსა და დასავიწყებელ ამბებს!

**პ.ს.** ხოლო თუ ჩემს ამ შთანაწერს ის მართლა კეთილი ადამიანები ნახავენ და მერე — „სჯობს-გვიან-ვიდრე-არასდროს" პრინციპით, — ამ მეორე, 544-გვერდიანი წიგნის გამოგზავნას ინებებენ, ვთხოვ, ჩემთვის გამეტებული ის წიგნი, სათანადო წარწერით, ჩემს მშობლიურ სკოლას — თბილისის პირველ გიმნაზიას მიართვან, რომელიც 55 წლის წინათ დავამთავრე და რომლის მდიდარი ბიბლიოთეკა თბილისის ომს შეეწირა. სხვათა შორის, სწორედ მშობლიურ სკოლას მინდა შევწირო ჩემი ბიბლიოთეკის სოლიდური ნაწილი.

### სულ სხვა ივანიშვილისა

მარინა ივანიშვილი ჩემს პარალელურ კლასში სწავლობდა პირველ საშუალო სკოლაში. ყველასთვის მოულოდნელად ადგა და უცებ მოქანდაკე გამოვიდა. თანაც ძალიან მაგგგარი მოქანდაკე. მამაჩემი მოქანდაკე იყო და კარგად ვიცი, რომ ქანდაკება არ არის მაინცდამაინც ქალის საქმე. მარინას მთელი შემოქმედება საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ქანდაკება სწორედაც მისი საქმეა.

ამას წინათ მარინა ივანიშვილის ალბომი ვიყიდე. არასტანდარტული ფორმატისაა — დიდი. ალბომს სამსონ ლეჟავას მშვენიერი ტექსტი ახლავს, ეპიგრაფად კი მარინას სიტყვები უძღვის:

„კაცობრიობის ისტორია სხეულთან ურთიერთობის ისტორიაა და ძალადობათა მატიანე.

სხეული და ძალადობა დროისა და სივრცის ერთ წერტილში — წმინდანთა მოწმეობრივი გზა.

სიკვდილისა და სიკვდილის დამთრგუნველი...

და სხეული, რომელსაც ვეზიარებით"...

სწორედ ასე ჰქვია ამ ალბომს — „სხეული, რომელსაც ვეზიარებით".

განსხვავებით სახვითი ხელოვნების ყველა სხვა ფორმისგან ქანდაკების ასახვის მთავარი ფორმა სწორედ სხეულია, ძირითადად — ადამიანის. მარინას ამ ალბომში თავმოყრილია მისი ტორსები, ნიუები, ადამიანის სხეულის გრაფიკული ჩანახატები.

ადამიანის სხეულის გარდა, ალბომში დაბეჭდილია მარინას ცხენებიც და კენტავრებიც.

მრავალი წლის წინათ ვიყავი მარინა ივანიშვილის სახელოსნოში და აღფრთოვანებული დავრჩი მისი შემოქმედებით. ამ ალბომმა ჩემი მაშინდელი ემოცია განმიახლა.

მართალია სამსონ ლეჟავა, როდესაც მარინას შესახებ წერს: „მისი შემოქმედება საერთაშორისო რანგის მოვლენაა".

დიახაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## დავით გოგოლაძე

### ალბომი

ალბომი –
მუხლებზეფენილი,
მაგონებს,
გამლილი,
ჟამს,
მთესველს...

ბებო წუხს:
– გაცვდება ფანელი!
ფლანელი ვერ უძლებს ჟამთა სვლას...

აკლდება ლამფაში ნავთს ალი...
ვამხნევებ სახლს-გარე მოურავს:
– უბეში ჩავუწყობ ნაფტალინს,
შენს ხალათს, ბებო, რა მოუვა!

დავყურებ მუყაოს ფოთოლს და
ნაღდია!
პო, განა ბლეფია!
ქოთქოთებს შავ-თეთრი ფოტოდან:
– ფუტკრებსაც უშველე, ბებია!

ასე თქვა, გარკვევით მესმოდა...
ვიკვირვებ:
– ხბო გეთქვა, ანდა – თხა...
ყვავილით სავსეა ეზო და
განალა რა შველა უნდათლა!

წინ – ბავშვი ანვალებს ჩია ჯამს,
გვერდით – ბრგე მიუძლვის ჯორს კოდას...
წუხს ბებო:
– ჩემ ჯორკოს ჭია ჭამს, –
კუთხეში ნაბლის ხის ჯორკო დგას...

ბაბუ ჭვრეტს ვენახებს ნამლიანს,
კარაქი გადადნა როს ერბოდ... –
ვპასუხობ:
– რა შეჭამს, ნაბლია!
ნაბლები უძლებენ დროს, ბებო!

უქმად დგას პატარა ბოტები,
მზეებმა ღრუბლები დაკოდეს...
არ ცხრება:
– რას ჭამენ ბატები,
ბატები გარეკე დიდ-კოდებს!

დიდ-კოდებს შოლტივით ბლებია...
ან იქნებ დაეცნენ მხალიანს...
ვიცინი –
„რა ბატი, ბებია...
ბატები დაეშვნენ, ხანია!"

მზე შუბის ტარზეა,
მაღლივ ძევს:
ღრუბლები, ალმები, –
ყოველი...
თენდება, ალბომზე მალვიძებს –
სისხლის და მამლების ყივილი.

ვეცემი ხის ჯორკოს და ფიჭებს,
ბებოსი კარადის კიდეა –
ნაფტალინს ჟამთა სვლა აფუჭებს,
ფლანელი უცვლელად კიდია.

### ძველი ქალაქი

ქარნი ჭადართა ეტლს აქანებენ
და მუშტაიდის ჩამოდის კიდეს...
ჭრელ აივნებმა ხის მაქმანები
წინსაფრებივით ჩამოიკიდეს.
ტირის ვიტრინა...
თარო...
წიგნები...
ფერდში შემდგარი ოფლი აციებს –
ვერესთან წმინდა მთა ქორწინდება,
ან ცით ინაღდებს ობლიგაციებს.
ჟვავნიც, ვით ნისლნი, მას აშურებენ-
ო, ქარით შრება მწველი ალაგი...
და ქალმერთივით ჩანს აჟურული
მინიდან, ახლა, ძველი ქალაქი.



1. ჩალათა- ჩასადები (წიგნის, უსტარის და ა.შ.).
2. გამოდარებისკენ წასული წვიმა;
3. ურთხელი.
4. სეფისტინი - საფილოსოფო წიგნი;
5. რაფათა - აქ: სახე;
6. ქრისტეს საცოლე - წმინდანი;
7. საჯები - ტაფები;
8. სიცონილი - დაზარება;
9. რაულად - რარიგად.

### შემოდგომა

(მანდაეთს)

დაეხირება ჭალას ჩალათა
და ნალიკონით ბეჟავს ბრე ზენიტს...
დგას შემოდგომა, ჩალავს ჩალათა,
ვიდრე ცას ასწვდა „ბეჟი" ბრეზენტი.

მტრობენ ვიეთნი დიდ აკაციებს –
ხმელთა სიყვითლეს ნაშლითო ქებით...
ჩამოდგნენ ზვინის დედაკაცები
გრძელი კაბით და წელში თოკებით.

***

საყოფელთა გარე ცხელა,
თუმც ცა იყო, უნაკეროო...
ნიფხარეთი შარეცხილა
ჩოღრათო თუ უნაგირი...
აღარ არის მეტი ჩარა-
უზვი მისდევს შარლატანებს;
საჯი ჩრდილით, მეტიჩარა,
მალე მოსდებს შარს ლატანებს.
და ამბავი ცუდად როა,
ნერტა იგრძნო პაქ სიომაც –
მზის ჩასვლამდე ცოტა დროა
(მიჰყვეს, უნდა, პქსიომას...).
ბინდი, ლუკმა ამო ხევსთა,
მიაცილებს მას კარამდი,
წითელ ფურცელს ამოხევს და
დამთავრდება მასკარადი.

### მარტვილი

(ქეთევანს)

ღამემ ცაზე მუგუზლები აყარა.
ნარინჯმიდნენ, ნუმნუბითა კეტავენ
სიამის ბალს. სათნო შერჩათ ალარა:
„– მარტვილ იქნე, მარტვილ იქნე, ქეთევან!"

დე, სასულეთკარიბჭენი დარაზონ –
არ მიირქვან სამშვინველი ახალი;
ნუც ათრობდეთ ბოსველია და რაზდონ,
ღრაჭათ გორა... ქარავანი... ალალი...

სეფისტინი გაუშლიათ იქ ორთა.
ბრძანებანი ალიხუნეს რა პირად!
რად მზის სხივებს განს აძლევდა იკორთა...
– რაბი, რაბი, შეეშველე, რაბი! რად...

ვით ეგონა – მოწამესა დაღლიდა
საჩხრეკელით ემისართა შეხება!
– გაიყიდე შებრალების დახლიდან...
ნეტავ, ასეთს რას უშლიდი შაჰ-აბასს?!

ჩაუხერგეს სასულეში სალაგმე...
ხორცსა, გვემის მიაფარეს, საბანი;
(სანადიმო გაიშალეს, სეფანი;)
„ილი, ილი..." სულსწრაფობით ალაგმეს;
შვილის შვილთა გარდაუცვეს სებინი...

მდუმარების იმუშავეს, მუშებმა.
– შენც არ დაგცდეს, ხმა არ დაგცდეს, პოეტო...
გინდ სიჩუმის მიიფარე, მუშამბა...
მწუხარება არ მოჰგვაროს პიეტომ...

ცრემლი მოსდით სანთლებისა, რაფათა.
– შესაცოდი ერთი იმათ ჰყოლიხარ.
შევერცხლილი, დაელმიჭა, რაფათა
უნდილაძეს, – უნდილ იმამყული ხანს.

ხმა, ზენოლის, ყაბულ არ არს, – ტაბუ ცნას.
ხმელზე წოლით „ქრისტესია საცოლე" ...
არ იხმევდა ცრუტსა, გინა- ტაბუცუნს;
ღრეკილია დაღრეკილი საწოლით.

– გაგაშიშვლეს, ფერდით ფერდსა ეკვროდი,
ჯალათები მოედანზე ათევენ.
სახე, – სათნო, დაგიშანთეს, ეგ მკერდი –
ქვეყნის დარად დაგიწინკნეს, ქეთევან!

ნაგლეჯ ხორცზე შემოაწყვეს საჯები .
ამოსუნთქვას თუ უთვლიან, რა ეულს,
საჟამნენი, – დროთა შულტნი, მსაჯები.
სიცონილი არა ჰქონდათ რაულად!

ღამემ ცაზე მუგუზლები აყარა.
ნარინჯმიდნენ, ნუმნუბითა კეტავენ
სიამის ბალს. სათნო შერჩათ ალარა:
„– მარტვილ იქნე, მარტვილ იქნე, ქეთევან!"

მკერდში ცხელი გაუყარეს, მახათი,
ააწინკნეს უწყალობლად მას კერტნი –
მოიმწყვდიეს მარწუხების მახეთი.
გალობისა ბულბულთ იხშეს ნისკარტნი.

ვერ გატეხეს, – ოხვრასაც არ ურიგებს;
მშვილდისა ყელს მიაგებეს საბელი;
შეაყარეს სანეშტენი ურიკებს,
მარტვილობას მოატარეს სოფელი.

„ხორში და დანეშტებული" ფართეა;
სვეტთა შორის მოთმინება დაგორავს...
მშრალი ძვლები გამოსტაცეს პართიას, –
უნაწილეს ნამიურსა და გოას.

ღამემ ცაზე მუგუზლები აყარა.
ნარინჯმიდნენ, ნუმნუბითა კეტავენ
სიამის ბალს. სათნო შერჩათ ალარა:
„– მარტვილ იქნე, მარტვილ იქნე, ქეთევან..."

## ანა ზაქაშვილი



### გაიცრიცა კაბა

შენ გაცრეცილს დაემსგავსე კაბას!
მისი ჩაცმა, ყველას ძლიერ, რომ სურს,
მაგრამ იცი? ის არ იზამს ამას!
შეგატოვებს, უცხო მზისფერ საკიდს!
მერე როცა შემოდგომის ფერებს...
შეერევა ხავსით სავსე ქვები,
გამოჩნდება ეს საკიდი წამით.
კაბა ელის იმ ერთადერთს ვნებით!
მაშინაც კი, როცა ასე ბრწყინავს
და ყურებით ვერ ძღებიან სხვები.
ის ჩაუვლის, თითქოს ვერც კი ამჩნევს.
გაიცრიცა,
კაბა!
მარტო დებით...
ფოთოლცვენას გაჰყოლია წლები,
ფიფქებს მისთვის შეუცვლია თმები,
ახლა კაბა სხვამ მოირგო თითქოს,
მანაც იცის მისი ვერ იქნები!

***

გულის სევდა შეერია წუხილს,
ახლა ალბათ შემოდგომაც მოვა!!!
ამ ფიქრებმა ვერ ისწავლეს ფრენა...
ჩემთან ისევ გაზაფხულის დროა!
უტყვი ლექსი მოსწყვეტია შარას,
ვინ დაითვლის ვარსკვლავების ციმციმს
მხოლოდ ერთი ამოსუნთქვა კმარა.
მიცხოვრია?! ნუთუ ასე ვიტყვით?
თუკი გულში მოლოდინი იხდის
ამ საფასურს შენს სახეზე ურყევს
ვიცი, ვიცი, მე თავადაც ვიცი!
რომ სამყარო უცდის წუთისოფელს
შენ შორიდან მოიტანე სიო...
და წასვლის წინ ცოტა მაინც გვიმძიმს

დაგვრჩება კი, მოგონება მაინც?
როცა ყველა მოლოდინით ვიწვით

შენ კი თამაშობ! აზარტულია?!

და ისე წახვალ, თითქოს არასდროს
გული, სიმართლეს არ აყოლია...
წვიმების შემდეგ, მზე კვლავ გამათბობს!
მაგრამ სიტყვები უსუსურია...

ყოველთვის როცა გამოიდარებს,
ყოველთვის როცა ასე რთულია,
ყოველთვის მოხვალ, არაფერს მეტყვი...
შენი სამყარო, ჩემით სრულია!

აგვისტოს თოვლი
– როცა ცის თალი ღრუბლებს შეიფენს
და აგვისტოში თოვლი წამოვა
მთვარე, დიდი ხნის შეყვარებული,
სამალავიდან ჩუმად გამოვა.
– სილაჟვარდეში კრთის შემოდგომა,
ალიონს უმღერს ბულბული სევდით.
ბაღებს ყვავილებს წყვეტს ნაზი სიო,
ახლა ბუნების სულისაც გვესმის.
– როცა ცის თალი ღრუბლებს შეიფენს
და აგვისტოში თოვლი წამოვა,
მაგრად შემოგხვევ ხელებს და გეტყვი,
მთვარე დღეს მხოლოდ ჩვენთვის ამოვა!
– როცა ცის თალი ღრუბლებს შეიფენს,
ცისკრის ვარსკვლავი როცა ამოვა,
სამი რამე მაქვს უკვე სათქმელი
ალარაფერი ალარ გამოვა:
1. მიყვარხარ, როგორც ნაწილი ჩემი;
2. ვერ გიგებ, როცა სულისთქმა წყდება;
3. მშვიდობით, რადგან ანტრაქტის ბოლოს
მე შენს წასვლაზე გული არ მწყდება!

### დასასრულია!

მაისის წვიმა ივნისსაც სტუმრობს,
ფიქრი კი განცდას გადაყოლია.
ღიმილში გრძნობას რომ ველარ გამჩნევ,
ვხვდები შენამდე უკვე შორია...

სამყაროს გული რადგან მაჩუქე
თანაც ისე, რომ არც მითხოვია...
გაურკვევლობის ზღვაში, რომ მტოვებ
არ დაწყებულის დასასრულია!

დაუშრეტელი მზერის აყოლით
სულსაც გაგიხსნი! გაზაფხულია!
მე ზუსტად ვიცი რაზეც ვსაუბრობ.

## გიორგი თედეთი



***

შეგხვედრიათ? უსევდიანო, ადამის მოდგმა?
მის მთრთოლარე ხმას რომ არ აჩნდეს შიშისა ბზარი?
და დათრგუნულმა, ეჭვნარევმა მან აღარ იცის,
თუ ვის გაულოს – ღმერთს თუ ეშმაკს სულისა კარი.

ჰაი, ჰაი, რომ ადამის მოდგმა გახდა ბოროტი,
ცოტასლა შერჩა სიყვარულით გამთბარი გული,
არ გაგვიხადო, ღმერთო ჩემო, სანთლით საძებნი
სიკეთით სავსე ადამიანის სათუთი სული.

***

ჟამი მოგვეცა, ღამის ქურქში მთლად გავიხლართეთ...
ოცდამეათეჯერ ოცდაათ იმ ვერცხლს უთვლიან,
შადიმანები, იუდები და კაენები
როგორ ყინჩად, ხედავთ? ცეკვავენ, ფერხულს უვლიან.

***

ეს დედამიწა, ქმნილი ღმერთისგან,
აჭრელებული ცისარტყელასავით,
ზოგან უდაბნო, ზოგან ხრიოკი,
ზოგან ჭაობი, ზოგან მეწყერი,
ზოგან სალი კლდე, ზოგან მთა-გორი,
ზოგან ბუჩქნარი, ტყე გაუვალი,
ზოგან ჩანჩქერის, ველურ მდინარის
ღრიალი ისმის დაუდგრომელი.
ზოგან ომია, ზოგან მშვიდობა,
ზოგან მაძღრობა, ბევრგან შიმშილი,
ბევრგან მტრობაა, შური და ღვარძლი...
ბევრგან სიკეთე სანთლით საძებნი
რად გაგვიხადე? ღმერთო, გვითხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მორის როსტიაშვილი

# ბატონი პოლკოვნიკი

აღიარება თურმე ისეთი შვება ყოფილა, ადამიანს მხრებიდან ერთბაშად რომ ჩამოხსნიან კაცის წონა ტვირთს – დიახ, ზუსტად ერთი კონკრეტული კაცის წონა ტვირთზეა საუბარი. საკუთარ თავთან გამოტყდომით იწყება ყველაფერი, შემდეგ დიდი შანსია სულიერსაც კი გაანდო და მოუყვე ყოველივე. ამ საქმეში საზომი არ არსებულა და ზოგჯერ ერთი საათი სჭირდება, ზოგჯერ მრავალი წელი – გააჩნია, ვის რამდენი ხნით შეუძლია თავისი ფიქრების მომკვდარუნება.

ჩვენს გმირს, გნებავთ „ბატონი პოლკოვნიკი“ უწოდეთ, გნებავთ „ცალფეხა პოლკოვნიკი“, ორივე მიმართვა რამდენადმე მართლაც მიესადაგება. თუმცალა ვიდრე ერთი გაგონებით აღიქვამს უცხო ვინმე ამ მიმართვების აზრობრიობას და პირველი, რაც თავში მოუვა, სინამდვილეში ცოტა სხვაგვარადაა: მაგალითად, სიტყვა „ბატონის“ ხსენებისას პირადად მე, მეტად პატივსაცემი და დაფასებული ფიგურა დამიდგა თვალწინ. ხოლო, როცა იმავე პიროვნებაზე მალევე გაჟღერდა „ცალფეხა პოლკოვნიკიო“, ერთიორად გაიზარდა დაფასებული ბატონის ფიგურა და ცალფეხობას თუ პოლკოვნიკობასაც მივუმატებდით, გამოდიოდა, რომ ფეხი დიდი ალბათობით ბრძოლაში დაეკარგა. ისტორია ველარ იტევს მსგავს და კიდევ უფრო ტრაგიკულად დასრულებულ ამბებს, მაგრამ მე მალე პატივი მხვდებოდა წილად, პირადად მეხილა იგი. რა დასამალია და დიდ ინტერესში ჩავვარდი, თუ ვინ იყო ის. ზოგად მასლაათში არც კი ჩავრთულვარ, ისე ვადევნებდი თვალს ავტომანქანის ფანჯრიდან უკან მოტოვებულ ხეებსა და გაქცეულ კადრებს, მაგრამ გასუსული ველოდი, კიდევ როდის იტყოდნენ რაიმეს მის შესახებ. ინტერესს ისიც ამძაფრებდა, რომ რამდენიმე მეგობარი მხოლოდ და მხოლოდ სათევზაოდ მივდიოდით და რა უნდოდა იმ ტბაზე ვილაც უცნობ გმირს, ან ჩვენთან რა ხელი ჰქონდა? იმედია თევზაობის უფლებას მოგვცემსო, – ასეთი რამეც კი წარმოთქვეს.

მალე გრუნტოვან გზაზე გადავუხვიეთ და მონჯღრეულ ურემში მსხდომებივით განვაგრძეთ მტვრის ყლაპვა. გზა თანდათანობით უარესდებოდა. კიდევ 2 საათი დაგვჭირდა და ასეთ განამანიაში მივაღწიეთ, როგორც იქნა, ადგილამდე. რამდენიმე წუთში უკვე მთლიანად დაკბენილ-დაგლეჯილი აღმოვჩნდი კოღოებისგან, ტანსაცმლის ჯაგრისიც კი ვინატრე მქონოდა, რათა წესიერად მომეფხანა ტანი და გული მეჯერებინა. ტბის შემოგარენი ისე მოეთიბათ, კაცი რომ სუფთად მოიპარსავს წვერს. ამ ადგილებს სათიბად იყენებდნენ და თან ნებისმიერს შეეძლო ესარგებლა თურმე. შორიახლოს საკმაოდ მოზრდილი კარავი შევნიშნე. სამხედრო კარავი იყო ალბათ და 8-10 კაციც კი მოთავსდებოდა. ერთი კი გავიფიქრე, აქაა ნეტა ის ცალფეხა პოლკოვნიკი-მეთქი? მაგრამ დაუპატიჟებელი სტუმარივით ხომ არ მივადგებოდი, ჩემი მეგობრებისთვის თხოვნას კი ჯერჯერობით აზრი არ ჰქონდა, ვიდრე თევზაობის წყურვილს არ მოიკლავდნენ.

კიდევ ცოტა ხანი, ვიდრე მოვამზადეთ ყველაფერი და მალე თევზაობამაც გაგვიტაცა. გადამავიწყდა ყოველივე, ჩამითრია ეშხმა და აზარტმა. როცა სატყუარას თევზიც ბარაქიანი მოსდევს, ეს სტიმულიც ათმაგდება ხოლმე და გაქრნენ კოღოები თავის ნაკბენებიანად.

თავიდან თითქოს წარმატებული თევზაობა უნდა გამოსულიყო, თუმცა მალევე ქარმა ხელი შეგვიშალა. ერთი ხანი იხტიბარი არ გავიტეხე და ლამის მთელი ტბა შემოვიარე ხელსაყრელი ადგილის ძებნით, მაგრამ ბოლოს სამივეს მოგვბეზრდა და წასვლა დავაპირეთ. უკვე საკმაო დროც გასულიყო და საც იყო, შებინდდებოდა. ჩვენი ტრანსპორტი ზემოთ ვახსენე და მართლაც ოთხთვალა ურემზე მაღლა არ იდგა, ფრუტუნ-ფრუტუნით კი მივაღწიეთ ადგილამდე, მაგრამ უკან წასასვლელად რომ მოვემზადეთ, აღმოჩნდა, თურმე საწვავის „კანისტრა“ გადაყირავებულიყო და დაცლილიყო. მძღოლს საწვავის ავზი გაუქმებული ჰქონდა და ამ „კანისტრიდან“ ცოტ-ცოტას ასხამდა ხოლმე. კი დავრეკეთ ახლობელ-ნათესავებში, მაგრამ ჩვენვე ვიცოდით, დილამდე ვერ ჩამოაღწევდნენ. წავიხემსეთ და დასვენებასა და ლამის გასათევზე რომ მიდგა საქმე, მერელა გაახსენდათ ეს მდელოზე შტაბივით დადგმული კარავი და მისი ხეიბარი უფროსიც.

როგორც იქნა ჩვენი შეხვედრაც შედგა. ხმელი და საშუალოზე მაღალი კაცი იყო პოლკოვნიკი. რაღაცით მკაცრი იერიც დაჰკრავდა. საფეთქლებთან კარგად შევერცხლოდა თმა. ცოტა უტიფრად კი მომივიდა და თვალხარბად მივაშტერდი ფეხზე. ადვილად შევნიშნე, რომელი ფეხი ჰქონდა მოჭრილი, რადგან პროთეზზე წამოცმულ გაქვავებულ ფეხსაცმელს ადვილად ემჩნეოდა, რომ უსულო საგანზე იყო მორგებული. ამის მერელა შევხედე სახეში და მისი დაჟინებული მზერა ვიგრძენი. თვალებით მეუბნებოდა – მოიკალი წადილი თუ შარვლის ტოტიც ავიწიო, განახო, სადამდე მაქვს მოკვეთილიო?

თევზი გამოვწალით, გავასუფთავეთ და ხის შამფურებზე შეწვასაც ვუპირებდით, მაგრამ ყელში მაქვს ამოსული, ჩემ გამო ნუ შეწუხდებითო – გვითხრა პოლკოვნიკმა და აღარც ჩვენ გამოგვიდვია თავი. ისე გულღიად კი მიგვილო ყველანი. ოღონდ წესიერად ვერ მივხვდი, რისთვის იყო იქ. ფუტკრებიო, სკებიო... რაღაცას იძახდნენ, მგონი ტყისპირებზე ვილაცის სკებს დარაჯობდა.

ჩამოღამდა. მალე ჩემთან მყოფებსაც მოუჩინა მოსასვენებელი ადგილი და მათაც ძილს მისცეს თავი. ჩამოვსხედით პატარა მაგიდასთან და თითქოს გული მიგრძნობდა, როგორ იყო რაღაც ამბის მოსაყოლად მოწადინებული. ისე, ვითომ სხვათაშორის ვკითხე, აფხაზეთში ყოფილხართ-მეთქი? ისიც თითქოს ამ კითხვას ელოდაო, სანთელი აანთო და დაიწყო მძიმედ საუბარი:

–1992 წლის 2 ოქტომბერს გაგრა დაეცა. ქალაქი ჩვენმა ჯარისკაცებმა მთლიანად დატოვეს. სამი დღის შემდეგ კი დაბა განთიადი და ლესელიძეც აფხაზებმა დაიკავეს. რაიონი უკვე დაკარგული იყო, თუმცალა გაგრის მთებში თითო-ოროლად შემორჩენილი ცალკეული ნაწილები კიდევ რამდენიმე დღე იბრძოდნენ. დახმარების იმედი არ უნდა გვქონოდა, ისეთ ბლოკადაში მოვექეცით. ქალაქთან მიახლოება მთლად შეუძლებელი იყო. იქ ქართულ მოსახლეობასაც კი სასტიკად მოექცნენ და პირწმინდად ამოხოცეს. ქუჩები გვამებით იყო სავსე. 8 ოქტომბრის ღამეს ორი კაცი დავრჩით ისე, რომ არანაირ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა და თავის გადასარჩენად ერთადერთი გზა გვრჩებოდა – თუ შევძლებდით და ტყე-ტყე მალულად გავაღწევდით, მერე კი ჩვენებს შევუერთდებოდით. ხელში რომ არავის ჩავვარდნოდით, მაქსიმალურად ვცდილობდით დასახლებებისაგან მოშორებით გვევლო. აღარ გვქონდა არანაირი ინფორმაცია, თუმცა მდინარე გუმისთიდან აღმოსავლეთით ტერიტორიები ჩვენებს ჰქონდათ გამაგრებული. სოხუმიც ჩვენი იყო. პირველ დღეებში, ვიდრე ჯერ კიდევ ღონე გვერჩოდა, საკმაო მანძილი გავიარეთ. თუ საჭიროება მოითხოვდა, არც მდინარეების გადალახვა გაგვიჭირდებოდა, დაგვეხმარებოდა ისიც, რომ შემოდგომობით წყალმცირობა იყო და არ შევფერხდებოდით.

ჩემთან ერთად მყოფს არჩილი ერქვა. ალბათ სულ რაღაც 18-19 წლის ბიჭი იქნებოდა. მანამდე არ შევხვედრილვართ, თუ სწორად მახსოვს, „ავაზას“ შემადგენლობაში შედიოდა, მე კი „თეთრ არწივში“.

ბნელოდა. გზაც აგვერია და ტყეში დავიწყეთ ისეთი თავშესაფრის ძებნა, მტრისთვის რომ შეუმჩნევლები ვყოფილიყავით. ფეხი საშინელ მდგომარეობაში ჰქონდა, გაგრაზე შემოტევის პირველსავე დღეს, ესე იგი, პირველ ოქტომბერს, ნამსხვრევით დაჭრილა. თანდათან ქსოვილები უშუპდებოდა და უკვე ვიცოდი, სველი განგრენა დაწყებული იყო. ეტყობოდა სხეულის ტემპერატურაც ზღვრამდე ჰქონდა მისული. საკვები მარაგი თითქმის მთლიანად გაგვითავდა. მხოლოდ რამდენიმე კონსერვი და ნახევარ-ნახევარი მათარა წყალიღა შემოგვრჩა. ეს მარაგიც, თუ ამას მარაგი ერქვა, ბოლოს დახოცილ მებრძოლებს ავაცალეთ. მალევე ძრავებისა და ხალხის ხმაც გავიგონეთ. სიბნელეში ვერ ვხედავდით, მაგრამ როგორც ჩანს, იქვე ახლოს ისეთი გზა გადიოდა, რომ იქ ჯავშანმანქანები შეძლებდნენ გადაადგილებას. ჩემი ვარაუდით, სადღაც იუფშარის ხეობასთან ვიყავით, იმ გზატკეცილთან ახლოს, რომელიც რიწის ტბისკენ მიდიოდა. ფაქტია, ჩვენები არ იყვნენ და ტყის სიღრმისკენ ვიწყეთ სვლა. რიგითი მხნეობას არ კარგავდა და თავის ოჯახზე ჩურჩულით მიყვებოდა. ჯიბეში ფანქარი და პატარა წიგნაკიც ჰქონია, რომელშიც აფხაზეთში ჩამოსვლის დღიდან ჩანაწერებს აკეთებდა. მაოცებდა მისი გამბედაობა და შემართება. მე მასზე ჩინით, სამხედრო ცოდნით, როგორც ჯარისკაცი ყველაფრით მაღლა ვიდექი, თანაც საღსალამათი, ის კი ასეთ დღეში სიკვდილის პირას... თუმცა მე ლაჩარი ვიყავი და ის გამბედავი ვაჟკაცი. მაშინ ლეიტენანტის წოდება მქონდა. გადაღლილობისგან ძლივს ვადგამდით ნაბიჯებს. არჩილს ხის ტოტისაგან ყავარჯენივით მარჯვე დასაყრდენი ჰქონდა სახელდახელოდ გამოთლილი და ისე მომყვებოდა უჩუმრად. გამთენიამდე დასვენება ორივეს გვჭირდებოდა და შედარებით მყუდრო ადგილას ულონოები დავეყარეთ. მას მაშინვე ჩაეძინა. მე კი ვცდილობდი ფხიზლად ვყოფილიყავი და ომის მომავალი ბედიც ფიქრებში განმესაზღვრა. ორი თვე იყო, რაც ეს ყოველივე მიმდინარეობდა და თითქოს თავიდან ჩვენ სასიკეთოდ წარმართული ბრძოლები შედეგს კარგავდნენ და მტრისკენ იხრებოდა იღბლის ისარი. გაგრის რაიონის დაკარგვა არაფრით შეიძლებოდა, ეს ომის მსვლელობას მთლიანად შემობრუნებდა. ვინ აღარ გვებრძოდა. ომი გამოგვიცხადა მთიელ ხალხთა კონფედერაციამ და ჩამოსვლა დაიწყეს ყარაჩაევო-ჩერქეზეთიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ადიღედან, ჩეჩნეთიდან...

ყოველიღამე უმოწყალოდ გაწელილი კოშმარი იყო, მაგრამ დაუსრულებელი მგონი მხოლოდ მარადისობაა. მალე ინათებდა. არჩილიც გავაღვიძე და ერთ საათში ისევ იქ მივედით, სადაც ღამით ხმაური შემოგვესმა. ჩემი ვარაუდი გამართლდა, მართლაც იუფშარის ხეობაში ვიყავით. გზატკეცილი საშიში ადგილი იყო, ამიტომ სწრაფად გადავჭერით და სიარული განვაგრძეთ. კიდევ ორი დღე-ღამე ვიარეთ ტყე-ტყე. ბზიფის ხეობას ახლოს მივუყვებოდით. ძალები თითქმის ამოვწურეთ. არჩილი მაინც არ ეპუებოდა. ამ ახალგაზრდა კაცში იმდენი სიძლიერე იყო თავმოყრილი, მიკვირდა, ასეთების ხელში ომს როგორღა ვაგებდით. ხისგან გამოთლილი ყავარჯენით კი მიაბიჯებდა, მაგრამ მთას შეანგრევსო – შემართება ზუსტად ასეთი ჰქონდა. ისე ღრმად და კარგად გააზრებინა სიმართლე ჩვენი ხალხისა, რომ აფხაზეთი ჩვენი კუთვნილი მიწა იყო, წინ არარა ძალა დაუდგებოდა. ვუყურებდი და ვფიქრობდი, ვის რად არგებდა ჩემისთანა საღსალამათი მხდალი, როცა არჩილისნაირი ბიჭები თავს არ ზოგავდნენ. მერე რა, რომ მისი სხეული უძლურდებოდა, მთავარია, რომ სულის სიძლიერეს გარკვეული დროით თავისი ლეშის თრევაც კი შეეძლო თურმე. მე უსაქმელობაზე, სახლზე, ოჯახზე, ჯანმრთელობაზე და ათას რამეზე ვნერვიულობდი – თითქოს მე ვიყავი ერთადერთი გაჭირვებული და ოჯახიანი. ის კი თავის საკვებ ძალას დიდი აზრიდან იღებდა, იდეა იყო მისი მკვებავი. სწამდა საქმის მნიშვნელოვანებისა.

როცა ტყეს ბინდი მოეძალებოდა და გვიღამდებოდა, გზას უმეტესად აღარ ვაგრძელებდით, რადგან ორი მეტრის იქით ვერაფერს ვხედავდით. თანაც საკუთარი გაფაჩუნებაც გვაფრთხობდა და სხვისა გვეგონა. სუნთქვას შევიკავებდით ხოლმე და გასუსულები ვაყურადებდით. მორიგი დღე ჯერ არ დასრულებულიყო, ნათელი იდგა და გზის გაგრძელება შეიძლებოდა. დავსხედით, ვითომ მცირე ხნით შესვენებას ვაპირებდით, მაგრამ ძალაგამოცლილებს ისე ჩაგვთვლიმა, როგორ დაგვათენდა, ვერ გავიგეთ. მთელი ღამე კი მკვდარივით მეძინა, მაგრამ ალიონამდე უკვე ძილ-ღვიძილში და მტანჯველ სიზმრებში გაველიე გარკვეული დრო. ამას არც დაღლილი სხეულის დასვენება ერქვა და არც განტვირთვა. ირიჟრაჟა თუ არა, ნახევრად მძინარე, ფეთიანივით წამოვხტი და ვიდრე გამოვერკვეოდი, თუ სად ვიყავი, რამდენიმე წამი თვალებს ვაცეცებდი დაფეთებული. არჩილს ისევ ისე ეძინა ხის ძირას მიწოლილს, თუმცა სახე უფრო ცუდი სანახავი ჰქონდა. სუნთქვაც მშფოთვარე და ავადმყოფური. შუბლი მთლიანად ოფლის მსხვილი წვეთებით დაცვაროდა. ჩემდაუნებურად საკუთარ თავს კითხვა დავუსვი – გადარჩება ნეტავ-მეთქი? საიდანღაც ნიავმა ლპობის სუნი მოიტანა. ალბათ ახლომახლო რაღაც ან ვილაც იყო მკვდარი და იხრწნებოდა. ვიდრე გავაღვიძებდი, ვიფიქრე, რომ წყლის მოძიება არ გამიჭირდებოდა და მისი მათარა ავიღე.

პოლკოვნიკმა უეცრად შეწყვიტა თხრობა და გაყვითლებული თითებით უფილტრო სიგარეტს მოუკიდა. რამდენჯერმე ხარბად მოქაჩა და წამოდგა. კარავში რაღაცას დაუწყო ძებნა და უმალვე ორი ჭიქა და სანახევროდ გამოცლილი ღვინის ბოთლი მაგიდაზე დაალაგა. დასხმასაც აპირებდა, რომ გადმომხედა და უცებ შეჩერდა, ჭიქებს ხელი წამოავლო და წყაროდან ამოტანილი წყლით მსუბუქად შემორეცხა, შიგნიდანაც გამოავლო და მაგიდასთან დაბრუნდა. სანთელიც უკვე ბჟუტავდა, ახალს გადაუკიდა და ძველის ნაღვენთში ჩააწება. წითელი ღვინო ჩამოასხა, უდაბნოში მოწყურებულივით გადაჰკრა უცებ და პირის წკლაპუნით დასძინა – გუშინ, აქვე რომ სოფელია, იქიდან მთიბავები იყვნენ და იმათ ამომიტანეს, მართლაც რომ კარგი ღვინოა, დალიეო. ხვეწნა-მუდარა არ დამჭირვებია, ჭიქას ხელი წავავლე და მასავით სულმოუთქმელად გამოვცალე, ვიფიქრე, ასე უფრო ესიამოვნება და საუბარს მალევე დაუბრუნდება-მეთქი. ღვინო გუშინ ალბათ მართლაც საუკეთესო იქნებოდა, მაგრამ ამ ნაკლურა ბოთლში სიცხისაგან უკვე გემო გაჰფუჭებოდა და იკბინებოდა, თუმცა დალევა მაინც შეიძლებოდა და რაკილა დავინახე, როგორ მომჩერებოდა სახეზე, აბა, რას იტყვისო, შევეცადე მეც კმაყოფილებით გავღრეჭილიყავი. თითქოს უცებ გონს მოეგოო, ისევ მძიმედ დაეშვა სკამზე და თავის გულისნადებს დაუბრუნდა.

– ჰოდა, მათარები ავიღე და ქვემოთ ხეობისკენ დავეშვი. გზა ამერია, ორიენტაციის უნარიც დავკარგე და ორ საათზე მეტი გზაკვალარეულმა ვიარე. შემდეგ მდინარეს მივაგენი. გონება დავძაბე, ოფიცრის ცოდნა მოვიშველიე და რაც კი რამ მქონდა ნასწავლი, ყველაფერი გავიხსენე. მივხვდი, რომ ის იყო მდინარე ბავიუ – ბზიფის მარჯვენა შენაკადი. უკვე ეჭვს აღარ იწვევდა, რომ იქვე იქნებოდა სოფელი ფსხუც. ფსხუში შორეული ნათესავის ოჯახი ცხოვრობდა, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, იქ რა ვითარება დამხვდებოდა და არჩილსაც დიდი ხნით ვერ დავტოვებდი, ამიტომ ისევ უკან დაბრუნება გადავწყვიტე. დრო უფრო ნაკლები დამჭირდა და დაახლოებით ერთ საათში უკვე ისევ იმ ადგილას ვიყავი, სადაც ღამე გავათიეთ. ადვილადაც მივაგენი და, ცოტა არ იყოს, იმედი ჩამესახა, ეგებ აქედან გაღწევაც შევძლოთ-მეთქი, თანაც გაგრის მთებიდან საკმაო მანძილი გამოგვევლო, მაგრამ მის სახეს რომ შევხედე, ვიგრძენი, სიხარული ნაადრევი იყო. მძიმედ სუნთქავდა და ცახცახებდა. ახლოს რომ მივედი, წყალი მივაწოდო-მეთქი, ხრწნის სუნიც ისევ მეცა და ავის მოლოდინით მის ფეხთან დავიხარე. ისეთი სუნი ამოვარდა, სული შემეხუთა და ორი დღის მშიერი რომ არ ვყოფილიყავი, გულის რევას ნამდვილად ვერ შევიკავებდი. საწყალ ბიჭს სველი განგრენის გამო ფეხი ულპებოდა და უკვე გვამის სუნი ასდიოდა. შარვალი დანით ფრთხილად გავუჭერი და დავინახე გაფუებული, მომწვანო ქსოვილები ცოცხალ ადამიანს ზედვე როგორ ალპებოდა. მუხლის ქვემოთ ამპუტაციაც კი საეჭვო იყო თუ გადაარჩენდა, დიდი შანსი იყო, რომ სისხლი უკვე მოწამვლოდა. ერთი კი გავიფიქრე, ფსხუში ხომ არ მივიყვანო-მეთქი, მაგრამ რაც გაგრაში ვნახე, იმის მერე რიღას იმედი უნდა გვქონოდა ორ ჯარისკაცს, როცა უბრალო მაცხოვრებლებიც კი უმოწყალოდ ამოხოცეს და ქალაქის ქუჩებში დაყარეს.

თავდაპირველად, ვიდრე აფხაზეთში მდგომარეობა მეტისმეტად გართულდებოდა, ოჩამჩირეში, სოფელ აძიუბჟაში მომიწია ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღით გაჩერებამ. თან მახლდა ერთი სერჟანტიც. ჩემი იქ ყოფნის მიზეზი არანაირად არ იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ მაშინ იქ ნანახმა მართლაც გამაოცა. არ ვიცი, გაგიგია თუ არა, მე კი იმ დრომდე არაფერი ვიცოდი აფროაფხაზების არსებობის შესახებ. ზუსტად როდის, როგორ, ვისი შეწევნით მოხვდნენ იქ. მხოლოდ ვერსიების დონეზე ყოფილა დღესაც. ერთნი ამბობენ, XVII საუკუნეში მთავარმა შარვაშიძემ იყიდა ისინი სტამბოლის მონათა ბაზარში და აქ დაასახლაო. მეორენი ამბობენ, ეს შავკანიანი აფხაზები ანტიკური ხანის კოლხების შთამომავლები არიანო. ამას იმიტომ ამბობენ, თურმე ჰეროდოტეც ამტკიცებდა კოლხების შავგვრემანობასო. რა ვიცი, რას გაიგებ, მაგრამ მაშინ პირი კი დავაღე, როცა აფხაზურ და რუსულ ენაზე გამართულად მოლაპარაკე შავკანიანი ვიხილე. ისე მეტყველებდნენ, ისე ეცვათ, ისე ჰქონდათ აფხაზური კულტურა და ქცევა საქციელში შეზრდილი, რომ არა კანის ფერი, სხვებისგან არ განსხვავდებოდნენ. ეთნიკურად ძალიან ცოტანი კი იყვნენ და ძირითადად აძიუბჟაში ცხოვრობდნენ. ერთ-ერთს ბაგრატი ერქვა, გვარიც აფხაზური ჰქონდა – ახუბა. შესაძლოა, მეტად გასაკვირი ამბავია, მაგრამ მან სახლშიც შეგვიპატიჟა. დიასახლისმა კი ისეთი აშვჩაპანი მოგვართვა, ლამის თითები ჩაგვეკვნიტა. ეს იყო გადაზელილი ყველი – აფხაზური ტრადიციული კერძი და მეტისმეტად უხდებოდა მასთან ერთად სუფრას ხლებული ნიგვზიანი მჭადი. ვფიქრობდი – მართალია, აფხაზთა ადათებში ყოველთვის იყო სტუმართმოყვარეობის ტრადიცია და თურმე მშვიდობით მოსულ მტერსაც გულით ხვდებოდნენ უწინ-მეთქი, მაგრამ შავკანიანი კაცისაგან მეტისმეტად უცნაური წარმოსადგენი იყო ყოველივე.

ერთგვარი ალფრთოვანებით ვიყავი განმსჭვალული და ისეთნაირად ვაკვირდებოდი, ვწონიდი და ვზომავდი მათ, რომ ახლა მგონია, თუ უხერხულობას არ ვუქმნიდი, უკულტურო ქცევად მაინც გამომდიოდა.

არ მახსოვს, რალაც სიტყვამ მოიტანა და საუბარი სამკურნალო მცენარეებზე ჩამოვარდა. ახუბამ ყველას გვაჯობა და აღმოჩნდა, რომ მართლაც იშვიათი ცოდნა ჰქონდა ამ საკითხში. ის ამ საუბრის დროს თითქოს უკვე გაშინაურებული იყო და ბლაგად მომცა თავისი ხელით რუსულ ენაზე შედგენილი ბროშურას მაგვარი ხელნაწერი. იმ წუთას მხოლოდ მის კალიგრაფიას მივაქციე ყურადღება და ხებეს ჯიბეში შევინახე.

ეს ამბავი რამდენიმე თვის შემდეგ, როცა უკვე ტყეში მელიებივით დავიპარებოდით, არჩილსაც მოვუყევი. მოვუყევი, რადგან ვიფიქრე გავართობდი, მაგრამ გამახსენდა თუ არა ჯიბეში შენახული ხელნაწერი, მაშინვე ძებნა დავიწყე, ეგებ ამ ტყეშიც იყოს რაიმე მცენარე, რომელიც მცირეოდენ ტკივილგამაყუჩებლად ან სიცხის დამწევად გამოდგება-მეთქი. რეცხვისას ჯიბიდან ამოღება დამვიწყებოდა, მაგრამ ნაწერი გადარჩენილიყო. თუმცალა ვიცოდი, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა, რადგან მცენარეების სახელები და მათი სამკურნალო თვისებები რაში გამომადგებოდა, თუნდაც თვალწინ მქონოდა, როცა მათი გარჩევა არ შემეძლო? უფრო არჩილის დასაიმედებლად და გასამხნევებლად მოვიგონე ალბათ. მაგრამ ის სულელი არ იყო, პირიქითაც, მერედამერე უფრო ვრწმუნდები მის გონიერებაში და ახლაც მახსოვს მისი თითქოსდა ირონიანარევი გამოხედვაც – როცა უნიჭოდ ვითამაშე ეს სცენა.

ყველაფერთან ერთად უსაჭმელობა გვიღებდა ბოლოს. თვალებს ორივე ვაცეცებდით, ეგებ რამეს წავწყდომოდით. თურმე არჩილი ზედმიწევნით კარგად სცნობდა საკვებად ვარგის სოკოებს. გაიხსენა, პაპამისს რომ დაჰყავდა მინდვრებსა თუ ტყეებში სოკოს საკრეფად. სადაც კურიოზული ამბავიც გადახდენია თავს. სოფელს ფოთლოვანი ტყე ახლოს ჰქონია და ერთ შემოდგომას სხვებთან ერთად არყა სოკოც მოსდებია ბლომად. ხალხმა სიარული დაიწყო და იმდენს ეზიდებოდნენ, ჩამწნილებაც დაუწყიათ. პაპამისს ის ხანობა არ ეცალა თურმე, მაგრამ, როგორც იქნა პატარა არჩილს გადაებირებინა, რათა ერთი დღე მაინც წასულიყვნენ. გულს ვიჯერებთო, იფიქრეს ახალმისულმა პაპამაცა და შვილიშვილმაც, იმდენს მოვაგროვებთო, რადგან ის-ის იყო მეზობლებსაც გადაანწყდნენ, რომელთაც კალათები დაევსოთ ქათქათა არყათი. პაპა მეზობლებთან საუბარს გაუტაცნია და ვერავინ შეამჩნია, როგორ დაუწყო არჩილმა ინტერესით კირკიტი სავსე კალათებს. არყა თურმე გადატეხისას რძის მაგვარ სითხეს გამოყოფს და ჰაერზე ნელნელა მწვანე შეფერილობასაც იძენს. შეშინებია თურმე, ნამდვილად შხამიანი იქნება, დაინამლებიანო და მათი ამორჩევა დაუწყია. ამტვრევდა და ელოდებოდა, ფერს რომელი სოკო შეიცვლიდა. ბოლოს ლამის მთლიანად დაუმტვრევია და გადაუყრია, თავს რომ წაადგნენ. გაჯავრებას ვერ ასცდებოდა, მაგრამ როცა ბავშვური და საოცრად მიამიტური ენით მოისმინეს მისი მიზეზი, გულიანად უცინიათ და ხალხის გადარჩენის მცდელობისათვის „წყაროს უბნის გმირის"სახელიც უწოდებიათ. ასე რქმევია მათ უბანს. სევდიანად გაიხსენა არჩილმა ეს ამბავი და ისიც მითხრა, სოკოს მოგროვება ნადირობისა და თევზაობის აზარტს არაფრით ჩამორჩებაო...

პოლკოვნიკმა ისევ შეწყვიტა საუბარი და ჭიქები შეავსო. უმთვარო ღამე იყო. სანთელიც ამიტომ გვენთო და ქინქლები ზედ იტრუსებოდნენ. კოღოები კი უფრო ფრთხილობდნენ და სისხლსაც საკმაოდ მწოვდნენ. ჯიბეში მობილური ტელეფონი მოვიძიე, საათი მაინტერესებდა, თუმცა გათიშულიყო. მიხვდა, რაც მაინტერესებდა და ჭიქას დაჩერებულმა თავისთვის ჩაილაპარაკა, თორმეტი ხდება, შენი მეგობრები დილამდე ველარ ამოვლენ ალბათო. იფიქრა, მთელი დღის მოშიებული ვიქნებოდი და საიდანღაც ნაკვერჩხალზე შემწვარი კარტოფილი და მარილი გააჩინა. სიმწირისა და პურის არქონის გამო ბოდიში მომიხადა, ხვალ ამოიტანენ ხორაგსო. ვისზე თქვა, კი არ ვიცი, მაგრამ არც ჰქონდა ამას მნიშვნელობა. ორი ჭიქა ისევ ზედიზედ გამოცალა, თითქოს ღვინოც უკვე მოეკიდაო, ისე დაბანცალდა წამიერად და დინჯი საუბარი განაგრძო:

– ხელსახოცი წყლით დავასველე და არჩილს დაცვარულ შუბლზე მოვუსვი. შეიშმუშნა და მშფოთვარე ძილიდან გამოერკვა. გონზეც უმალვე მოეგო და უსიტყვოდ, ხელის გამოწვდით წყალი მოითხოვა. რაც გვქონდა საჭმელი დარჩენილი, ორად გადავყავი, მაგრამ დავფიქრდი და, ისე, რომ არ მიმხვდარიყო, ჩემი ნილიდანაც დავუმატე. დამშეულებმა თითო ლუკმა შევჭამეთ და გავირინდეთ. არ ვიცი, რამდენი ხანი ვისხედით ასე უჩუმრად ჩვენს ფიქრებში ჩაძირულები, მაგრამ რომ გავხედე, უკვე თავისი პატარა წიგნაკი და ფანქარი მოემარჯვებინა. მაშინ არ ვიცოდი, რას წერდა, მაგრამ გულმოდგინედ კი ცდილობდა გარჯილიყო და ლამაზი ასოები გამოეყვანა. გადავწყვიტე, ნებისმიერ დასახლებულ ადგილამდე გავსულიყავით, ექიმი ან ვინმე მომენახა და იღბალს მივნდობოდით. სხვა შემთხვევაში ეს ახალგაზრდა ვაჟკაცი უთუოდ განწირული იყო. ვუთხარი თუ არა, რასაც ვაპირებდი, წამსვე მტკიცე უარით გააქნია თავი – შევძლებ ვიარო და არ ჩამოგრჩეო. რა დასამალია და მართლაც მეშინოდა ტყიდან გასვლისა, ამიტომ დიდად აღარ გამომიდევია თავი, ეგება სხვანაირადაც გადავრჩეთ-მეთქი. წამოდგომაში დავეხმარე და ისე, რომ მტკივანი ფეხი ჩემკენ ჰქონოდა, მხარზე გადავახვევინე ხელი. რამდენიმე საათი ვიარეთ სვენებ-სვენებით. თან ვცდილობდი, სწორი მიმართულება არ დამეკარგა. წყლის მოძიება არ გაჭირდებოდა, მაგრამ საკვების შოვნა უკვე პრობლემას წარმოადგენდა. არ გაგვაჩნდა არანაირი წამალი და მედიკამენტი. არ ვიცი, სველი განგრენისას ადამიანი რანაირ ტკივილს განიცდის, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, როცა კიდური გილპება, რას უნდა გრძნობდეს სხეული. უმეტესად ვისვენებდით და არჩილს ველოდებოდი, ძალები მოეკრიბა. ბოლოს რალაც ვიწრო ბილიკს მივაკვლიეთ და გავყევით. ალარ მაინტერესებდა, რა მოხდებოდა. მივყვებოდით ბილიკს იმ იმედით, რომ სადმე სულიერს გადავაწყდებოდით და დახმარებას ვთხოვდით. ფსხუს გარშემო სოფლები არ იყო, ამიტომ ვიცოდი, თუ ეს ბილიკი რომელიმე დასახლებულ პუნქტამდე მიგვიყვანდა, ეს იმ ჩემი შორეული ნათესავის სოფელი იქნებოდა და ბედს მივენდე. შებინდებისას მართლაც შემომესმა ხალხის ხმა. არჩილი უკვე თითქმის მთლიანად ზედ მეკვროდა და არ ვიცი, ამის გამო, თუ ისედაც რთული მისადგომი ჰქონდა ამ სოფელს, ვერ ვიხსენებ, საკმაოდ ძნელი კი გამოდგა ის გზა. პირდაპირ არ გამოვჩენილვართ და იქვე მოფარებულში გავჩერდით, რათა სიტუაცია აგვეწერა. მას ცოცხალის ფერი ალარ ჰქონდა და გავიფიქრე, ვერც აქ უშველის ვერავინ-მეთქი.

პოლკოვნიკმა ამოიოხრა, ეტყობოდა საუბარი უჭირდა და ხმა აუთრთოლდა. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, შიშის გამო ის საწყალი ბიჭი სოფლამდე არ გამიყვანია და ველოდებოდი, უმოქმედოდ სულს როდის დალევდაო. ასე მოკლედ მოამთავრა თავისი ამბავი და ცრემლი ჩამოუგორდა. ჯიბიდან პატარა წიგნაკი ამოიღო და წინ დამიდო. გადაშალეო, მანიშნა. წვრილად, მაგრამ წვერწამახული ფანქრით საკმაოდ გარკვევით იყო დაწერილი. წიგნაკს თვალი გადავავლე და სხვადასხვა გვერდზე რამდენიმე აბზაცი წავიკითხე ალაგ-ალაგ:

- ნესითა და რიგით ახლა რამდენიმე დღის მკვდარი უნდა ვიყო, რადგან გაგრის მთებიდან, რომ არა ეს ლეიტენანტი, ვერც გამოვაღწევდი. გამიმართლა, მას რომ შევხვდი. არ მინდა იმაზე ვიფიქრო, ჩვენ რა მოგველის, ამიტომ უფრო ხშირად თანამებრძოლებზე ვფიქრობ, მათ რა მოელით...
- იმედი ჩამიდგა. ნუთუ გადავრჩებით?
- ბატონ შიოს ვამძიმებ. იმდენად მძიმე ბარგი გავხდი, რომ ალბათ ვეტყვი, უჩემოდ განაგრძოს გზა. მე რომ არ ვაფერხებდე, უკვე სოხუმში იქნებოდა ჩასული...
- ეს დღეებია სკოლა გამახსენდა. მანანოზეც ხშირად ვფიქრობ. არ ვიცოდი, თუ მნიშვნელოვანი იყო და რამენაირად მაღელვებდა. დღეს ბევრი ვინვალე და მაინც გამოვიანგარიშე – უკანასკნელად ორი თვისა და რვა დღის წინ მინახავს. როცა გამომაცილეს, მაშინ იქ არ იყო, რატომლაც გავბრაზდი.ახლა გამახსენდა, მაგრამ თურმე მამა ცუდად ჰყოლია და ძალიან წუხს, შენ რომ ვერ გაცილებსო – ასე მითხრეს თანაკლასელებმა...

პოლკოვნიკმა რამდენიმე წინადადების მერე უკვე მესამედ შეწყვიტა საუბარი. ზედმეტად გალიზიანებული წამოხტა. მანამდე, ვიდრე ამას იზამდა, მისმა დუმილმა მაგრძნობინა, როგორ შორს იყო წასული აწმყოდან თავის ფიქრებთან და აზრებთან.

– ომი, ომიო! – დაიძახა ხმამაღლა, – ომი გვინდაო.

წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, ისევ ისე უმალ მოდუნდა და დამშვიდდა, როგორც წუთის წინა აღელვება იყო მოულოდნელი. დაჯდა, ღვინო აღარ დაუსხია და ბოთლიდან პირდაპირ მოიყუდა. ბოდიში მოიხადა, – ეს რა ვთქვი, ომი როგორ ვინატრეო. – ერთ კაცს მეორე კაცის სიკვდილისა რა უნდა უხაროდეს, მაგრამ ვერა ხედავ, უამისოდ როგორ ვილუპებითო?

მიხვდა, სათქმელს არასწორად გადმოსცემდა და ეცადა საჭირო სიტყვებისთვის მიეგნო. აზრებს თავი მოუყარა, თავისი სხეულიცა და სულიც რაც შეეძლო ხელში აიყვანა და გალოთების პირას მყოფ პოლკოვნიკს, თანაც შერცხვენილს, თუკი რამ ძალა გააჩნდა, ერთად შეაკოწიწა. სიტყვა სიტყვას მიაბა და ამეტყველდა:

„მახსოვს აფხაზეთი, მახსოვს სამაჩაბლო, აი, გორის ტკივილიც ჩემთანაა და იცი, რა მაშინებს? – თუ არა ომი, მაშინ ჩვენი ხალხი მხოლოდ თავის სიამეს ეძებს. გაჭირვება გვაერთიანებს და ალბათ ეს ომია ხოლმე საჭირო, რომ გავიხსენოთ ჩვენი თავები, როგორები ვიყავით უწინ? არ იცი, არა, უწინ როგორები ვიყავით, ხომ? თუმცა, მგონი უკვე ვბოდავო – და ამაზე საუბარი შეწყვიტა...

დაზუსტებით ვერავინ იტყვის, რა ბედი ეწეოდა არჩილს, თუ მას სოფელში შევიყვანდი, გადარჩებოდა თუ დაილუპებოდა, მაგრამ კაცი რომ ვინმეს გადარჩენას სულ მცირედ ცდას მაინც დააკლებ, შენს სინდისზეა მისი სიკვდილი. ამას არც უნდა თქმა, თუმცა დღემდე კი ბოლომდე არ მელიარებინა საკუთარ თავთანაც. მუდმივად იმის ცდაში ვიყავი, ჩემი სიმხდალე გამემართლებინა და იმის ფიქრით, რომ მაინც ვერავინ გადაარჩენდა, ამაოდ ვიმშვიდებდი საკუთარ ნამუსს.

პატარა საველე ნიჩბით საფლავის გათხრას შევუდექი. იოლი ნამდვილად არ იყო, თანაც დასუსტებულს არაფრის ლონე აღარ მქონდა, მაგრამ სიკვდილზე ადვილი ნამდვილად იყო და მეც დიდი გულმოდგინებით შევუდექი. საკმაო სიღრმე და სიგანეც მივეცი, ხელები გადავიტყავე, მკლავში ძალა წამერთვა, მაგრამ მაინც არ ვანებებდი თავს, მინდოდა ასეთნაირად შემემსუბუქებინა დამძიმებული გული. ბოლოს თხრილი ისეთ განსასვენებელს დავამგვანე, რამდენიმე კარგი მესაფლავე ერთ დღეში რომ გათხრიდა და ცხედარი პონჩოში გადავახვიე. საფლავამდე სხეულის მითრევა და ჩასვენება ძალიან გამიჭირდა, უჭმელ-უსმელობა და დაღლილობა თავისას შვრებოდა. არ დამისვენია, მიწაც ბოლომდე მივაყარე, მისი ყავარჯნისგან ჯვარი გავაკეთე და ბოლოს ჩავამაგრე ისე, როგორც წესი და რიგი იყო. ამის შემდეგლა დავეგდე სულის მოსათქმელად და უცაბედად ცრემლი წამსკდა. რამდენიმე დღის წინ, ჯერ კიდევ იმედით სავსე არჩილი, იქვე, ჩემს მიერ გათხრილ საფლავში იწვა უპატრონოდ, ახლა ჩემი ჯერი დგებოდა, ვინაიდან თუ რამის ძალა კიდევ მქონდა, საბრალო ბიჭის უჭირისუფლო სამგლოვიარო პროცესიას დავახარჯე. ჩემი ცოლ-შვილი გამახსენდა. ძალიან მენატრებოდნენ, მაგრამ მონატრებაზე დიდი ტკივილი იმის გაფიქრება იყო, უჩემოდ რაც მოელოდათ. საკუთარი თავიც კი შევიბრალე, ასეთ დღეში რომ ვიყავით და ხმამაღლა ღრიალი მომინდა. არ ვიცი, ვყვიროდი, ვბღაოდი თუ ქალივით ვზლუქუნებდი, რადგან გონება მეტისმეტად დამებინდა. მახსოვს, იმდენად მესიამოვნა მიწაზე გართხმა და თვალის მოხუჭვა, თითქოს ზამთრის სუსხიან ღამეს თბილ და მყუდრო ოთახში ბამბის დიდი საბანი მეფარა. ჰო, ჰო, ნამდვილად ასე მომეჩვენებოდა მაშინაც, რადგან ამხნის კაცი ვარ უკვე და დღესაც პატარა ბავშვივით მიყვარს ეს გრძნობა. რა ჯობია, როცა ღუმელში რცხილა ტკაცუნობს, ცეცხლის შუქი ფიცრის იატაკზე საამურად, ოქროსფრად ლიცლიცებს, საწოლში თბილად შემძვრალხარ და ვიდრე ბურანი ძილში შეგიყვანს, ოცნებობ კიდეც, ან თუნდაც გეგმავ ხვალინდელ დღეს, ამ დროს კი გარეთ ქარბუქი დათარეშობს, ერთი სული აქვს პატარა ჭუჭრუტანა უპოვოს ოთახს და მთლიანად შემოძვრეს, მაგრამ ეს შეუძლებელია და შენც მშვიდად, უშიშრად ხარ. თანაც თუ მთელი ზამთრის სამყოფი შეშა დაპობილი და გამზადებული გაქვს...

პოლკოვნიკი გამოერკვა, მიხვდა სათქმელს ისევ გადაუხვია და თავი გააქნია. ერთ ხანს ასე იყო გაყუჩებული და არც მე დამიტანებია ძალა...

როცა იგი გონს მოსულა, უკვე სოფელში მიეყვანათ და დახმარება გაეწიათ. აფხაზ კაცს ეპოვნა, რომელსაც ცოლი ქართველი ჰყოლოდა, ამასთან ერთად ომსაც არ უყურებდა შემწყნარებლური თვალით. უგზოობისა და რთული მდგომარეობის გამო აქედანაც დიდი წვალებით გამოულწევია. ფსხუდან ახალშენამდე, ახალშენიდან შრომამდე და შემდეგ, როგორც იქნა სოხუმამდე, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ქართველებს ეკავათ. რომ არა მისი შორეული ნათესავი, თანაც ეროვნებით რუსი, ვერც გზას გამოიკვლევდა და ვერც თავს გადაირჩენდა, თუმცა იღბალს არ გაეწირა...

სულ ბოლოს გავბედე დაფეხის პროთეზზეც შევეკითხე. მისი დაკარგული კიდურის ამბავი სულაც არ ყოფილა ომთან დაკავშირებული, თუმცა ბედის ირონიით ამ ამბებიდან საკმაოდ მოგვიანებით, როცა უკვე პოლკოვნიკის წოდებაც მიელო და თადარიგშიც გასულიყო, რკინიგზაზე სიმთვრალისაგან ჩაძინებულს მატარებელმა წააცალა. თან დაჟინებით მიმტკიცებდა, ღმერთმა იმიტომ წამაცალა მაინცდამაინც მარჯვენა ფეხი, რომ არჩილსაც მარჯვენა ფეხი ჰქონდა მოსაჭრელი და არ გადავარჩინეო. თბილი საწოლის მოყვარულს დასაძინებლად ასეთი ცუდი ადგილი ეგებ იმიტომაც აერჩია, რომ თავის მოკვლა სურდა, ვინ იცის... თუმცა დღეს ცოცხალი იყო და განაგრძობდა არსებობას.

დილით, როცა უკვე ჩვენები მოვიდნენ და უკან ვბრუნდებოდით, პოლკოვნიკს კიდევ ერთხელ გავხედე შორიდან, უცნაურად იყურებოდა ჩვენკენ, რადგან სადღაც იქ ვეგულებოდი და თვალით მეძებდა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, ნამდვილად ის ვიყავი თუ არა, ვისაც ამდენი წელი უნდა დალოდებოდა. რა თქმა უნდა, თავისი ცოდვები ჩემთვის არ გადმოუბრალებია, მაგრამ ალბათ ფიქრობდა, ის, რაც აწუხებდა, აბგაში გამოკრული გამომატანა, რომ მათ გარეშე მოესვენა, ისე, თითქოს ის ვაცი ვყოფილიყავი, ებრაელები რომ უდაბნოში უშვებდნენ და ერისა და ხალხის ცოდვებს ატანდნენ.

ამგვარად დასრულდა ჩვენი ნაცნობობა და მის მერე აგერ უკვე მთელი წელია, აღარ მინახავს. ცოცხალია, არაფერი უჭირს, ხომ იცი, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო – ასე მითხრეს იქაურმა ბიჭებმა და იმედი მაქვს, თავისი გულის ნადების ჩემთან თქმით მასაც მიეცა მცირედი შვება. ვინ იცის, ჩვენ რას ვიზამდით მის ადგილას, ანდა მიუძღვოდა კი მას ვინმეს დალუპვაში ბრალი?..

დალუნ თურქაძე

# სად არის მსოფლიო?

## ორატორია



პრელუდია
(აი, მიზეზი!)
სიზმარში, შუბერტთან
შევიტყვე, ყავაზე,
რომ ორატორია
ამ სტილის ორია,
ერთია ლამაწშზე,
მეორე- პარნასზე,
და, თან, აქ ომების
სჭირთ ეიფორია...

როდემდე მეცადა?
ხომ უნდა მეცადა?
რომ რალაც მრგებოდა
ვერსალის ზავიდან,
ამიტომ ასჯერ, თუ,
ათასჯერ ნათქვამის,
მეც ისევ დაწერა
მომიხდა თავიდან!

მით უფრო, ახლახან,
პარტ-აჯაბსანდალის
პროექტის, გოდოლის
დავიწყეთ შენება,
არც ისე მალალის,
არც ისე დაბალის,
ეს, როგორც ჩვენს
გალმელ
მეგობრებს ენებათ!

ასეა, ძველთაგან,
როდესაც ყველაფრის
მმართველიც,
გამთვლელიც,
ჩამრთველიც ერთია,
ილბლად თუ ლაგამიც
გამშვენებს ტრანსფერის,
მერწმუნეთ, ამფერი
ალჩუზე ბედია!

ამ orომტრიალში
არც ეჭვი ალარ გძრავს,
რას და რად ვაშენებთ
უსიმო ფანდურით,
მიზანი ერთია-
რომ ჩანდეს შენობა
ზე მეგობრულიც და
ქვე ამხანაგურიც!

ამბობენ, კიდევაც-
მთლად „ნოუ-ჰაუა,"
ჩვენც მოვალენი ვართ
თავს ვუკანტურებდეთ,
რომ, ვისაც რა ჟინის
სურვილი მოუვა,
სუყველა უბეში
ხელს უფათურებდეს!

2
მერე და, სად არის
პირქუში მარკიზა
თუკი ორ ზლვას შუა
კვლავ ცხარე ლელოა?
ო, არა, ანალენ!
ყასბებმა ფაქიზად,
რუკა, რომ ჩამოჭრეს
ის, საქართველოა!

იქნებ, ჩრდილოეთის
მწველი მზის სხივები,
მალ დასავლეთიდან
რომ ამოფოფინდნენ,
იფიქრეთ, ბედნიერ
ვარსკვლავედს მივებით
და ზლვებზეც ლაბუა
ჩიტები მოფრინდნენ!

ეს იყო მირაჟი,
ჭუბერზე, ყინვაში,
თუმც, მოვრჩეთ
წვრილმანებს
და თემა დავხუროთ,
დლეს უნდა ვიხტუნოთ
ხის ფეხით სილაში,

ჩანჩურას კურტანი,
რომ დავიმსახუროთ!

იცოცხლე, მოქიშპედ
ამ „მადლშიც" ხდებიან,
ან კი, რა სათქმელია
ფურთხი და ტალახი?
ხალისით, პალოსთან
წამს ჩაცუცქდებიან,
თუ იგრძნეს სურნელი
მაწიერ ბალახის!

3
ეს, როგორ! სად არის
მრისხანე ფოტიგა,
როცა ორ ზლვას შუა
ფარული ლელოა?
ეს, ლელო კი არა,
ენგურზე, კუბილუს,
ნიშანი ქე როა,
ის, საქართველოა!

ო, ლა-ლა, რასა იქმს,
დე... ნატო დეიდა,
თუ ჩვენს წყალ-ჭალებში
სამმაგი ლელოა?
სუ, ჩემო, პატარავ,
ეს, აგერ, სერიდან
ლულები, რომ მოჩანს
ის, საქართველოა!

4
ეჰ! რა, ვი...რამდენად
წრფელად თუ ინახად,
მიილებთ ასეთი
ყაიდის არაკებს,
ან, იქნებ, არც მეთქვა,
რომ ალარ მინახავს,
ლმერთების ენაზე
აქ მოლაპარაკე!

არადა, არც ახსნა,
არც განსჯა მიზეზის,
არ ითხოვს სილრმეებს,
ვთქვათ, ინფომეტრიას,
უბრალოდ, როგორმე
ვირწმუნოთ, ერთხელაც,
რომ შავი შავია,
და, თეთრი- თეთრია!

5
გახვეულს, აბურდულ
ფიქრებში, ჩემს ბედზე,
მუზის ნაბოლარა
და, წყრომით მომიხტა,
რა მექნა, მეც ხელი
ვერ ვკარ და ათასჯერ
ნათქვამის ხელახლა
დაწერა მომიხდა...

ფორს მაჟორი
(ერთი ამოსუნთქვით)
გავტეხავ უსიერს,
შევუნდობ ლუსიენს,
გავივლი თელიანს
გადავჭრი ლელიანს,
მწამს, გულთან მიიტანთ,
რომ პრელუდიიდან
მაჟორზე, გადასვლა
ტრა-ლა-თი ძნელია.

7
ტაქტს გადავაწყობდი,
მაგრამ ჩემს ჩანაფიქრს,
დრო თავაწყვეტილი
ამთავრებს რიალით,
მომსდევს და მომძახის
ამლვრეულ არედან
ნაცნობი, უცნობი
გახსნილი იარით!

სად არის მსოფლიო?
სად არის?
სად არის?
მსოფლიო არსად ჩანს,
ეტყობა, რცხვენია,
ის ახლა, შეშლილი,
შეშლილი კი არა,
არყის ხეს მიბმული
დალლილი ცხენია!

8
სად არის მსოფლიო?
მსოფლიო სად არის?
აფრიკა შიმშილობს
პური კი, ზლვაშია,
მსოფლიო ჭურშია,
მსოფლიო რულშია,
მსოფლიო ფულში ზის,
ფულების თვლაშია!

9
ვივა, იტალია!
ჰანგების სამეფო,
კვლავ მრავალს
გაგვიზრდის
უბადლო ტოტოებს,
გულდასაწყნარებლად,
გაერო ლაზაში
გადააქვთ ირანულ
ქველ უპილოტოებს!

ძირს დიქტატორები!
მსოფლიო, სად არის?
რატომ არ ვუწესებთ
სანქციებს, სანქციას!
რად გვინდა ამდენი
ბაჯალლოს ლადარი,
ანდა, „უკვერცხებო"
ცივილიზაცია!

10
განგაში მოსკოვში,
როსტოვში, „ვოსტოკში,"
ქარს გადუძვრია
კრემლისთვის კრამიტი.
სად არის მსოფლიო?
მსოფლიო სად არის?
-აქა, ვართ! ქუხს კრინში,
7 + სამიტი!

აქედან, იქიდან
ალი და ფეთება,
ცვივიან... ვარდები?
ნო, პარდონ! ბომბები!
ელიტურ ვა-ბანკში
ძევს ნგრევა, კვეთება
და მოპირკეთება
სისხლიან ქობებით!

11
იერუსალიმის,
მექას და მედინას
ხმები ზეციური,
ნეტა, ვის აწუხებს!
დლეს „უმთავრესია"
რაც მალე მოვირგებთ
ექსტრალიბერალურ
ყალიბის მარწუხებს!

სად არის მსოფლიო?
მსოფლიო სად არის?
მოთხოვნა ფიქსია
და, თან, უებროა,
დროს ესადაგება
გახდილი ათენა
და, შარვალ (ბოლომდე)
ჩახდილი ტროა!
დრო ითხოვს შეიქმნას
ზეკაცობრიობა-
არც დედა როა!
არც მამა როა!

12
და, აგე მსოფლიოც!...
გადაშლილს ედემად,
რარიგად ამშვენებს
ცხვრის ტყავის მანტია,
საწოლში, შანსონში.
ევროში, შევროში
ლულუნებს მტრედის ხმით
ომების პარტია!

ლულების ყელიდან,
ახლიდან, ძველიდან
ცვივიან... „იები?"
ნოუ, მის! ტყვიები!
ხის ჯვრებით ფარავენ
ცოდვიან ხელებს და
ცოდვილ სულს,
მსოფლიოს
პატრონი ძიები!

მარცხენით- დრონი
დრონს!
მარჯვენით-ომი ომს!
არ წყდება ცეცხლოვან
სვავების კადრილი,
თვალგაცეცებული,
უაზრო პოლიგონს,
დაჰყურებს მჭუნვარე
მალთუსის აჩრდილი!

13
მშობელი მიწა კი-
ცრემლების ნუგეში,
დამსხვრეულ ოცნებებს
უშლის მზის მარაოს,
თრთის ახალშობილი
დედის ცივ უბეში
და სითბოს, სანუკვარს,
დაეძებს ამაოდ...

ლამარა-მანანა ჯამაგიძე

### ემიგრანტის გაზაფხული

განა სამშობლოს განშორებამ
დაკოდა გული,
განა ქართული სიმლერის ხმა
მომნატრებია,
განა მშობლიურ იავნანას ველარ
ვიმლერებ,
მე გაზაფხულის სურნელება
მომნატრებია.
ჩემს ოცნებებში საქართველოს
გაზაფხულია,
იასამანი, ჩემი ეზოს ნაზი
სურნელით,
ჩამწკრივებულან ნარგიზები
ყელმოლერებით.
მინდვრის იები, მიმოფანტულან
ხელუხლებელნი,
ვარდის კვირტები დამსკდარან და
მე მომელიან,
ტიტებიც, ლამაზ ფერებშია
მიმოფანტულნი,
და ბროწეულის ყვავილები

თავს იწონებენ,
ალუჩის ყვავილს დასტყობია
კვლავ უჩემობა,
და ბალის ტოტზე, ჩამომჯდარა
დალონებული
ეს გაზაფხული, სურნელით რომ
დამათროს ისევ,
შემოვურბენდი ჩემს ეზოში
ყვავილთა ლაშქარს,
და წყაროს წყალით დავნამავდი
უმანკო ფესვებს,

გავაცოცხლებდი ჩემს ეზოში
სიცოცხლის ლადარს,
ვაგრძნობინებდი არე-მარეს
ჩემს მათთან ყოფნას,
იმ გაზაფხულში რომ შემეძლოს
კვლავ დაბრუნება,
დავბრუნდებოდი, სიხარულით
დავბრუნდებოდი,
შემოვურბენდი ჩემს ეზოში
ყვავილთა ლაშქარს.

### ფიქრი

ქარის ჩურჩულს გაუფანტავს ჩუმად
ფიქრი,
ვერხვის ჩრდილში ფიქრებს დარდიც
გაჰყოლია,
ნუთუ მართლა, შემოდგომა დადგა
თმებში?
თუ, გულისთქმას, სიყვარულიც
აჰყოლია?

ყაყაჩოებს მოუქარგავთ ირგვლივ

მდელო,
ცისფერ იას გულის კარი გაულია,
მოდი კარგო ისევ გელი, ისევ გელი,
ირგვლივ-გესმის? სიხარულის

ხმაურია.

ჩვენს სიყვარულს წლები ჯერ არ

გაუვლია,
სიყვარულის ცეცხლი ისევ აინთება,
ამ სიყვარულს-გულის კარგი გაულია.

***

ბედო ტიალო, ტანჯულო
წამებულ სიცოცხლისაო,
ცხოვრებავ-უცხო მიწაზე,
ნატრული წყაროს ხმისაო.
ქართულო მიწის სურნელო,
მყინვარო მკაცრი ხმისაო,
კავკასიონის ქედებო
ოცნებავ ქართველ ყმისაო.
ლრუბლებს გავუმხელ ჩემს ფიქრებს,
ვიტყვი ჩემს გულის დარდსაო,
ტყის ნიავს ალეს გავატან,
ლოცვას-მთასა და ბარსაო.
ალარ მასვენებს ტიალი



ნატვრა სამშობლოს მთებისა,
ატმის ყვავილის სიტურფე
კვირტი, ლაჟლაჟა ფერისა,
აქაც გვეწვია სიტურფე
ქართული ვაზის ყლორტისა,
ავისრულებდი გულის დარდს
ლოცვით დავლაშქრავ მთებსაო,
ტყის ნიავს დავაბარებდი,
დარდს გავუმხელდი ბევრსაო,
ლმერთო მიმრავლე ქართველი,
მაცოცხლე ქართლის დედაო,
გააძლიერე ქართული მამა-პაპური
კერაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაულ ჩილაჩავა

# როგორც პოემის ორი შაირი

## მიკოლა ბაჟანის დაბადების 120 წლისთავის აღსანიშნავად

1975 წლის ადრე შემოდგომაზე ჩემს ახლადმიღებულ, თითქმის ცარიელ ბინაში მოულოდნელი ზარის ხმა გაისმა. კარი ფაცაფუცით გავაღე და თვალებს არ დავუჯერე: ზღურბლზე მიკოლა ბაჟანი იდგა.

ასეთი იგი ჯერ არ მენახა. ურთიერთობა ძირითადად საქმიან ვითარებაში გვიხდებოდა, როცა იგი მეტისმეტად დაკავებული და მკაცრი ჩანდა.

– მისამართი ხომ არ შემეშალა? – იკითხა ბატონმა მიკოლამ და სანამ რამეს ვეტყოდი, უკვე ზარის ხმაზე გამოსულ მეუღლეს ვარდების შესანიშნავი თაიგული მიართვა.

– საღამო მშვიდობისა, ძალიან მოხარული ვარ, მობრძანდით! – სხაპასხუპით წარმოვთქვი და შემოსასვლელთან დაბნეულად ავწრიალდი.

და აი, ცარიელი ოთახის ცენტრში სამზარეულოს მაგიდასთან ბაწრებით შეკრულ წიგნებზე სხედან მიკოლა ბაჟანი და ივან დრაჩი მეუღლეებითურთ. თვალსაჩინო ადგილას აწყვია საჩუქრები ახალმოსახლეთათვის, პაწაწინა სირჩები კი ოქროსფერად გამოკრთის კონიაკი „გრემი". ესეც საჩუქარია, რომელიც განსაკუთრებული სიამაყით გადმომცა თავად ბატონმა მიკოლამ.

დიდი მსმელი არც ერთი არა ვართ, მაგრამ ტრადიციისამებრ რამდენიმე სადღეგრძელო აუცილებლად უნდა ითქვას. დაბნეულობას ხანდახან ვძლევ და იწყება ძალდაუტანებელი საუბარი. განსაკუთრებით არ ცხრება ბატონი მიკოლა: იხსენებს საკუთარ ახალგაზრდობას, საქართველოს, ძვირფას მეგობრებს. მე მესმის, რომ მისი განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება ჩემდამი სწორედ მათი სიყვარულითაა გამოწვეული. საქართველო მისი ღვთაებაა, მაგრამ წელთა ულმობელი ტვირთი და სხეულში ჩაბუდებული მძიმე სენი საშუალებას არ აძლევს ძველებური შემართებით გადაევლოს ლურჯ კავკასიონს, გადაიკარგოს სადღაც ფშავხევსურეთის ჭიუხებში თუ ვარძიის მიწისქვეშა დარბაზებში, თმოგვის გზებით ერთხელ კიდევ მიუახლოვდეს რუსთაველის პირველსაწყისებს ან კიდევ სამეგრელოს ჭალისპირებით იმოგზაუროს უპირველესი მეგობრის, სიმონ ჩიქოვანის, მამისეულ სახლამდე.

მე სიმონის კუთხიდან ვარ და ეს, მგონი, კიდევ უფრო ზრდის მის სიმპათიას ახალგაზრდა ქართველისადმი, რომელიც სრულიად ყმაწვილი ჩამოვიდა კიევში და თავისი ბედი უკრაინულ ლიტერატურას დაუკავშირა.

ამას წინას მან შეიტყო, რომ შვიდ წელიწადზე მეტია ჩემი ოჯახი უსახლკაროა და უმალ აფრინა სადეპუტატო წერილი მაღალ ინსტანციაში. ერთი თვეც არ გასულიყო, რომ ალმაკომში ორდერის მისაღებად გამომიძახეს.

მე მაშინვე ტელეფონს ვეცი:

– ბატონო მიკოლა, ბინა მივიღე!

– ეს შეუძლებელია! მართალს მეუბნებით?

მე მისამართი დავუსახელე.

– გამოდის, რომ ბებერ ბაჟანს ჯერ კიდევ პატივს სცემენ! – ირონიულად თქვა მან და გულწრფელად მომილოცა.

და აი, ბინაში, რომელსაც ბაჟანის ჩაურევლად, ვინ იცის, როდის მივიღებდი, ზის თვითონ და ბავშვივით ხარობს. მისი სახელი რა ხანია დიდებითაა მოსილი, მაგრამ ეს პატარა გამარჯვება მისთვის, ჩანს, უჩვეულოდ ძვირფასია. მას ხანდახან სცილდება ქრესტომათიული საბურველი, მოჩვენებითი სიმკაცრე და მიუკარებელი კაცის იერი...

იმ დაუვიწყარ საღამოს მე აღმოვაჩინე ჩემთვის უცნობი მიკოლა ბაჟანი – ირონიული და ენამოსწრებული, მგრძნობიარე და კეთილი, ოდნავ სენტიმენტალურიც კი. შესაძლოა სწორედ მაშინ ჩაისახა პოეტის საქართველოსადმი მიძღვნილი ამაღელვებელი მოთხრობების პირველი სტრიქონები, რომლებიც მერე მისი „ფიქრებისა და მოგონებების" მშვენებად იქცა.

როგორც კი დაამთავრებდა ლექსს თუ მოგონებას საქართველოზე, ბატონი მიკოლა დამიძახებდა და კოხტად ჩასწორებულ დედანს გადმომცემდა სათარგმნად. ასე იშვა მისი წიგნი „საქართველოს გზებზე", რომელიც 1979 წელს დასტამბა გამომცემლობა „ხელოვნებამ".

(უძვირფასესი რელიკვიებივით ვინახავ მიკოლა ბაჟანის ავტოგრაფებიან წიგნებს, აგრეთვე წერილებსა და ღია ბარათებს, რომლებსაც იგი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მიგზავნიდა. ყოველთვის მადლიერებით გავიხსენებ მხარდაჭერისა და ნდობის სიტყვებს, რომლებიც გამოთქმულია მწერალთა კავშირში წარსადგენად მოცემულ მის რეკომენდაციაში).

რესპუბლიკის გარეთ ჩვენ არ გვყავდა ქართული პოეზიის უკეთესი მცოდნე და მთარგმნელი, უანგარო და ერთგული მეგობარი. მას სამართლიანად ჰქონდა მინიჭებული შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია და საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

დაწერიდან თითქმის ორი საუკუნის შემდეგ დააბრუნა მიკოლა ბაჟანმა უკრაინაში დავით გურამიშვილის ლექსებისა და პოემების კრებული „დავითიანი". ვამბობ – დააბრუნა-მეთქი, რადგან, როგორც ცნობილია, კრებული სწორედ უკრაინაში, მის მყუდრო მირგოროდულ ჭერქვეშ შეიქმნა.

ქართველ კლასიკოსთა და თანამედროვე ავტორთა თარგმნისას მიკოლა ბაჟანს არაერთგზის მოუხდა შემოქმედებითი გარდასახვა. ამ განსაკუთრებული ნიჭის გარეშე, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა უკრაინელ მკითხველთან სრულყოფილად მიტანა ისეთი შედევრებისა, როგორებიცაა „ტანოტაკანო", „მუხამბაზი", „მერანი", „სულიკო", „ყივჩაღის პაემანი", „პალესტინა, პალესტინა".

უკრაინელ პოეტს საქართველოსთან საკმაო ხნის ურთიერთობა აკავშირებდა, როცა მასზე პირველი ლექსები გამოაქვეყნა (1936). მკითხველი მათ იცნობს „ქართული ლექსების" სახელწოდებით. 30 წლის შემდეგ პოეტური ნოველების წიგნში „ოთხი მოთხრობა იმედზე", რომელშიც შევიდა რილკეს თემებზე შექმნილი ვარიაციები, მიკოლა ბაჟანი კვლავ მიუბრუნდა „ქართულ ლექსებს".

„მეორე ვარიაციის სიუჟეტი სახალხო ხელოვანის სიკვდილია... სახელგანთქმული ნიკო ფიროსმანიშვილის ბიოგრაფია იქცა მის საფუძვლად," – წერს პოეტი კრებულის წინასიტყვაობაში.

მიკოლა ბაჟანის ქართულ თემებზე შექმნილი ლექსების ღირსება უპირველესად სინამდვილის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქართულ" ალქმაში მდგომარებს, რაც, ცხადია, ერის ხასიათის, ისტორიის, კულტურის, ტრადიციების ცოდნის შედეგია.



სურათზე: მიკოლა ბაჟანი და რაულ ჩილაჩავა ტელევიზიით ახალ, 1977 წელს ულოცავენ უკრაინელ ხალხს. დგანან - ტელერეჟისორი იური კუხალაშვილი და უკრაინის ტელევიზიის თანამშრომლები.

მიკოლა ბაჟანს ჰქონდა ფართო შემოქმედებითი თვალთახედვა და მიაჩნდა, რომ ეგოისტურ ინტერესთა ვიწრო წრეში ჩაკეტვა ერის სულიერ სიჯანსაღეს მოუშუშებელ დარტყმას აყენებს. ესთეტიკური ღირებულათა გაცვლისა და მშობლიური კულტურის ინტერნაციონალური წყაროებიდან მუდმივად გამდიდრების გარეშე მას ვერ წარმოედგინა ცივილიზებული ერის ინტელექტუალური ცხოვრება.

მიკოლა ბაჟანმა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მოიარა და საკუთარი თვალით იხილა ადამიანური გენიის ბევრი უშესანიშნავესი ქმნილება, რომ არაფერი ვთქვათ სხვადასხვა ხალხისა და ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებზე, რომლებიც მისი ცნობისმოყვარე სულის განუყოფელ ნაწილად იქცნენ.

შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მიკოლა ბაჟანი მეოცე საუკუნის იმ იშვიათ პოეტთაგანია, რომელსაც სამყაროს ჭვრეტის რენესანსული დიაპაზონი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინტერესები ჰქონდა. იგი იყო ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი, პოეტური სიტყვისა და მხატვრული თარგმანის უბადლო ოსტატი, ლიტერატურის, მუსიკის, ფერწერის, არქიტექტურის, კინოს ისტორიის შესანიშნავი მცოდნე და მკვლევარი. ამავდროულად მსოფლიო მნიშვნელობის ენციკლოპედისტიც. შემოქმედებაზე ყოველგვარი კონსერვატორული შეხედულებებისგან თავისუფალი აბსოლუტური მიმტევებლობითა და ერთგვარი ინტერესითაც კი ეპყრობოდა ყველანაირ „იზმებსა" და მიმართულებებს, რადგან ნაწარმოების უმთავრეს ღირსებად ავტორის ნიჭსა და თვითმყოფადობას მიიჩნევდა.

რაც წლები გადის, მით უკეთესად ვხედავ, ვგრძნობ და ვრწმუნდები, თუ რა ტიტანური შრომა გასწია მიკოლა ბაჟანმა ქართული პოეზიის უპირველეს შედევრთა სათარგმნად, რა უკვდავი ამაგი დასდო ჩვენს ლიტერატურას.

ჩემი დაკვირვებით, მიკოლა ბაჟანის თარგმანები ორი ენობრივ-კულტურული სტიქიის თავისებური შერიგებაა, რადგან მან შეძლო ქართულ შინაარსსა და უკრაინული ენის მეოხებით შექმნილ ფორმას შორის მოსალოდნელი წინააღმდეგობის ნეიტრალიზება, არა მარტო დედანთა შინაარსის, არამედ მათი მხატვრული თავისებურებების შენარჩუნებაც. მიკოლა ბაჟანის თარგმანები წარმოადგენენ ქართულ-უკრაინულ კულტურათა სინთეზს, მათში მეტწილად დაძლეულია განსხვავება ორ ლინგვისტურ სტრუქტურას შორის, გამოვლენილია მხატვრული თარგმანის ამბივალენტური ბუნება. დედნისადმი ერთგულებას იგი არ უპირისპირებდა თავის შემოქმედების თავისუფლებას, რადგან მთარგმნელობითი შემოქმედების ეს ორი ფაქტორი განუყოფელ მთლიანობად წარმოედგინა. იგი ცდილობდა გადმოეცა მეტაფორულ და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა არა მარტო აზრობრივი სტრუქტურა, არამედ მათი ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობაც. თარგმანის ტექსტის მოდელირებისას იგი ყველანაირად თავს იკავებდა საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოვლენისგან და თუ ამის დემონსტრირება მაინც უხდებოდა, არ ივიწყებდა დედნის უმთავრეს არსს, მის სახეობრიობას, რაც საბოლოოდ ხელს უწყობდა ისტორიული და ეთნიკური კოლორიტის გადმოცემაში.

მიკოლა ბაჟანმა მოახერხა ორიგინალთა სინამდვილის განმეორება მათი სუბიექტური და ობიექტური მხარეების, სახეებისა და ემოციების შენარჩუნებით, ორი განსხვავებული ენის, ვერსიფიკაციული სისტემის, პოეტური კულტურის შესაძლებლობათა რეალიზაციის გზით.

გაოცების ღირსია მიკოლა ბაჟანის მთარგმნელობითი მონაგარი. უკრაინული ლიტერატურა მან გამდიდრა უცხოენოვანი, უპირველესად ქართული პოეზიის შედევრებით. აუჩქარებლად, ნაბიჯ-ნაბიჯ შემოდიოდა იგი ჩვენს სულიერ სამყაროში და ბოლოს და ბოლოს იქცა კიდეც მის უზადო მცოდნედ და მთარგმნელად. მას, როგორც ლიტერატორს, ქართულიდან თარგმანების გარდა სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, შთამომავლობა მაინც საუკუნოდ მადლიერი დარჩებოდა.

ვიყოთ გულახდილნი: მსგავსი გაქანების ყველა პოეტი როდი შეალევდა ამდენ ნიჭს, დროსა და ძალ-ღონეს თარგმანს, თუნდაც ეს „ვეფხისტყაოსნისა" და „დავითიანის" თარგმანები ყოფილიყო. მან კი შეალია, შეალია ალალად, პატიოსნად, კეთილშობილურად. ვიმედოვნებ, რომ უკრაინული ლიტერატურის მომავალი მემატიანე უსათუოდ მიაგებს შესაბამის პატივს მიკოლა ბაჟანსაც. დროის გადასახედიდან უფრო აშკარად გამოიკვეთება მისი ძალისხმევის მნიშვნელობა და წარუვალობა.

მიკოლა ბაჟანის მთარგმნელობითი საქმიანობის წყალობით უკრაინული ლიტერატურა, რომელიც ეყრდნობოდა საუკუნეობით გამომუშავებულ ეროვნულ ტრადიციებს, აქტიურად იყენებდა ქართული კლასიკური პოეზიის მხატვრულ გამოცდილებას, იფართოვებდა საკუთარ გამომსახველობით შესაძლებლობებს.

სამწუხაროდ, ეს პროცესი შეაფერხა მეორე მსოფლიო ომმა, რომლის დაწყებისთანავე პოლკის კომისარი მიკოლა ბაჟანი გაზეთ „ზა რადიანსკუ უკრაინას" რედაქტორი გახდა და ვიდრე 1942 წლის ნოემბრამდე, სანამ უკრაინის დედაქალაქს ფაშისტებისგან გაათავისუფლებდნენ, სამხედრო ჟურნალისტი იყო. 1943 წლის მიწურულს კი პოეტი უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნეს, სადაც მან 1949 წლის ოქტომბრამდე იმუშავა.

სახკომსაბჭოდან წამოსვლის შემდეგ ბაჟანმა მცირე ხნის ყირიმში დაისვენა და „დავითიანის" თარგმნას შეუდგა. სიმონ ჩიქოვანისადმი გაგზავნილ ბარათში იგი წერს: „სიმონ, მე შენ გითხარი, თუ ყველაფერი კარგად გამომივა, ჩამოვალ საქართველოში, რათა გურამიშვილის პწკარედები გადავამოწმო, რისი თარგმნაა საჭირო და რისი არა, ერთი სიტყვით, წავიმუშავო ბარამიძესთან, იორდანიშვილთან და ნადირაძესთან ერთად-მეთქი." შემდეგ ბაჟანი ინტერესდება, შეუძლია თუ არა სიმონს მოუძებნოს სადმე თბილისთან ახლოს ოთახი, რათა იქ თარგმანზე იმუშაოს.

თუ როგორ თარგმნიდა იგი საქართველოში „დავითიანს, პოეტმა განსაკუთრებული მღელვარებითა და შინაგანი თრთოლით აღწერა თავის ცნობილ ლექსში: „გურამიშვილის თარგმნისას", რომელიც ასე მთავრდება:

ჩამომაკითხა მეგობარმა, მე მას ველოდი.
რომ მისი რჩევა მჭირდებოდა, თვითონ უგრძნია.
არც ტყეს, არც მანძილს და არც ბიბინს ლურჯთა მდელოთა,
მის მისწურ მზერის დაბრმავება არ შეუძლია.

ცხადია, ეს მეგობარი სიმონ ჩიქოვანია. 1949 წლის შემოდგომაზე ბაჟანი ქართველ მწერალთა ქვიშხეთის შემოქმედებით სახლში ცხოვრობდა და მის საქმიანობას ბევრი სხვა თანამოკალმეც ადევნებდა თვალს.

მიკოლა ბაჟანმა „დავითიანის" თარგმნა 1950 წლის ზაფხულში გაასრულა. სრულიად გასაგები ეჭვი, შესძლებდა თუ არა იგი „ვეფხისტყაოსნის" თარგმნისას დაძლეული სიმაღლის შენარჩუნებას, საბოლოოდ გაიფანტა. ბაჟანმა კვლავ გაიბრწყინა, როგორც ლექსის ჯადოქარმა, მშობლიური ენის უბადლო მცოდნემ და უნატიფესმა სტილისტმა.

„დავითიანში", უკვე კარგად ათვისებული შაირის გარდა, მას მოუხდა ბევრი სხვა სალექსო ფორმისა და სარითმო სქემის გამოყენებაც. მისი თარგმანის წყალობით უკრაინელმა მკითხველმა დავით გურამიშვილში მართლაც დაინახა ავტორი, რომელმაც ქართული ლექსის ევროპეიზება მოახდინა. თარგმანში, ისევე როგორც დედანში, რუსულ-უკრაინულ ხალხურ ლექსთა მელოდიები ქართულს ერწყმოდა და ქმნიდა განუმეორებელ პოლიფონიურ პოეზიას.

ერთხელ ბატონმა მიკოლამ მითხრა: შეიძლება არც დამიჯეროთ, მაგრამ ნამდვილად ასე იყო – „დავითიანის" თარგმნა სიმონ ჩიქოვანთან ბანქოში წავაგე, მოთამაშეებს კი, მოგეხსენებათ, რა მკაცრი კანონები აქვთ, სიმონი შედარებით გულმოწყალე პარტნიორი გამოდგა: მან საქართველოში დამპატიჟა, შემიქმნა ე. წ. „საყოფაცხოვრებო პირობები." მეც, როგორც წაგებული, პწკარედებს ჩავუჯექი.

– აფსუს, ჩვენს ლიტერატურას რომ ახლა ასეთი მოთამაშენი" არა ჰყავს! – შევნიშნე მე.

– „მოთამაშეებად" არც ჩვენ დავბადებულვართ. თამაში ერსგვარი იმპულსი, სპორტულ ენაზე რომ ვთქვათ, დოპინგი გამოდგა პოეტური სუნთქვის გასახანგრძლივებლად. ახლა ვხედავ, რამხელა ცოდვას ვიტვირთავდი, სიმონთან პირშავად რომ დავრჩენილიყავი.

მიკოლა ბაჟანი არც „დავითიანის" გამოცემით დაკმაყოფილდა. მას უკვე ელანდებოდა მირგოროდის მიწაზე დავით გურამიშვილის მუზეუმი, მუზეუმის წინ კი პოეტის ძეგლი. („ჩემთვის რაიმე სერიოზულს არ ვაკეთებ, ვზრუნავ დავით გურამიშვილის მუზეუმზე..." – წერს მიკოლა ბაჟანი 1969 წლის 30 მარტს პაველ ანტოკოლსკის).

როცა იმავე წლის მაისში ქართველი სტუმრები მირგოროდში წაიყვანეს, მათ იქ დახვდათ დავითის კოპწია მუზეუმი, რომლის წინ მწუხარე, მაგრამ ვაჟკაცური სახის პოეტის ძეგლი აღემართათ. მოქანდაკეებს ანდრეი ნიმენკოსა და მიკოლა ობეზიუკს არქიტექტორ ვალენტინ ჟიგულინთან ერთად პოეტის თავისებური სკულპტურული სახე შემოეთავაზებინათ. აკი ჩვენამდე პოეტის არც ერს პორტრეტს არ მოუღწევია, მხედველობაში თუ არ მივიღებთ „დავითიანის" ხელნაწერზე მიხატულ ავტოშარჟს.

– ახლა კი შემიძლია ჩავთვალო, რომ დავით გურამიშვილის სახელის უკვდავსაყოფად ყველაფერი გავაკეთე, – უთხრა იმ დღეს მიკოლა ბაჟანმა ალექსანდრე ბარამიძეს, რომელიც ოცი წლის შემდეგ, როგორც დეკადის მონაწილე, კვლავ ეწვია მირგოროდს,

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაია ცერცვაძე

# ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები

### ახმედა

საბჭოთა პროპაგანდისტულ ფილმებს, რომელთა პათოსი უკვე, ცხადია, ღიმილისმომგვრელია, ქართულ ტელეარხებზე ხანდახან მაინც ვუყურებ ხოლმე, მეტწილად ისტორიკოსისა და დოკუმენტალისტის თვალით. ერთი მათგანი სიკო დოლიძის „დღე პირველი, დღე უკანასკნელიც" არის, რომელშიც გაიდეალებულია პროფესია — ფოსტალიონი. ვუყურებ მას მსახიობთა შესანიშნავი ანსამბლის ხათრით და გ. თორაძის ბრწყინვალე კინომუსიკის — ი. გურგულიასეული შედევრალური რომანსისა და ირ. უჩანეიშვილისეული ფოსტალიონის სიმღერის ხათრითაც.

კომუნიკაციის თანამედროვე ციფრულმა ტექნოლოგიებმა დიდად შეკვეცა ერთხანს მართლაც მნიშვნელოვან ამ მოხელეთა ფუნქციები. დეპეშაა, დეპეშა-ო, იყვირებდა მავანი ფოსტალიონი და მთელი სოფელი მიესეოდა ახალი ამბის შეტყობის ცნობისწადილით.



მათი საგულისხმო მხატვრული სახეებიც შექმნილა – რად ღირს თუნდაც ნოდარ დუმბაძის კონია ფოსტალიონი და მისი სულისშემძვრელი მონოლოგი, ომის დროს სოფელში სიკვდილის მაცნედ მიჩნევისთვის თავსბედს რომ იწყევლის...

ფოსტალიონის ერთი მხატვრული სახე ჩემთვის ძვირფას ადამიანსაც ეკუთვნის. ერთხელ, როცა ორი სართულით ზემოთ უახლოეს მეზობელ ოჯახს — მხატვრებს მანანა ბელიაშვილსა და მის ვაჟს, გიორგის ჩვეულებრივ შინ შევუარე, იქ სასტუმრო ოთახის კედელზე გამოფენილ მათ ნახატებს შორის ჩარჩოში ჩასმული ახალი ნამუშევარი, მამაკაცის ფერწერული პორტრეტი შევნიშნე. ეს ვინ დაგიხატავთ-მეთქი, და ახმედააო, მიპასუხეს.

ახმედა ჩვენი უბნის ფოსტალიონი იყო, ასე ორმოცდაათს მიტანებული, ტანდაბალი, კაფანდარა, შავტუხა, პირხმელი კაცი, გვერდზე გადატკეცილი ლაპლაპა ყორნისფერი თმით. ქართველი ნამდვილად არა, მაგრამ სადაური ან რა რჯულისა იყო, ვერ გაიგებდით. ცქვიტად, ქარივით დაქროდა, თითქოს მიწას ფეხს არც ადგამსო. თვითონვე უთხოვია, დამხატეთო და მანანა დეიდასაც ხათრი აღარ გაუტეხია. ჰოდა, ვერ ვიცანი ახმედა. სურათზე თავის თავს ის თან ჰგავდა და თან არა — მხატვარს მისთვის კეპი დაეხურა, ლოყები ამოევსო, ოდნავ დაელმებული თვალიც გაესწორებინა, ერთი სიტყვით, გაემშვენიერებინა და გაეკეთილშობილებინა. შემდეგ ჯერზე რომ შევიარე მათთან, ახმედას პორტრეტი იქ აღარ დამხვდა, უკვე წაელო. მანანა დეიდამ გულისწყვეტით მითხრა, მგონი დამიწუნა, ჩაილაპარაკა, არა მგავსო.

იმ ბნელ ოთხმოცდაათიანებში ახმედას პრესა მოჰქონდა მწიგნობარი დედა-შვილისთვის, რომელთაც შინიდან გასვლა ეძნელებოდათ და ამით მძიმე ცხოვრებას ერთგვარად უხალისებდა. ზარის ხმაზევე შეიცნობდით მას — ასე გაბმულად, ისტერიულად, განგაშისებურად მხოლოდ ის რეკავდა ხოლმე. მისი მოსვლა კარგი სახლიკაცის სტუმრობასავით ახარებდათ. შეიქროლებდა ბინაში, დააპირქვავებდა მაგიდაზე თავის ტყავის ჩანთას და გადმოყრიდა ნაირ-ნაირ, ფერადყდიან ჟურნალებსა თუ შავ-თეთრ გაზეთებს. ის მძიმე დრო რომ მოთავდა, მერე მისი არსებობა გადაგვავიწყდა კიდეც.

და აი, სულ ცოტა ხნის წინ, კოვიდპანდემიანობისას, ახმედას პროფესია კვლავ აქტუალური გახდა. მთელი ის საშინელი სამი წელი სახლიდან ფეხი არ გამიდგამს, — უფრო მოხუცი მამის გამო ვფრთხილობდი, – და ძირითადად დელივერ სერვისებით ვსარგებლობდი. მაშინღა გამახსენდა ახმედა, როგორღაც მოვძებნე და ლიტერატურული პრესის შინ მოტანა ვთხოვე. სიხარულით დამთანხმდა და განახლდა მისი ვიზიტები. სადარბაზოს დომოფონის კოდი ერთხელ რომ ვუთხარი, მეტი აღარ დასჭირვებია შეხსენება, ციმციმ აღებდა მის კარს და ყოველ პარასკევს დილაადრიან მოგვადგებოდა ხოლმე. ერთხელაც ვთხოვე, თვითონვე გადაევლო თვალი და თუ რომელიმე გამოცემაში ჩემს გვარსა და ტექსტებს შენიშნავდა, ის ნომერი რამდენიმე წამოეღო. თუმცა შენ ხომ ქართულად ვერ წაიკითხავ-მეთქი, ესეც დავამატე. რას ჰქვია, ვერ წავიკითხავო, – გამიწაწყენდა ახმედა, – მე ქართული ვიციო, ტექნიკუმი ქართულადა მაქვს დამთავრებულიო, ჩემი ცოლ-შვილიც ქართულად ლაპარაკობსო. მაშინვე ენაზე ვიკბინე და მოვუბოდიშე. პანდემია რომ დამთავრდა, ახმედა სადღაც გადაიკარგა.

რამდენიმე წელია, ჩვენმა ძვირფასმა მეზობლებმაც დაგვტოვეს. სამწუხაროდ, უმემკვიდროდ გადაეგნენ. მათი ბინა გაიყიდა. იმ შესანიშნავი ნახატების ასავალ-დასავალიც, ერთდროს მათ სტუმრებსაც რომ გვიხარებდა თვალს, უცნობია ჩვენთვის. ისინი იმ ფოტოსურათებსღა შემორჩა ანტურაჟად, მათთან ყოფნისას რომ ვიღებდი ხოლმე.

ამასწინათ ქუჩაში ახმედა დაველანდე და გახარებულმა მივაშურე. მოვიკითხე, თავისი პორტრეტი გავახსენე და ვთხოვე, იქნება ფოტო გადაუღო და ვაიბერით გამომიგზავნო-მეთქი. ერთი უცნაურად, ეჭვისთვალით შემომხედა და დამპირდა კიდეც, მაგრამ ვიგრძენი, რომ დაფრთხა, კაცმა არ იცის, რა იფიქრა, და, რა თქმა უნდა, აღარ გამომიგზავნა. ნუგეშად ისღა მაქვს, მასთან მაინც რომ მეგულება ერთი ნახატი ჩინებული მხატვრის უკვდავსაყოფად.

ახმედა კვლავ დაიკარგა. მისი კოლეგებიც მეტად შეთხელდნენ. არიან, განა არა, მაგრამ ძველებურად აღარ დაივლიან ქალაქის ქუჩებსა თუ სოფლის ორღობეებს – ალბათ, მალე სულაც გაქრებიან...

### უყვარდა ძლიერ, ძლიერ

უნატიფეს პოეტურ სტრიქონებს უძღვნიდა, მნათსა და მნათობს უწოდებდა, ნაცვლად შენსა მე ვიკვნესოო, შენ განსვენებით ოლონდ იცოცხლე და მე, თუ-გინა, საფლავმა მფაროსო, მრავალგზის ვფუცავ არ გნახო, მაგრამ ყოველ ჟამს გეძიებო, ხანა ვჰსწყევ შენთა სიტურფეთ და ხან კი მათვე ვალმერთებო...

როცა რილის ლოშპიტალში მისგან თავისი უმცროსი ძმის ზაქარიას ქორწინების მისალოცი ბარათი მიიღო,...... გახარებულმა „ჩვიდმეტი ურემი დაბარგული მადლობა" შემოუთვალა, სალომეს კი მოსწერა:

„მოვიდა ჩვენი ადიუტანტი და მომიტანა ორი პაკეთი, ერთი ჩემის ძმისა და ერთი კი ვერ ვიცან, თუმცა დიდხანს დავყურე პაკეთსა და ვფიქრობდი ახ! ღ'თო, ვისგან უნდა იყოს... ვაი ჩემს გამოსულელებას, რომ ნინოს ხელი ვერ ვიცან, მაგრამ როგორ მოვიგონებდი ამ ბედნიერებას. მაშინვე სიხარულით დავაძახებინე პესენნიკებს (ანუ მომღერალთ სალდათებს) და საღამომდის ვალრიალე. ამათი ხმა რიგაში ისმოდა... ეხლა თქვენი წერილი ნაწილებსავით უბეში მაქუს და ყოველდღე დაუჯდომელის მაგიერ ვკითხულობ"- ო.

მისი ენაკვიმატი პოეტი დისწული ხშირად აბეზარობდა – გაგზავნილ ბარათებში ხან ამშვიდებდა და ხანაც ახელებდა გულდამწვარ ბიძას:

„მაზეგ რომ სამშაფათია, დიდს ბალს უკეთებს მთავარმმართებელი. მაგრამ, ვინც შენ გეგულება, არც ერთი ჩვენი ქართველი ქალი აქ არ არის და გაიხარე, რომ ბალში არ იქნებიან" -ო;

„ახალი ამბავი, ანუ ჭორი, ხომ გიყვარს: ამ ხელად ეს არის, რომ ნინა ალექსანდროვნა ოდესაში მიდის 9-ს ივნისს. შენ მანდ გაჯავრდი!" -ო.

საპასუხო გრძნობას მოკლებული გულმოკლული პოეტი უკვე ჯვარდაწერილ ზაქარიას სწერდა: **«по моему мнению никакая женщина не стоит и одного вздоха нашей любви»**-ო, – ნინოს ხომ ორივე ძმა ემიჯნურებოდა.

დაქვრივებულ სატრფოს ხანაც ამუნათებდა...

მაგრამ მუნათს ვინ ჩივის, ნათესავებთან გამოგზავნილ პირად წერილებში ალაგ-ალაგ ისეთი უსამართლო, უხამსი და უკადრისი ფრაზებიც გვხვდება უმშვენიერესი, ბედნავსი ნინოს მიმართ, გამეორებაც რომ გიჭირს და ვერ იჯერებ, ისინიც მისი, თუნდაც საყვარელი ქალისგან უარყოფილი და თავმოყვარეობაშელახული მამაკაცის დაწერილი რომაა...

და ესენიც... სიყვარულმა ათქმევინა...

### პაწაწინა სამოთხე

*სამოთხეზე ფიქრისას ყოველთვის რაღაც ბიბლიოთეკისმაგვარი წარმომიდგება თვალწინ.*

***ხორხე ლუის ბორხესი***

ეს ჩვენი წიგნების პატარა კარადაა, ბებიაჩემის მთელ საოჯახო ბიბლიოთეკას რომ იტევდა, ჩემთვის პირველ ბიბლიოთეკას, სანამ სხვებს, ბევრად უფრო დიდებს მივაშურებდი. მას მხოლოდ სამი თარო და ერთიც ქვედა, დაბურულმინებიანი ნაწილი ჰქონდა.

ამ მცირე კარადაში მოეთავსებინათ ყველა ჟანრისა თუ ქვეყნის ლიტერატურა. ფიქშენი თუ ნონფიქშენი, თარგმანი თუ ორიგინალი, პროზაული, პოეტური თუ პიესების კრებულები, მსოფლიო კლასიკა, ანტიკური თუ თანამედროვე, ისტორიული, სამოგზაურო, სათავგადასავლო შინაარსის წიგნები, დეტექტივები, ფოლიანტები, ფართოჯიბიანი ტანსაცმლით სატარებელი თუ მინიატურულ გამოცემები — რას არ იტევდა მისი თაროები.

აქ გვერდიგვერდ ეწყო რამდენიმე ტომეული, სრული თუ დაკოჭლებული, სულაც მისი ერთი ტომი. მახსენდება ალ. ყაზბეგის ლურჯყდიანი ორტომეული, კ. გამსახურდიას და მ. ჯავახიშვილის რამდენიმე ტომი, ი. გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა", ცხადია, „ვეფხისტყაოსნის" გამოცემები. აქვე იყო ქართული დეტექტივები – კაპიტონ რუსიძის „ბეწვის ხიდზე" და ორდე დგებუაძის „განთიადის დედოფალი", უცხოური რომანების ქართული თარგმანები: „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი", „ტომ სოიერის თავგადასავალი", „ბიძია თომას ქოხი", „დიდი სახლის პატარა დიასახლისი", „რობინზონ კრუზო", „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები"... ერთი სიტყვით, ჭრელი და ნაირგვარი ლიტერატურა. ბევრ ამ წიგნთაგანს დღეს, ცხადია, არ წავიკითხავდი, მაგრამ არც მათ წაკითხვას უვნია რამე ჩემთვის, პირიქით.

მავანთა აზრით, ლიტერატურული გემოვნება რომ ჩამოუყალიბდეს კაცს, მან მხოლოდ შედევრები უნდა იკითხოს. ასე ფიქრობდა, მაგალითად, უაღრესად განათლებული ნინო დოლიძე, პოეტ ალექსანდრე საჯაიას ცხოვრების თანამგზავრი და კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის და, წიგნიც რომ უძღვნა თავის სახელოვან ძმას. ადრე მას ეკუთვნოდა ის ბინა, რომელშიც ახლა მე ვცხოვრობ. ჰოდა, ჩვენები იხსენებდნენ, რომ როცა ეს მწიგნობარი ქალი ბინას ცლიდა და სხვა ნივთებთან ერთად თან წასაღებ წიგნებსაც არჩევდა, გადასაყრელად იმეტებდა იმათ, რომლებიც ღირებულად არ მიაჩნდაო. ! – წამოიძახებდა თურმე და განზე მოისროდაო.

ამასვე გვეუბნება ვასიკო კეძერაძის თეორია და პრაქტიკაც, მკითხველად ჩამოსაყალიბებლად კარცერ-ლუქსს რომ გვთავაზობს.

არ უნდა იყოს ეს მოსაზრება სწორი. შედარების საშუალება ხომ უნდა ჰქონდეს კაცს, მით უფრო ბავშვსა თუ მოზარდს...

### ქართველი გიქორი და სხვა ანუ დიდედები და შვილიშვილები

ბევრი სახალისო ამბის გახსენება შეიძლება ჩემი და ჩემი შვილის ბებიებისა.

შოთიკოს ხუთი ბებია ჰყავდა: ორი ნამდვილი ბებია, ორიც მათი და, ჩვენი გაუთხოვარი დეიდები, მანამდე დისშვილებზე გადაგებულნი და ერთიც დიდი ბებია, მხცოვანი ბებიაჩემი, შვილიშვილების მერე მის აღზრდაზე რომ გადართულიყო. უყვავებდა და ეფერებოდა ერთადერთ პატარას ამდენი ბებია. ყველაფერზე მეტად მისი ჭამასმის საკითხი აღელვებდათ — ბებიებს ღრმად სწამდათ, რომ ჯანმრთელი ბავშვი უთუოდ შესუქებული და ფერხორციანი უნდა ყოფილიყო, ხოლო მისი გაციებისა ისე ეშინოდათ, რომ ცივ საჭმელს არ აკარებდნენ – ხილსაც უთბობდნენ ჭამის წინ და, წარმოიდგინეთ, ნაყინსაც კი. ჰოდა, იყო ერთხანს ჩემი ბიჭუნა გაფუმფულებული, „ვარდივით", როგორც ერთი ბებია იტყოდა ხოლმე, ზამთრობით კი, როცა თეთრ ქურქსაც მოიცვამდა, ნამდვილ დათვის ბელს მიაგავდა.

ერთხელ, კვირადღისთვის მუსიკის სკოლის გალობის მასწავლებელმა ბავშვები ტაძარში, გასვლით გაკვეთილზე დაიბარა, თან დაარიგა, იქ უნდა ეზიაროთ კიდეც და ამიტომ უზმოდ მოდითო. შოთიკომ, – იქნებოდა მაშინ ასე შვიდი წლისა, – ეს რომ მოისმინა, შეფიქრიანდა, შეწუხებული წამოდგა და დაუფარავად განაცხადა — მე შინიდან უჭმელს არ გამომიშვებენო, რაზეც ყველას ხარხარი დაუწყია.

ერთხელაც ჩემს პირველკლასელ ძმასა და მის თანაკლასელებს დამრიგებელმა სასკოლო ინვენტარის საყიდლად რაღაც თანხის მიტანა დაავალა. ბებიაჩვენმა მისი ოდენობა რომ გაიგო, ისე, თავისთვის ჩაილაპარაკა, რა ამბავია ამდენიო. ფულს, ცხადია, მაინც გაატანდა სკოლაში, მეორე დღეს რატომღაც რომ არ გადავიწყებოდა. მასწავლებლის შეკითხვაზე, უფულოდ რატომ მოხვედიო, გოგის ალალმართლად მიუგია, ბებიაჩემმა ასე თქვა, ძვირიაო. დაიბარეს მამაჩვენი და ყველაფერი მოახსენეს. შეცბუნებულმა მამამ თანხა მაშინვე გადაიხადა და შინ გაბრაზებული და თავმოყვარეობაშელახული დაბრუნდა. საყვედური მაინც ვერ ჰკადრა ამაგდარ მოხუცს და დეიდაჩემსღა შესჩივლა ბებიაშვილიშვილის „უსაქციელობა". დეიდას კი, აღშფოთებისა თუ თანაგრძნობის ნაცვლად მაშინვე საწყალი გიქორის ამბავი გაახსენდა და: „მაშ, ბალი ძვირია, ჰა! მაშ, ბალი ძვირია, რალა!" – იმეორებდა თურმე ის ვაჭარ არტემასავით ოვანეს თუმანიანის ბრწყინვალე საბავშვო მოთხრობიდან, შესანიშნავად რომ გვითარგმნა გრიშაშვილმა, და გულიანად იცინოდა. მიამიტი პატარა მსახურისაგან სტუმრებთან შერცხვენილი ალას ამ სიტყვებით მერე ჩვენც კარგახანს ვაჯავრებდით ხოლმე გოგის.

რამ გამახსენა ახლა ეს ჩვენი შინაური ამბები და...

დიდი ხანი არაა, რაც გარდაიცვალა მსახიობი მედეა ლორთქიფანიძე, „მანანა ბებია" სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებიდან", კოლორიტული, ქოთქოთა, მოუსვენარი, მზრუნველი ბებიის კიდევ ერთი დაუვიწყარი სახე რომ შექმნა. ის მარტო გოცირიძეების ოჯახის კი არა, ყველა ჩვენგანის ბებიადაც იქცა და მაყურებლის ზღვა ცრემლი გაიყოლა თან. ამ სამწუხარო ამბავმა მისი დიდი წინამორბედები მომაგონა: ვ. ანჯაფარიძის ბრწყინვალე ბებია ეუხენა ალ. კასონას პიესიდან „ხეები ზეზეურად კვდებიან" და, რასაკვირველია, ს. თაყაიშვილის განუმეორებელ ბებიათა წყება: ქეთო („მანანა"), ნუცა („თოჯინები იცინიან"), ოლღა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"), ვარო („როცა აყვავდა ნუში"), მარადია („ნატვრის ხე"), იულია („ძახილი")... ქალბატონმა მედეა ლორთქიფანიძემ თავისი ამ როლით ქართველი ბებიების პანთეონში სწორედ მათ გვერდით დაიმკვიდრა საპატიო ადგილი.

დედის დღის მსგავსად ბებიის დღეც რომ დაგვეწესებინა, რა მოხდებოდა? ვის არ გაახარებდა ეს ამბავი? ასეთი დღე უკვე არსებობს თურმე ორმოცზე მეტ ქვეყანაში: საფრანგეთში, პოლონეთში, იტალიაში... ჩვენს პარლამენტშიც გახმიანდა მსგავსი ინიციატივა, თუმცა უშედეგოდ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფიქრები საქართველოს მწერალთა 26-ე ყრილობის შემდეგ

## აქვთ თუ არა სათქმელი რუსთაველ მწერლებს?

ამ საგაზეთო წერილის მკითხველი, ალბათ, გაიმეორებს ცნობილი ქართული ფილმის, „ცისფერი მთების" მთავარი გმირის კითხვას, რა საჭიროა ორი სათაური... მაგრამ, თუ კითხვას გააგრძელებს, დარწმუნდება, რომ ორი სათაური ამ წერილსაც უხდება...

საქართველოს მწერალთა 26-ე ყრილობას უკვე სამ თვეზე მეტი გვაშორებს, მე კი ის განცდა და ფიქრი, რომელიც ყრილობის მსვლელობისას გამიჩნდა, დღემდე არ მტოვებს. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, ქალბატონ მაყვალა გონაშვილის საანგარიშო მოხსენების შემდეგ ტრიბუნასთან მიდიოდნენ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები, მწერლები, რომლებიც ყრილობის მონაწილეებს ამცნობდნენ, განსახილველ პერიოდში რა გააკეთეს, როგორი იყო და არის ლიტერატურული ცხოვრება მათ რეგიონებში, რა ულხინთ და რა სჭირდებათ უკეთ მოღვაწეობისათვის.

სხვისთვის არ ვიცი და, ჩემდა გასაკვირად და სამწუხაროდაც, ყრილობის ტრიბუნიდან, როგორც ყველა წინა (როგორც დელეგატი, მეოთხედ ვესწრებოდი ყრილობას!), ისე ამ ყრილობაზეც არ გაისმა რუსთაველი მწერლების ხმა... სათქმელი კი იყო, იყო... რუსთავში, ქალაქის ხელმძღვანელობის თანადგომითა და მხარდაჭერით, გარკვეული პერიოდულობით, გამოდის ლიტერატურული კრებული „ჩვენ, რუსთაველები", რომელშიც ქვეყნდება რუსთავში მცხოვრებ მწერალთა და ლიტერატორთა ნაწარმოებები: ლექსები, მოთხრობები, სამეცნიერო ნაშრომები... შესაბამისად, ტარდება კრებულის ყოველი ახალი ნომრის პრეზენტაცია.ასევე, ქალაქის ხელმძღვანელობის თანადგომითა და მხარდაჭერით, გამოიცემა ცალკეულ ავტორთა წიგნები. მაგალითისათვის, წელს 7 რუსთაველი ავტორის წიგნი გამოიცა. საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელობის ინიციატივითა და ორგანიზებით ეწყობა შეხვედრები დედაქალაქელ მწერლებთან... ეს ცოტა როდია და ყრილობის ტრიბუნიდან სათქმელად ნამდვილად ღირდა... მადლიერების გამოსახატავად და თავმოსაწონებლადაც... რატომაც არა!

მაგრამ, რუსთაველ მწერლებს კიდევ მეტი ყურადღება და ხელშეწყობა რომ გვესაჭიროება და გვინდა კიდევაც, იქვე, ყრილობაზე ესეც რომ გაჟღერებულიყო, ამით თუ არაფერი გაკეთდებოდა, ხომ არც არაფერი დაშავდებოდა... თუ თითოეული ყრილობა მწერლებს ახალსა და სასიკეთოს არაფერს მოუტანს, მაშინ რა საჭიროა მისი მოწვევა, რეგიონებიდან დედაქალაქში იმდენი მწერლის (დელეგატის) ჩამოყვანა, შეკრება და... ბოლოს რა?!.

ისტორია მეორდებაო... ამჯერადაც... და როგორი საოცარი სიზუსტით თუ არა, მსგავსებით მაინც... დავიმოწმებ მცირე ამონარიდს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველო"-ში (2019 წ. 28 ივნისი, № 23) გამოქვეყნებული ჩემი წერილიდან – „ძველი სურათები ძველ ჩარჩოში": „...მიუხედავად წინა ყრილობიდან მიღებული გამოცდილებისა, ახლა რატომღაც იმედი მქონდა, რომ მკვეთრად დაისმებოდა და გაანალიზდებოდა პერიფერიული სამწერლო ორგანიზაციების მუშაობისა და იქ მოღვაწე მწერლების მდგომარეობის საკითხი. მაგრამ... ისევ მაგრამ! და როგორც ასეთ დროს იტყვიან, არაფერი გეტკინოთ, არც არაფერი გეწყინოთ! არადა, პერიფერიებში მცხოვრებ და მოღვაწე მწერლებს როგორ გვაკლია ყურადღება, როგორც საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის (აიპის), ისე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან".

ისტორია განმეორდა. დიახ, ასე იყო: რუსთაველი მწერლები წავედით, მივედით, დავესწარით ყრილობას, მოვისმინეთ და... დავბრუნდით შინ!!!

ბოდიში უნდა მოვუხადო მკითხველს ასეთი შედარებისათვის, მაგრამ, გამოდის, რომ დიდი სულხან-საბა ორბელიანივით, რუსთაველმა მწერლებმაც, რაც შევიტანეთ, ისევე ის გამოვიტანეთ... იმან სახელგანთქმულ ვერსალის სასახლიდან, ჩვენ კი თბილისიდან, საქართველოს მწერალთა ყრილობიდან... და ეს უკვე მერამდენედ!

კარგი იქნებოდა, ყრილობის წინ შემდგარიყო რუსთავის მწერალთა ადგილობრივი ორგანიზაციის კრება, რომელიც მოისმენდა საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიშს, გასაანალიზებელს გააანალიზებდა, აირჩევდა ყრილობის დელეგატებს, ჩამოყალიბდებოდა საერთო აზრი, თუ რა გვექნებოდა ყრილობაზე სათქმელი... ყრილობის შემდეგაც, რუსთაველი მწერლები ერთმანეთს გაუზიარებდნენ შთაბეჭდილებას, გასააზრებელს გაიაზრებდნენ და სამომავლო გეგმასაც დასახავდნენ... დიახ, კარგი იქნებოდა...

ეს ერთი ტკივილიანი საფიქრალი, რომელიც იქვე, მწერალთა ყრილობაზე გამიჩნდა და დღემდე არ მანებებს თავს და მეორეც, სხვისი არ ვიცი და, პირადად ჩემთვის გასაკვირიც და გასაკვირზე მეტიც... სიტყვით გამოსვლისას ზუგდიდის მწერალთა წარმომადგენელმა (სახელი და გვარი ვერ გავიგონე), საანგარიშო პერიოდში მიღწეული წარმატებები თავმოწონედ (რატომაც არა!) რომ ჩამოთვალა და პირადად მე და, ალბათ, ყრილობის სხვა დელეგატებიც გაგვახარა და, ცოტა არ იყოს, სრულიად ბუნებრივად, თეთრი შურითაც აგვავსო, სამომავლო გეგმებიც გაგვიმხილა... რაო და, ჩვენ, ზუგდიდელმა მწერლებმა, გადავწყვიტეთ, დიდი კონსტანტინე გამსახურდიას იუბილე გადავიხადოთო...

ამ განცხადებას ყრილობის ყველა დელეგატი მქუხარე ტაშით შეხვდა.. მათთან ერთად, რა თქმა უნდა, მეც... მაგრამ ამჯერადაც მძლია ჩემმა პიროვნულმა თვისებამ და ჩვევამ, ყველაფერს სხვა მხრიდანაც შევხედო... და ჩემთვის გავიფიქრე ის, რასაც ახლა საჯაროდ ვაცხადებ: ძვირფასო, საყვარელო, მისაბაძო ზუგდიდელებო, მეგრელებო, დიდო ქართველებო, თქვენ გენაცვალეთ, ეს რა კარგი რამ მოგიფიქრებიათ და გადაგიწყვეტიათ... დიახ, დღეს საჭირო და აუცილებელია დიდი რომანისტის, ნოველისტის, პუბლიცისტისა და, რაც მთავარზე უმთავრესია, დიდი ქართველის, კონსტანტინე გამსახურდიას იუბილეს აღნიშვნა, კაცისა, ვინც სიტყვითა და კალმით შეუპოვრად იბრძოდა საქართველოს შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ... ისიც ვაღიაროთ: იუბილე, მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გახსენება და შეხსენება, მისი ნათელი ხსოვნისადმი პატივის მიგება იმდენად თავათ (ამ სიტყვას – თავათ – დიდი მოქართულე, ქართული სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია და მისი ღირსეული ძე, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, პოეტი, ესეისტი და ლიტერატურათმცოდნე ზვიად გამსახურდია ასე წერდნენ!) კონსტანტინე გამსახურდიას კი არა, დღევანდელ საქართველოს, დღევანდელ ქართველებს გვჭირდება სამაგალითოდ და მისაბაძად... სადღეისო პრობლემებში უკეთ გასარკვევად და სამომავლო გზის გასანათებლად და გასაკვლევად...

მაგრამ! მაგრამ ის, რომ კონსტანტინე გამსახურდიას, დიდი მწერლისა და დიდი ქართველის იუბილე მარტო ზუგდიდელებისა და სამეგრელოში მცხოვრები მწერლების მოსაფიქრებელი, გადასაწყვეტი და ჩასატარებელი როდია...

აბა, როგორ და რანაირად და რატომ... თუ ზუგდიდელები და, საერთოდ, სამეგრელო თავის კუთვნილად მიიჩნევს კონსტანტინე გამსახურდიას იუბილეს ჩატარებას, მაშინ რა გამოდის, ყველამ, ქართლელმა, კახელმა, იმერელმა, გურულმა, აჭარელმა, რაჭველმა, ფშავ-ხევსურმა და საქართველოს სხვა მხარეების წარმომადგენლებმა თავ-თავიანთ კუთხეში დაბადებული მწერლის იუბილეს აღნიშვნით მოიწონონ თავი და ეგრე დავიყოთ და დავცალცალკევდეთ კუთხეებად და ქალაქებად?/ აქედან რა სიკეთეს უნდა ველოდოთ?

მკლავმოუღლელი და კალამმოუღლელი მწერალი და საქართველოს გულოვანი მეციხოვნე კონსტანტინე გამსახურდია თავისი ნამსახურობით (რაც მის გვარშიც იკითხება, სრულიად საქართველოს საამაყო მწერალია და მისი იუბილე სრულიად საქართველომ, მთელმა ერმა, ქართველობამ უნდა ვიზეიმოთ!

***

რაც შეეხება ყრილობას... როგორც წინა, ისე ამ ყრილობაზეც, დელეგატებს, ვისაც სიტყვით გამოსვლა ერგოთ, არ გამოუხატავთ თავიანთი პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით... წინა ყრილობაზე ამის მცდელობა მაინც იყო, თუმცა უშედეგო, მაგრამ მაინც... ამჯერად კი, დელეგატები თითქოს საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონებიდან კი არა, სულ სხვა სამყაროდან იყვნენ მოსულები და ყრილობაც, მწერალთა ყრილობა, საქართველოში, საქართველოს დედაქალაქში კი არა, სადღაც სხვა პლანეტაზე ტარდებოდა... შეიძლება მწერალს, თუ ის ჭეშმარიტი მწერალია და არა წერასატანილი მომწერლო, მწერლობას მიტმასნებული, არ ჰქონდეს საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენებისადმი, არ იყოს იქ და ისე, როგორც ეს მწერალს მოეთხოვება და იყოს – არსად, არსაიდანელი და არსაითელი? ამიტომ, მწერლებით შევსებული დარბაზის შემხედვარემ, გულდაწყვეტილმა ჩემთვის გავიფიქრე... რამ დამწყვიტა გული და რა გავიფიქრე, სკითხავია?

და კიდევ: იმ დღეს მარტო მე გამიკვირდა გასაკვირი, მარტო მე მეტკინა სატკენი და საწყენიც მარტო მე მეწყინა?

**თინათინ სიყმაშვილი**

ტელ. 593 44 58 10

---

განცხადება

# ალმანახ „ამერიმერის" რედკოლეგიას და დამფუძნებელს!

გულახდილად ვაცხადებ, რომ არ მსურდა საჯაროდ მეთქვა ის, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ მეტი გზა არ დამიტოვა ალმანახის უფროსმა.

წლების წინ არაერთხელ ვთხოვე – ჩემი გვარსახელი ამოეღო სარედაქციო კოლეგიის სიიდან, მაგრამ... უფრო „წინ წაიწია" და ალმანახის ერთ-ერთ ბოლო ნომერში (2023 წ. 1,2) რედაქტორის მოადგილის „ჩინიც მიბოძა".

ამის მნახველმა ვუთხარი, ავუხსენი – რედაქციაში შემოსულ მასალებს მე ვერ ვეცნობი, საერთოდაც არაფერს ვკითხულობ, ამიტომ არც „მოადგილე" გახლავართ-მეთქი.

ვერაფერს მივაღწიე, თუმცა, ჩემს დაჟინებულ მოთხოვნას მეგონა შემდგომისთვის მაინც გაიზიარებდა.

და, როცა სულ ახლახან, ოქტომბრის 13-14-ში, მერაბ კოსტავას ეზოში მდებარე, გამოკეტილ ოთახის კარზე (რომელიც ჩემი მეგობრის, პოეტს – ზურა ქობალიას ეკუთვნის!) ჩამოკიდული, აწ უკვე 2024 წლის ალმანახ „ამერიმერის" (ანუ მორიგი ნომრის) თავფურცელი ვნახე, სადაც ისევ რედაქტორის მოადგილედ ვარ დასახელებული, გადავწყვიტე ოფიციალური განცხადება გამეკეთებინა. აშკარაა – ალმანახის ტირაჟი ჯერ არ დაბეჭდილა, თუმც თავფურცელი, სადაც რედკოლეგიის სიაში ახალი გვარ-სახელებია, უკვე მზადაა!

რა მიზნითაა ყოველივე, ირიბი თუ პირდაპირი საიდუმლო ინფორმაციაა, თვით ნომრის ავტორებმა გამოიძიონ.

საზოგადოებას და თითოეულ მკითხველს ვუცხადებ, რომ არავითარი ფუნქცია ალმანახში დღემდე არასოდეს გამაჩნდა გარდა იმისა, რომ ვიყავი ერთ-ერთი ავტორი.

ამის გამო, ვერასგზით ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას ალმანახში დაბეჭდილ მასალაზე, რადგან...

ბიჭოს, ვინ იცის, ერთხელაც, რა თქმა უნდა, არამშვენიერ დღეს, ამ არეულ ყოფაში (ღმერთმა კი არ ჰქნას ამგვარი!), ვინმემ რომ შეამოწმოს რედაქცია, მის უფროსს კისერში ხელი წაავლოს და უსაყვედუროს, ანდა დაამუნათოს, მე რატომ უნდა გავიზიარო მისი ბედ-იღბალი?

ყოველივე ამის გამო, ვაცხადებ, რომ: ადრე, ალმანახის რედკოლეგიის წევრობა და შემდგომ – რედაქტორის მოადგილეობაც, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდაა!

სხვაფრივ, ალმანახს წარმატებას ვუსურვებ მწერლურ სარბიელზე!

პატივისცემით

**ჯემალ დავლიანიძე**

---

# ლალი ასაბაშვილი



### თბილისს

დავალ წყნარად, მივუყვები მტკვრის ნაპირს,
დავატარებ ჩემს სითბოს და თილისმას,
უსამშობლოდ, რაც ვენამე ვიარე,
მინდა მალე დამავიწყოს თბილისმა.
დავდივარ და გულს მედება მალამოდ,
მთაწმინდიდან მონაბერი ნიავი,
ნეტავ მალე, ყველა დაბრუნდებოდეს,
სამშობლოში, რომ არ იყოს გვიანი.
მე თბილისი ლურჯი ფუნჯით მოვხატე,
მთაწმინდა კი გახვეულა მწვანეში,
უსამშობლოდ ვერსად ვერ გავიხარე,
აქ მინდოდა, ჩვენთან ჩვენს სავანეში.
ნარიყალას თვალს შევავლებ შორიდან,
მეტეხიდან გორგასალი მაცილებს,
მე თბილისმა, თბილისურად მომხიბლა,
დავდივარ და თვალებს ველარ ვაცილებ.

### შორეული მოგონება

იმ შორეულ მოგონებებს ვეფერები,
ბაღში ვზივარ, საქანელა ქანაობს,
ფეხშიშველი ხევის დაღმართს მივუყვები,
ჩემს ტოლებთან მდინარეში ვბანაობ.
იმ შორეულ მოგონებებს დავტრიალებ,
თუთის ხეზე ჭიკჭიკებდნენ ჩიტები,
ის ფრიალა ჭრელი კაბა მენატრება,
მამიდა რომ მიკერავდა ჩითებით.
იმ შორეულ მოგონებებს ვერ ველევი,
ატმის ხეებს ასკდებოდათ ტოტები,
ნაწვიმარი ალუბლები მენატრება
და წვიმაში ტყაპატყუპი ბოტებით.
შორეული მოგონებაც არა მტოვებს,
ჩვენ ერთი გვაქვს, ის ბილიკი, ის წყარო,
სად არ ვიყავ, რა არ ვნახე, მაგრამ მაინც,
ცარიელი მეჩვენება სამყარო...

### სურნელი

შემოდგომის სიო დაჰქრის ქუჩა-ქუჩა,
ბაღი ისევ ნარინჯისფრად ელვარებს,
ქრიზანთემებს წელს რა კარგი პირი უჩანს,
მათი სუნი მოსდებია მწვერვალებს.
შემოდგომა დადის, ტყეში დააბიჯებს,
ძოწისფერად შეფერილან შინდები,
იქ ასკილი, თავმომწონე გაგვაგიჟებს,
აქეთ ზღმარტლის თვალის ჩაპაჭუნები.
დაუღიათ პირი ნაბლის ზღარბუნიებს,
მსხმოიარე თვალს მოგვტაცებს კუნელი,
რაც დათესა, კაცის ხელმა ვალს გვიბრუნებს,
თავბრუს გვახვევს დედამიწის სურნელი.
საოცარი რამე, არის შემოდგომა,
სიკეკლუცე მისგან მონაგონია,
უყვარს როგორც კარგ მეგობარს გვერდში
დგომა,
მისი მსგავსი არსად გაგვიგონია.

### სალაღობო

ყელმოღერებულ ყაყაჩოს,
უცებ შამოვხვდი გზადაო,
ისე ამაყად მიცქერდა,
ჩემი მოხიბვლა სცადაო.
ყელს უმშვენებდა ხალები,
თვალებს ნაბავდა ნელაო,
მის სილამაზემ დამდაგა,
გულს დარდი შამეყარაო.
ვერ შავძელ ხელის კარებაც,
ღმერთმაც არ მამცა ძალაო,
თავს უძლურება შამეტყო
და თვალთაც დამიბნელაო.
იქნებ არ ჯობდა მეხილა,
იქნებ მეპოვნა ძალაო,
მისი სიტურფის ხილება,
ასე რად მამეძალაო.
ხვალაც – იმ გზაზე ჩავივლი,
თვალს გავუსწორებ თანაცო...
ეს ჩემი სულის კივილი,
იქნებ გაიგოს მანაცო.

### სანამ ზამთარი ჩამოდგება

სანამ ზამთარი ჩამოდგება, ჩემს სახლის
კართან,
ეს ფოთოლცვენა, შემიკერავს ხავერდის
მანტოს,
მე შევეჩვიე, უშენობას ფიქრების ზღვასთან
და მონატრება, არ მტოვებდა არასდროს
მარტო.
ზამთარი მუდამ მიყინავდა, ფიქრებს
გათოშილს,
ფანჯრის რაფასთან მიკიდებდა ყინულის
ლოლოს,
თუ შევეჩვიე, შენს დაკარგვას დეკემბრის
თვეში,
იმ ქვეყნად მაინც ხომ გიპოვნი, ბოლოს და
ბოლოს...
სანამ ეს გული უშენობის დაითვლის ტკივილს,
ცივი ზამთარი იბატონებს გაყინავს მთვარეს,
იმედგაცრეცილს ძალა არ მაქვს, ვივიწყებ
ჩივილს,
შენზე ფიქრებით მიმოვხატავ, სამყაროს, არეს.

### ქარის ქროლა

როცა ასე უსიცოცხლოდ ქრიან დღენი,
როცა ფიქრი, ფიქრზე რჩება ჩივილად,
ვის ანაღვლებს ეს შავ-თეთრი დღენი შენი,
რაც ცხოვრებამ დაგიტოვა ტკივილად.
ნათლად ვხედავ, სადღაც ნისლში გავეხვიე,
ყველამ უხმოდ მიმატოვა ბაქანზე,
ვერც ბავშვობის საწადელი ავისრულე,
საკერებელს სევდით ვკემსავ მაქმანზე.
ქარი ქრის და ჩემს ოთახში ფარდას არხევს,
ძველ სკივრიდან მოგონებებს ვალაგებ,
ეს ცხოვრება, რას დაგვილევს თავზე სატეხს,
ქარის ქროლაც, პასუხს არსად არ აგებს.

### წვიმა მოდიოდა

გარეთ წვიმა მოდიოდა,
შემოდგომა მეჯდა სახლში,
ბუხარს ცეცხლი გიზგიზებდა,
ვეხვეოდი ცეცხლის ალში...
ისევ, მე და შემოდგომა,
უშენობის სასმისს ვცლიდით,
იყო სევდა, გულისწყრომა,
ბედისწერის, რომ დავცილდით.
გარეთ წვიმდა, ნისლი იდგა,
შემოდგომა იყო ჩემში,
ვიცი შენი მონატრება,
დღეს თუ არა, ხვალ-ზეგ შემშლის...

(დასასრული. დას. „ლს" №13)

მხარი მეცვალა და ახლა სხვა მხრიდან მინდა ვცადო მწვერვალის დაპყრობა. რეკლამებით მოციმციმე, ასო-ნიშნებად ქცეული ნათურების ცეცხლი, მგზნებარე ლოზუნგები, უშინაარსო, მაგრამ გრძნობებით სავსე სიტყვები, ეს ყოველივე ქმნის შუქ-ჩრდილებით მოთამაშე ცირკის არენას, რასაც ჩვენი სამყარო ჰქვია. აქ, ინტერნეტში შემძვრალი, გაოგნებული თუ გაშტერებული მაყურებლის წინაშე იდგმება ვირტუალური წარმოდგენა, სადაც პოლიტიკოსთა მსახიობური ხელოვნება, ფილოსოფოსთა მჭვრეტელობით მისტერიას ერწყმის. ერთ დიდ ატრაქციონად, „დისნეილენდად" ქცეული ქვეყნიერება ყველასა და ყველაფერს ითრევს თავის კარნავალურ ქაოსში. ეს არეულობა მეც მიპყრობს, გაურკვევლობაში მამყოფებს. ლერძი ეკარგება წუთისოფელს, აქამდე, წალმა-უკულმა რომ ტრიალებდა ჭეშმარიტების გარშემო. აქ და ამჟამად ყოფნაა ერთადერთი, რაც მდგრადობას მანიჭებს მორღვეული აზრის მეწყერში. ფიზიკურია თუ მეტაფიზიკური ეს არსებობა? საცირკო სანახაობა, რომელსაც ყველანი ვესწრებით, გადმოდის ჯებირებს და გარშემორტყმულ ამფითეატრს ამტვრევს.

სხვა გზა არ არის, უნდა წამოვხტე და შევუერთდე სცენაზე გათამაშებულ წარმოდგენას, სადაც ნილბებმა, მოსასხამებმა, მოცეკვავე კაბებმა, იმიჯებმა, ნიშნებმა, სათამაშოებმა, დაკარგეს სხეული და ცარიელ ექსპრესიებად გააგრძელეს თავიანთი თეატრალური ცხოვრება.

როგორ გინდა შეინარჩუნო მისწრაფება მეტაფიზიკისკენ, კლიპების და ეფექტების ამ მოციმციმე შუქ-ჩრდილებში? ვთამაშობ სხვებთან ერთად და არა ვუწყი ვის წარმოვადგენ. ჩემს თავს თუ სხვას? მაინც ვის? არავის! არავინაა ჩემი პერსონაჟის პირველსახე. თუკი სიცოცხლე თამაში, ხელოვნებაა და მიბაძვაა, ალარავინაა, ვისაც შეიძლება მივბაძო. ბავშვობის სამოთხიდან აღმოცენებული, ოდესღაც საამო და სურნელოვანი ბაღი მთლიანად გაიყიდა და გარდაიქმნა დაუსრულებელ ატრაქციონად. ცოცხალი ბუნების ნამცეციც კი ათვისებულია, კულტივირებულია და გადაქცეულია გართობა-სანახაობის მომგებიან ელემენტად.

ძნელია აქ ყოფნა. თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ეს შეუძლებლობაც დაშლილი და დანაწევრებულია მოჩვენებით შესაძლებლობებად. ჰსე მგონია, ისევ ვდგევარ მწვერვალის ბილიკზე, ისევ ავდივარ მაღლა და მაღლა (თუმცა შესაძლოა ქვევითაც მივფრინავ) და ბოლო არ უჩანს ამ აღმართ – დაღმართს.

იქნებ რაიმე სასიკეთო მოვნახო ამ უიმედობასა და უაზრობაში? არავის მიბაძვა თავად უნდა ვაქციო მეტაფიზიკურ საგნად. მიბაძვა ნიშნავს, რომ მინდა ვიყო განსხვავებული საკუთარი თავისგან, ვიყო გახსნილი სხვადყოფნის ათასფერ შესაძლებლობათა მიმართ. მნიშვნელობა არა აქვს ვის ან რას ვემსგავსები, თავად მიბაძვის პროცესი, თვითიდენტიფიკაციის ახალ თვალსაწიერს მისახავს. ვთამაშობ თამაშის გულისთვის.

თითქოს პოსტმოდერნის ამ თვალისმომჭრელ ატრაქციონს დაავიწყდა, რომ საბაზრო ინტერესების გამო შეიქმნა და კრეაციის თავდავიწყებაში მიაღწია ისეთ თეატრალურ ეფექტს, რომელმაც თავად შეიმოქმედა საკუთარი არსებობა და არსი , მიზეზი და მიზანი. მეც ამ თვითმყოფადი სანახაობის მონაწილე ვარ. არაფრით განვსხვავდები ხელოვნური ინტელექტისგან, აქ რომ განუკითხავად მბრძანებლობს და ჩემი შექმნილი, ახლა პირიქით, მე მისახავს შემდგომი არსებობის პროგრამას და მიზანს. მთავარია არ შემოვირტყა თავში ხელი, ბოროტებად არ შევრაცხო ინტელექტუალური ცხოვრების კომპიუტერული პროგრესი. ყველაფერი უკვე არსებულის ახალი მოცემულობაა, რომელიც უნდა მივილო, რომ გზის გაგრძელება შევძლო ნისლით მოცული მწვერვალისკენ. .

მე და ხელოვნურად მოაზროვნე მანქანა ისე დავმეგობრდით, ველარ გამირკვევია მე ვწერ იმას, რასაც ვწერ, თუ მექანიკური რიტმით ჩნდება სათქმელი.

დაქოქილი თოჯინასავით ვაგრძელებ თამაშს, საყოველთაო უწესრიგობის, ჩემთვის სრულიად გაუგებარ დღის წესრიგში. მარადისობის სფინქსივით აღმართულა აზროვნების ეს პოსტმოდერნული მანქანა და თავისი დუმილით გზას მიხსნის ჩავიხედო საკუთარ სულში.

გონების ცაზე მეხის გაელვებას ჰგავს ფიქრი, რომ განსხვავებაა სამყაროს არსებობის საწყისი და არა მსგავსება! ჯერ არსებობს მიბაძვა, როგორც თავისთავადი თამაში და შემდეგ ჩნდება ის, რასაც უნდა მივბაძო. გარდასახვის და განსხვისების პირველადი აქტი არარსებულს ერწყმის, წინ რომ უსწრებს არსებობას და აღქმასა.

ეს იდეა უცნობი მწვერვალის უახლოესი ნიშანსვეტია. არსაიდან მონაბერი ქარი წმინდავს და ახსოვლისნებს გონებას. ვგრძნობ, როგორ ვთავისუფლდები უკვე დაწერილი და გაქვავებული სიტყვებისგან, სიზიფეს ტვირთივით რომ მაწევა გულზე. ქარიშხალი მეხმარება მოვიგლიჯო გულს ლოდივით შემოწოლილი ბარგი, სრულიად განვთავისუფლდე წინამდებარე ტექსტისგან, ჩიტივით გავფრინდე და თავიდან დავიწყო მეტაფიზიკის მწვერვალის ძიება.

საამოა ასეთ მდგომარეობაში ყოფნა. საამოა თუნდაც იმიტომ, რომ ჭეშმარიტების გამოცხადების მზადყოფნაში ვარ, რაც გულისხმობს აქ და ახლა ყოფნას სამყაროს ისეთ ლიაობაში, სადაც მარადისობის სფინქსაც მივუგდებ ყურს და თანაც არ დავკარგავ კავშირს აწმყოსთან, რათა

**მამუკა დოლიძე**

# პოსტ-მეტაფიზიკური მედიტაციები და ფენომენოლოგიური ძიებები

## 25-ე მსოფლიო ფილოსოფიური კონგრესის გამოძახილი




დროის შეჩერებული მომენტის თვალჩაუწვდენელ ჟამში გაისმას გამოძახილი მეტაფიზიკის არსის შესახებ.

სად არ დაფრინავს ჩემი ფიქრი და მაინც ვაცნობიერებ აქ ყოფნას, ჩემი ბავშვობის სოფელში, საგარაკო სახლის სამუშაო ოთახში. ეს შეგრძნება კუდში წვდება ხელიდან გაქცეულ დროს, მის მდინარებას აჩერებს, უფრო კი ერწყმის. აქ და სხვაგან ყოფნის ერთდროულობაში მეუფლება მწვერვალზე დგომის მგზნებარე განცდა, როგორც სიცოცხლის სავსეობა, ლიაობა და უსაზღვროება.

ამ განცდასაც აღემატება შეგრძნება იმისა რომ ვარ, ვარსებობ იგივეობის და განსხვისების მოთამაშე ტალღაზე.

დავუშვათ გაუფასურდა ყველა და ყველაფერი და სრულიად ცარიელმა ილუზიებმა ხელში ჩაიგდეს ყოფიერების საუფლო. საყოველთაო არეულობაში მეც შეიძლება დავკარგე საკუთარი თავი და ველარ გავარკვიო ვინ ვარ: მოაზროვნე ცხოველი, თუ ხელოვნური ინტელექტი.

წარსულის მონატრება და ნოსტალგიაც კი გამქრალია თავქეიფა იმიჯების, ენობრივი თამაშების, ობლად დარჩენილი სიმბოლოების, უავტორო სიტყვების, არაფრისმთქმელი ხატოვანების, უშინაარსო ექსპრესიების, გამალიზიანებელი რეკლამების, ქვეცნობიერი კლიპების, საშინელებათა ფილმების, ათასფერი ურჩხულების, სიმახინჯის ესთეტიკაში.

დავუშვათ ვარ მხოლოდ უპასუხო კითხვის ნიშანი საკუთარი მეობის შესახებ. ყოველივე ეს სიმულაკრების, ანუ უსაგნო მიბაძვის და თავისთავადი თამაშის ფენომენოლოგიური მოძრაობაა.

მთავარი ის არის, რომ ეს მოჩვენებითი, ილუზორული სამყარო, რომელიც მოკლებულია ადამიანიანურ სინამდვილეს, სადაც იმიჯი, ცარიელი სიმბოლო და უშინაარსო სიტყვა განუკითხავად მბრძანებლობს, არ არის მხოლოდ ილუზია, მხოლოდ ფანტასმაგორია. ის არსებობს, ის ყოფიერების ახლი წარმოდგენაა და მას გააჩნია თავისი ტრანსცენდენტალური საფუძველი, თუმცა ეს არც ყოფნა-არყოფნის კლასიკური სუბსტანციაა და არც არარას ონტოლოგია.

პოსტ-მოდერნის თვალისმომჭრელ სიღრმეში არყოფნის ნალმივით არის ჩადებული მეტაფიზიკური არარსი, რომელსაც არა აქვს სახელი და გარკვეული შინაარსი. მის შესახებ შეკითხვის დასმას თან არ ახლავს შესაფერისი პასუხი.

ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, არის რწმენა, რომ ეს ფერადოვანი, ფეთქებადი სიარაფრე არსებობს. რწმენა გარდაქმნის ილუზიათა სამყაროს რეალობად, ოღონდ ეს არ არის ფიზიკური რეალობა ან სულიერების იდეალური სამყოფელი. ეს არც კომპიუტერის ვირტუალური ილუზორული სივრცეა.

ეს გახლავთ ჰიპერრეალობა, რომელშიც იმდენადაა ჩაქსოვილი მე-ს თავისთავადი იმიჯი, რომ არსებითად სუბიექტური რეალობაა და არა ობიექტური სინამდვილე.

შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ჰიპერრეალობის სახელს უწოდებენ თანამედროვე მოაზროვნენი პოსტ-მოდერნის სიტუაციას,. რეალობის აღმატებული ხარისხი გვიჩვენებს, რომ პოსტ მოდერნი გარკვეულ მეტაფიზიკურ ელემენტს მოიცავს თავით თავში, როგორც ახალი ჭეშმარიტების ფასეულობას, რაც ადამიანს, როგორც ცარიელ იმიჯს და საგანთა სიმულაკრებს, როგორც ცარიელ სიმბოლოებს, ანიჭებს თავისთავადი ყოფიერების ღირებულებას.

პოსტ-მოდერნის ფენომენოლოგიურ ლიაობაში, რომელიც გაურბის უკვე ჩამოყალიბებულ საზრისებს, ფეთქავს ახალ საზრისთა ქმნადობის სასიცოცხლო იმპულსი, თავისი ინტენსივობით და დაუსრულებლობით რომ აღემატება ყოველგვარ ეპისტემოლოგიურ ცოდნას, რაც გაგვაჩნია და რაც შეიძლება გაგვაჩნდეს არსისა და არსებობის შესახებ.

**დასკვნა დასკვნის გარეშე.**

აქ წარმოდგენილი ესსე გამორიცხავს ფენომენოლოგიას, როგორც მკაცრ მეცნიერებას ძველი, კლასიკური მეტაფიზიკის შესახებ (4). დასახული პრობლემის კვლევა ეწინააღმდეგება ყოველგვარ შეჯამებას და დასკვნას, რადგან სათქმელის თავმოყრა გამოუთქმელი არსის შესახებ ერთგვარი რედუქციაა, შემოსაზღვრულობაა, აზრის დეტერმინიზმია, რასაც ვერ ეგუება ის, რის შესახებაც შეუძლებელია გამოითქვას აზრი.

ენის დეკონსტრუქცია და იავარქმნილი სიტყვის წიაღში ყოფიერების ელემენტარული ნაწილაკის ძიება მხოლოდ მოჩვენებითი მისადგომია ამ მიუდგომელ მწვერვალთან.

კანტისეული რწმენა, რომ არსებობს „საგანი თავის თავში", რაც ზემოქმედებს ჩვენს ცნობიერებაზე და ქმნის ადამიანის სამყაროს წმინდა გონების ერთგვარი დაშვებაა, რაც ფაქტიურად ვერ ფანტავს წყვდიადს მეტაფიზიკის საგნის გარშემო.

ვფიქრობთ, გზის გაგრძელების ერთადერთი შესაძლებლობაა დაუსრულებელ ფენომენოლოგიურ მოძრაობაში ყოფნა; არსებობა სილამაზის და სიმახინჯის მიღმა, ჰიპერრეალობის ფანტასმაგორიათა ალპინისტურ ბანაკში, საიდანაც თუ ღმერთმა ინება, მოწმენდილ ცაზე შეიძლება გამოჩნდეს ის, რისი დანახვაც მხოლოდ ბედის განჩინებით არის შესაძლებელი.

მანამდე კი არსებობს მხოლოდ მოძრაობა, მხოლოდ სიცოცხლე, მხოლოდ თავბრუდამხვევი რიტმის და სულის მოთქმის მონაცვლეობა; სწრაფვა, მიზნობრიობა, რწმენა, სინდისის ხმა, ყოფნა ყოფნის ლიაობაში და ძიება, როგორც სუნთქვის აუცილებლობა; უეცარი ზეშთაგონება და სასწაულის მოლოდინი, რომ ერთხელ მაინც გაიხსნას იდუმალების ფარდა და მარტოსულის საცალფეხო ბილიკზე გამოჩნდეს ის, რასაც ვერ იტყვი, სხვას ვერ გააგებინებ, მაგრამ იპოვნი და დაეწაფები, როგორც მხოლოდ შენთვის არსებულ ჭეშმარიტების წყაროს.

გულწრფელად რომ ვთქვა, მეტაფიზიკის არავითარი ძიება აქ არ ხდება. ჩემი ფიქრის მიმდინარეობა არის მხოლოდ ტრავერსი აზროვნების მწვერვალებზე, რომლის ზეამოცანაა „მე-ს" ცნობიერების სრული განთავისუფლება ყოველგვარი წინასწარდასახული პრობლემებისგან და მეთოდოლოგიური გზებისგან.

გაუკვალავში გადასვლა, ქმნადობის ცოცხალი იმპულსის დაჭერა, სრული ნდობა სულიერი წიაღსვლების მიმართ; გარღვევა და გადალახვა ყოველგვარი ჟანრობრივი საზღვრების, რაც სწორედ პოსტ-მოდერნის სტილია... წინადადებათა წყობის აღრევა, სიტყვათა განტვება მნიშვნელობების და საზრისებისგან, თავისუფლების სიხარული, შემოქმედებითი წვა...

მეტაფიზიკით შთაგონებულმა აზროვნებამ შეიძლება ვერც იგუოს მხოლოდ ფილოსოფიის საზღვრები და გადავიდეს ყოველგვარ ზღვარს, რაც თურმე სულაც არ ნიშნავს უსაზრისობაში ჩავარდნას. პირიქით, გონების ასეთი ზემძლავრი კონცენტრაცია აღემატება ყოველგვარ მიზანს, ნატვრას, ფანტაზიას, ოცნებას. ფრთაშესხმული იდეა აღარ არის მხოლოდ აზრი, ის სახეთა ქმნადობის, პოეზიის და მხატვრული სიცოცხლის მომცველი მონადაა. სწორედ ეს გახლავთ ელემენტარული ნაწილაკი, რისგანაც ყველაფერი შედგება და რასაც ამაოდ ეძიებს ატომური ფიზიკა უმცირესი ქმედების კვანტში.

მინდა აზრი მოვიკრიფო, რათა შევცურო ჰერაკლიტეს ცოცხალ ნაკადში. მინდა შევიგრძნო უხილავი ეთერი, ის კოსმიური მატერია, სადაც დავანებულია ჩემი სათქმელი და მელოდება მე, როდის ჩავწვდები მის შინაარსს, როდის მივაღწევ მის სათავეს, საიდანაც უშრეტად მოდის, გადმოდის, მოედინება თვითონ არ ვიცი რა, არც ის ვიცი საით მიედინება და თუ არ გავჩერდი, თუ არ დავარქვი ამას ყველაფერს მეტაფიზიკის სახელი და არ შევინახე ჩემი სულიერი თვითყოფნის საიდუმლოთა საგანძურში, ვერაფრით გავუძლებ ამ ზვავივით მოწყვეტილი ნაკადის ტალღებს.

რა არის მეტაფიზიკა? თავად ამ შეკითხვის დასმა უკვე რაღაცის თქმას ნიშნავს მეტაფიზიკური საგნის შესახებ. ამ შეკითხვაშია ჩაქსოვილი პასუხის განცდაც, ოღონდ ეს პასუხი არ წარმოადგენს არც წმინდა გონების იდეას და არც მის ფსიქო-ემოციურ გამოხატვას; ეს წარმოსახვითი, ფენომენოლოგიური განცდაა, შემოქმედების თავისუფლებას რომ ეთამაშება. სულიერი კრეაციის ვნებათა ღელვა ვერ გამოდის ცნებითი აზროვნების სინათლეზე და აზრის და მნიშვნელობათა ქმნადობის წინალოგიკურ სფეროში ტრიალებს.

პოსტ-მეტაფიზიკის სულიერი განცდა გასხივოსნებულია სუბიექტური ჭეშმარიტების სულ სხვა ნათელით: „მე-ს" ცნობიერების თავის თავში ყოფნის სიცხადით.

**ლიტერატურა**

Tymieniecka Anna Teresa – The Origins of Life. " Analecta Husserliana" 2000, vol. LXVII pp. 3 _ 12.

ჰაიდეგერი, მარტინი წიგნი: რა არის მეტაფიზიკა? — ( რუს. ენაზე) გამ. ფილოსოფიური ტექნოლოგიები. 2007 გვ. 43 — 63.

3. მამარდაშვილი მერაბი. „არტოს მეტაფიზიკა" 1993 „ხელოვნება" 7-8

4. ჰუსერლი ედმუნდ. წიგნი: ფილოსოფია როგორც მკაცრი მეცნიერება. (რუს. ენაზე) გამომცემლობა „საგუნა" 1994, გვ. 49 – 99.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეზო ზეინაბიშვილი

# მოთხრობა დედაზე

## პეტერ ჰანდკეს უსურვილო უბედურების ქართული თარგმანი

(დასასრული. დას. „ლს" №13)

წარსულთან შეხვედრის განცდის ხარისხი ყველასათვის ინდივიდუალურია, მაგრამ არის მასში ყველა ჩვენგანისათვის ნიშანდობლივი საერთო თვისებაც. ეს არის რწმენა იმისა, რომ ადამიანი გარკვეული მემკვიდრეობითი ჯაჭვის წევრია და არსებობას მხოლოდ დღევანდელობით არ უნდა საზღვრავდეს. საკუთარი საწყისებისაკენ ამ წარმოსახვით სვლაში იკითხება დაუოკებელი სწრაფვა, ცხოვრების მდინარების ორომტრიალში მთავარდნილს წარსული მარტოოდენ მკრთალი ანარეკლივით არ შემორჩეს და საკუთარი სინამდვილე განვლილ ხდომილებათა აღდგენით გაამდიდროს.

ეცნობი ამ თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებს და გრძნობ, რა მყარად ჩამჯდარა წარსული ცნობიერებაში, რარიგ ცხოველმყოფელია მოგონებათა ნაკადი, რადგანაც წარსულის ყოველი სურათი შენივე დღევანდელობის პარალელურად არსებობს და მოგონებასა და აწმყოს შორის აღმართული ზღვარიც განქარვებადი სიზმარივით იშლება. ამ ზღვარწაშლილი სივრცის ადგილი თანამედროვეობის დიდმა ფილოსოფოსმა მარტინ ჰაიდეგერმა ორ განზომილებას შორის მყოფობად წარმოიდგინა, ისტორიის იმ ჰორიზონტად, სადაც წარსულისა და აწმყოს მოსაზღვრეობა მხოლოდ ძველის დასასრული და ახლის დასაწყისი როდია. რეფლექსიისა და საკუთარი ყოფიერების ღრმა განცდის საშუალებად მან „დროულობა" მიიჩნია და დროის შინაგანი განცდა წარსულისა და აწმყოს შემაკავშირებელ რგოლად დასახა, რადგანაც ბევრია მოგონება, რომელთაც ჟამთა სრბოლა ვერ აფერმკრთალებს და მათი სადღეისო წილი და ხვედრი ლიტერატურული პირველწყაროს ნიმუშად ქცეულა.

ასეთი ფიქრების ნაკადს აღძრავს ცნობილი



ავსტრიელი მწერლის პეტერ ჰანდკეს მოთხრობა „უსურვილო უბედურება" (1972), ერთი იმ წიგნთაგანი, რომლებშიც „ადამიანისადმი მიმართულმა ცნობისწადილმა ზურგი შეაქცია პოეტურ გამონაგონს (...), [მასში] ადამიანის ცხოვრება და ბედ-იღბალი წარმოდგენილია ალალ-მართლად, შეუფერადებლად, სადაც არც გამონაგონია, არც ინტრიგა და არც ფანტაზია"( თ. მანი). ამ შემოქმედებითი მანერის თაობაზე თავის დროზე გოეთეც წერდა: „განცდილის გამოყენება ჩემთვის მუდამ ყველაფერი იყო: არაფრიდან გამოგონება არასოდეს ყოფილა ჩემი საქმე. ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ სამყარო გაცილებით უფრო გენიალურია, ვიდრე ჩემი გენია".

თავისი მრავალმხრივი ლიტერატურული მოღვაწეობა პ. ჰანდკემ აქტიურად დაუკავშირა მ. ჰაიდეგერის მემკვიდრეობის შემოქმედებით გააზრებას, რამაც თავი იჩინა გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდგომ შექმნილ ნაწარმოებებში. მ. ჰაიდეგერის გახმაურებული „Kehre"-ს (შემობრუნება, გადატ. გარდატეხა) ანალოგიით ლიტერატურული კრიტიკა ხმამაღლა საუბრობს პ. ჰანდკეს ინდივიდუალურ „Kehre"-ზე. მ. ჰაიდეგერისათვის ეს იგივეა, რაც ფილოსოფიის შემობრუნება ადამიანისაკენ, საწყისთა წვდომა, სულიერების სიღრმეებში გარკვევა; ადამიანისა და ენის ურთიერთობისა და ყოფიერებასთან აზროვნების მიმართების ახლებური გააზრება. მ. ჰაიდეგერი აყალიბებს შეხედულებას აზროვნებისა და მწერლობის იდენტურობის თაობაზე, რომ ენობრივი აზრმდებლობა და მეტყველება უნდა ვითარდებოდეს პოეტური სახეებისა და სიმბოლოების მეშვეობით. ამგვარი აზროვნების პროტოტიპად კი მას მიაჩნია ფრიდრიხ ჰიოლდერლინი, სხვა პოეტი-რომანტიკოსები და წინასოკრატელთა შემოქმედება. პ. ჰანდკესთვის ეს ცნება წმინდა სამწერლო პრაქტიკის საკითხია — მრავალმხრივი ენობრივი ექსპერიმენტების შემდეგ შემობრუნება მის მიერ ცნობიერებაში შექმნილი სამყაროდან (das Bewußtseinsland) მიმეტური ხელოვნებისაკენ. თითქოს ხელახლა ცოცხლდება მასში მთელმარე პოეტური ენერგია, რათა „არაპოეტური", ტრივიალური ცხოვრებისეული სინამდვილე ესთეტიკურ ღირებულებად აქციოს.

„უსურვილო უბედურებას" მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ მოთხრობა, რის გამოც იგი მხატვრული ნაწარმოების ჟანრული ტიპოლოგიზაციის ნიმუშადაც გამოგვადგება. ნებისმიერი ჟანრის მხატვრულ ნაწარმოებს თავისი შესატყვისი ფორმა და სტილი გააჩნია და ამოსავალ კრიტერიუმადაც მისი სტრუქტურული აგებულებაა მიჩნეული. ბუნებრივია, რომ კონკრეტული ტექსტის ანალიზი ყოველთვის ინდივიდუალურია და კვლევის განსხვავებულ მოდელებს გვთავაზობს. პ. ჰანდკეს ნაწარმოები საშუალებას გვაძლევს, მისი ანალიზი განვავითაროთ როგორც სტრუქტურული, ისე ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის მიმართულებით. მის პოეტიკაში გარკვევაც მასში გამოყენებული სტილური თავისებურებების ნათელყოფითაა შესაძლებელი.

მოთხრობაში განვითარებული მოქმედებისა და რეფლექსიის ზომიერი მონაცვლეობა განაპირობებს გამოკვეთილი მნიშვნელობის სიბრტყეებს, რომელთა ერთიანობა ქმნის თავისუფალი არქიტექტონიკის საფუძველს. ერთიანდება წარსულთან დაკავშირებული ორი პერსპექტივა — მოგონების არსებული მომენტი, როდესაც მთხრობელი დედის სულიერ ბიოგრაფიას გვიყვება, და მოსაგონარი დრო, რომელშიც დედის თავგადასავალი ვითარდება. თხრობის პროცესში ორი პარალელური სიუჟეტური დინების თანაარსებობა განაპირობებს კიდეც მოთხრობის პოეტურ დრამატიზმს.

თხრობითი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული პოეტიკის თანახმად, მოთხრობას უნდა ჰქონდეს ერთიანი ექსპოზიციური ფონი, გამოკვეთილი არქიტექტონიკა, სიუჟეტური კომპოზიცია, მოქმედების განვითარება — კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა; ზოგჯერ პროლოგი და ეპილოგიც. ფილოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე ეტაპზე წამოყენებული მოთხოვნები ითვალისწინებენ ასევე ნაწარმოების ტოპოლოგიური ჩარჩოს გამართულობას და ტექსტის ბმულობის ორ სახეობას — კოჰერენცი (Zusammenhang, Kohärenz) და კოჰეზია (Zusammenhalt, Bindung, Kohäsion). „პირველი ენობრივი მონაცემების შინაარსობრივ ბმულობას გულისხმობს (რაც არ უდრის ექსტრალინგვისტური შინაარსების ურთიერთკავშირს), ხოლო მეორე — ენობრივი მონაცემების გრამატიკული ბმულობის წესებს".

პ. ჰანდკე შეგნებულად ამსხვრევს ამ ტრადიციულ ფორმას. ძირითად სიუჟეტურ პლანს მწერალი მოგონებების სახით აყალიბებს. მოგონებები დედის წარსულზე და საკუთარ ხდომილებებზე მიედინება პარალელურად. ორივე სიუჟეტი გამოკვეთილი რეალური პლანია. საწყის წერტილად აღებულია დედის გარდაცვალებით აღძრული განცდები, რომელთა საფუძველზეც ხდება ცნობიერებაში დალექილი მოვლენების გათანადროულობა. ერთი მხრივ, სახეზეა პერსონაჟის სულის წარსული, მეორე მხრივ — ავტორისეული სუბიექტური თვალსაზრისი, რომლის მეშვეობითაც ფართოვდება წარმოდგენა გარემომცველ ობიექტურ სინამდვილეზე.

ავტორი საკუთარ პიროვნებაში აერთიანებს დედის ბიოგრაფიასა და მისი ცხოვრების მონაკვეთებთან დაკავშირებულ ინტონაციებს. დედის მოგონებებით აღძრული ფიქრთა დენა, მართალია, სწორხაზოვანია, მაგრამ მოგონებათა ნაკადი კომპოზიციური თვალსაზრისით მაინც თანმიმდევრულია, რამდენადაც ნაჩვენებია დედის, როგორც ინდივიდისა და საზოგადოების წევრის ჩამოყალიბებისა და სოციალიზაციის ეტაპები დაბადებიდან თვითმკვლელობამდე. ნაწარმოებს განსაკუთრებულობას სძენს ის სტილური ხერხი, რომ წარსულის პლანს ხშირად ენაცვლება რეალური დროის პლანი. ეს ხდება მაშინ, როდესაც ხელოვანი საკუთარ მხატვრულ-ესთეტიკურ კრედოს წარმოგვიდგენს. ისინი თანაბრად აგებენ კომპოზიციას, რადგან დედის ცხოვრების ყოველი სურათი აწმყოს პარალელურად არსებობს. სახეზეა დღევანდელობაზე ნაფენილი წარსული, რომლის მიზანია მთხრობელის ნააზრევისა და განცდილის ორიგინალობით გამოხატვა. ავტორი ამბობს კიდეც:

„ლიტერატურულ საქმიანობას ვეწევი ჩვეულებისამებრ, გადაქცეული მანქანად, რომელიც იხსენებს და გამოთქვამს,... ამას გარდა, საკუთარი ინტერესები მამოძრავებს, მე ხომ თითქოს ხელახლა ვიბადები..."; „როცა ვწერ, ვწერ მხოლოდ რაღაც გარდასულზე, გადატანილზე, ყოველ შემთხვევაში, იმაზე, რაც წერის დროს გარდასული და გადატანილი მგონია"; „აღწერისას ვიხსენებ, გონებაში აღვადგენ მათ, როგორც ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ დასრულებულ ხანას".

გარდასული დროის პერსპექტივას პ. ჰანდკე წარმოგვიდგენს გერმანულენოვანი თხრობითი ხელოვნებისათვის ერთობ პოპულარული Ich-Erzählung-ის ფორმით (თხრობა პირველ პირში), რომელშიც კარგად ჩანს მე-20 საუკუნის ლიტერატურული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი თვისებები — ასიმეტრიული სტრუქტურა და ჰარმონიისა და პროპორციის ახლებური გაგება. განსხვავებით შეთხზული, გამოგონილი ნაწარმოებისაგან (Fiktionales Erzählen) ასეთი ნაწარმოებები ემყარებიან არსებულ სინამდვილეს. ამ ფორმის მოთხრობაში ძნელია გაარკვიო, ვინ არის სუბიექტი — ავტორი თუ გმირი, რადგან წინა პლანზე წამოიწევა თავად მთხრობელის ცნობიერება. ფაბულაც ასე კარგავს წამყვან ფუნქციას, რადგან სიუჟეტი არათანმიმდევრულად ვითარდება; ტექსტი წარმოადგენს მოგონებათა ჯამს, სადაც დედის პლანი გამოკვეთილ სიუჟეტურ ხაზს აყალიბებს. თუმცა ოცდაშვიდგვერდიანი ტექსტის სულ რაღაც ერთ მეოთხედზე მოთავსებული ავტორისეული რეფლექსიები მაინც თვალნათლივ გვიჩვენებენ, რა ინტენსიურობით ღრმავდება მთხრობელი საკუთარ ფსიქიკაში და როგორი ოსტატობით ახერხებს იგი ემპირიულ თხრობაში ჩატიოს დედის ცხოვრების ეტაპები. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია პირველი პირის თხრობისათვის დამახასიათებელი მომენტი — მისი სუბიექტურობა, და ვდგებით სავალდებულო შეკითხვის წინაშე — იქმნება თუ არა მოთხრობაში სრული ობიექტურობისა და ჩაურევლობის ატმოსფერო? ამ შეკითხვის დასმა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რამდენადაც ნაწარმოები ეხმიანება გასული საუკუნის ლიტერატურის თეორიაში დამკვიდრებულ ცნებას „Beherrschte Prosa". (beherrscht — თავშეკავებული, თავდაჭერილი, მოზომილი). ჩვენ ვამჯობინებთ გამოთქმას „მიუკერძოებელი პროზა", რადგანაც იგულისხმება მოვლენათა ნეიტრალური აღწერა, გმირისადმი გრძნობათა გამოვლენის გარეშე.

ავტორი წარსულს დღევანდელობის პრიზმაში წარმოაჩენს, რითაც მიგვანიშნებს, რომ მოგონებები არ ნიშნავს მხოლოდ საკუთარი გონების ფარგლებში წრებრუნვას. იგი საკმაოდ სცილდება მოგონებებს დედაზე, კონკრეტულ ინდივიდებზე და ფართო ისტორიულ-სოციალურ ფონს წარმოგვიდგენს. პ. ჰანდკე აშკარად მიანიშნებს ფსიქოლოგიური მოტივირების გარკვეულ ეტაპზე, რამდენადაც ის კვალს ტოვებს ინდივიდის ცნობიერებაში. მთხრობელის უშუალო სინამდვილეც ამას ემყარება.

ნაწარმოების პოეტიკაზე საუბრისას მნიშვნელოვანია მისი თხრობის მანერა. Ich-Erzählung ხასიათდება ობიექტური „პოეტური" ხელწერით. მასში მძლავრობს მშრალი, ნეიტრალური, აღწერითი, ე. წ. „პროტოკოლური" თხრობის სტილი, რაც ნაწარმოებს მონოტონურობის დაღს ასვამს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ყოველდღიური სალაპარაკო ენის გამოყენება, მარტივი კონსტრუქციების გამეორება, მოკლე, მარტივი წინადადებების მონაცვლეობა, მეტაფორებისა და ექსპრესიული გამომსახველობითი ფორმების სიმცირე, რომელთა ერთობლიობა, თითქოსდა, დინამიკურობისა და პოეტური აღმაფრენის დაბალ ხარისხს განაპირობებს. თუმცა ყოველივე ამის მიმართ ავტორს თავისი შეხედულება აქვს:

„...ცოტა არ იყოს გაურკვეველია, რაც აქ გარკვეული პიროვნების შესახებ წერია; მაგრამ მხოლოდ ის განზოგადებანი, რომლებიც დაჟინებით უვლიან დედაჩემს გვერდს, (...) შეიძლება სხვა ვინმესაც შეეხებოდეს — ცხოვრების ცვალებადობის მშრალი გადმოცემა უეცარი დასასრულით მხოლოდ კადნიერება იქნებოდა და სხვა არაფერი.

თუმცა ეს განზოგადებანი და ფორმულირებანი იმითაა სახიფათო, რომ ისინი დამოუკიდებლობისაკენ იჩენენ მიდრეკილებას, ავიწყდებათ ის პიროვნება, რომლისაგანაც გამომდინარეობენ — გამოთქმებისა და ფრაზების ჯაჭვური რეაქცია, ვითარცა სიზმრისეული ხილვები, ლიტერატურული რიტუალი, რომელშიც ინდივიდუალური ცხოვრება მხოლოდ საბაბის ფუნქციას ასრულებს.

ეს ორი საფრთხე — ერთი მხრივ, ამბის მშრალი გადმოცემა, მეორე მხრივ, კი პიროვნების უმტკივნეულო გაქრობა პოეტურ ფრაზებში — წერის პროცესს აფერხებს, რადგან ვშიშობ, ყოველი წინადადებით შეიძლება წონასწორობა დავარღვიო. ეს ნებისმიერ ლიტერატურულ საქმიანობას ეხება, განსაკუთრებით ამ შემთხვევაში, როცა ფაქტები ისე ჭარბადაა, რომ გამოსაგონებელი თითქმის არაფერია.

ამიტომაც თავიდან ფაქტებიდან ამოვდიოდი და მათი გადმოცემის ფორმებს ვეძებდი. მერე შევნიშნე, რომ ფორმის ძიებას გადაყოლილი ფაქტებს ვშორდებოდი. მეც ავდექი და ფაქტების ნაცვლად მზამზარეულ ფორმულირებებს, საერთო-საზოგადოებრივ ენობრივ ფონდს მივმართე და დედაჩემის ცხოვრებიდან იმ მოვლენათა შერჩევას მივყავი ხელი, რომლებიც ამ ფორმულებში უკვე გათვალისწინებული იყო, რადგან მხოლოდ მზამზარეული, საზოგადოებრივი ენის მეშვეობით თუ მოხერხდებოდა ცხოვრების მთელი ამ არაფრისმთქმელი ფაქტებიდან ისეთების გამორჩევა, რომლებიც დღის სინათლეზე გამოსვლას იხვეწებოდნენ.

ამრიგად, საერთოდ ქალის ბიოგრაფიისთვის გამოსადეგ განზოგადებულ ფორმულათა მარაგს ფრაზა-ფრაზა ვადარებ დედაჩემის ცხოვრებას; თანხვედრებისა და შეუსაბამობებისგან გამომდინარეობს საკუთრივ მწერლური საქმიანობა. ოღონდ მნიშვნელოვანია ის, რომ მე მშრალ ციტირებას არ მივმართავ; ფრაზებმა, თუნდაც ციტირებულს ჰგავდნენ, ერთი წამითაც არ უნდა დაგვავიწყონ, რომ ისინი (...) განსაკუთრებულ ვინმეს ეხებიან — ისინი მხოლოდ მაშინ იქნებიან ჩემთვის გამოსადეგნი, თუ მათ შუაგულში პიროვნული, ჩემთან დაკავშირებული კერძო საბაბი მყარად და მყუდროდ იქნება მოქცეული".

ავტორი ხაზგასმით საუბრობს მზამზარეულ ფორმულირებებზე დამყარებული, საერთო-საზოგადოებრივი ენობრივი ფონდის არსებობაზე. ამ ენობრივი ფენომენის წარმოშობა შედეგია გასული საუკუნისათვის დამახასიათებელი ადამიანის სულ უფრო მზარდი გაუცხოებისა, ეპოქისა, როდესაც ცივილიზაციამ დასაყრდენი ნივთიერში ჰპოვა და ადამიანის მისწრაფებებიც მას დაუქვემდებარა. უფრო მეტი სიცხადისათვის ისევ მ. ჰაიდეგერს მივმართავთ, მის მიერ აღწერილ სტანდარტიზებულ გარემოს, სტერეოტიპების გარემოცვაში მოქცეულ „მან"-ს, ადამიანს, რომელიც მასობრივი იდეალებისა და ცხოვრების წესის, ნივთიერი ფიქციების ყრუ კედლებში აღმოჩნდა და „მანქანის უსულო დანამატად იქცა". გავლენა იმდენად დიდია, რომ ლექსიკური მარაგი მ. ჰაიდეგერისეული ნეოლოგიზმებით იცვლება. ზმნა vorhanden სეინ (არის, არსებობს, სახეზეა) მ. ჰაიდეგერთან ტრანსფორმირდება ზმნად zuhanden sein (ხელთ ქონა, თან ქონა), რაც გულისხმობს საგანთა არსებობას მათი გამოყენების, ადამიანის სამსახურში ჩაყენების მიზნით. მნიშვნელოვანია ასევე მისეული დას Gestell (აქ: საყრდენი), რომლითაც მ. ჰაიდეგერი თანამედროვე ტექნიკის ძირეულ არსს გამოხატავს. სიტყვა უკავშირდება ზმნას სტელლენ (დადგმა, დაყენება) და გულისხმობს თავად ადამიანის იძულებით ან ნებაყოფლობით ჩადგომას ტექნიკის სამსახურში, მზადყოფნას, იყოს მისი მონა-მორჩილი. საშიშროება კი იმაშია, რომ ასეთი ადამიანი ყოველივე არსებულს Gestell-ის პოზიციიდან აღიქვამს და თვითგადარჩენის უნარს კარგავს. თუმცა საკითხავია, რამდენად გამოხატავს ზემოთ მოხსენიებული კლიშეების ეს სქემატური ენა ადამიანის ფსიქიკური ორგანიზაციისთვის დამახასიათებელ თვისებებს, და ასახავს თუ არა იგი სისხლსავსე ცხოვრებისეულ სინამდვილეს. ამ შეკითხვის საფუძველს ტექსტშივე ვხვდებით იმ სიტყვებთან დაკავშირებით, რომლებსაც მთხრობელის თქმით „...სკოლის მერხიდანვე რაიმე ხელმოსაჭიდთან, რეალურთან ყოველგვარი მიმართების გარეშე გვიჭედავდნენ თავში, როგორც მშრალ ტერმინს, ან თუ ხატოვნად შეეცდებოდნენ, უადამიანო სიმბოლოს გვაჩეჩებდნენ: ჩაგვრა ჯაჭვი იყო ან ჩექმის ქუსლი, თავისუფლება — მთის მწვერვალი, სამეურნეო სისტემა — დამამშვიდებლად მბოლავი ფაბრიკის მილი ან სამუშაოს დამთავრების მაცნე ქარხნის საყვირი, საზოგადოებრივი სისტემა — კიბე...".

ენაში თანაბრად მოიპოვება როგორც აბსტრაქტული, ასევე საგნის კონკრეტული, დეტალებში გამოსახვის შესაძლებლობები. ენის მოდუსის ამ ოპოზიციური წყვილიდან პირველი გულისხმობს აზრის გამოკვეთას ცნების დონეზე, მეორე კი მეტს — აზრის გამოკვეთას სიტყვიერი დიფერენცირების საფუძველზე. ამით პ. ჰანდკე თავის მხრივ ეხმიანება ყოფიერებასთან აზროვნების მიმართების ჰაიდეგერისეულ კონცეფციას და გამოყოფს ენობრივი ცნობიერებისათვის ისეთი პრობლემატური კორელაციის მნიშვნელობას, როგორიცაა სინამდვილე-ენა-ადამიანი. ენა ღია სისტემაა და მისი ლექსიკა მეტყველებიდან შემოსული სიტყვებით მდიდრდება, მაგრამ რას აღწევს მწერალი ამ განზოგადებული ენობრივი ფორმულების მეშვეობით, როგორია ენის კავშირი აზრთან, ადამიანის მოქმედებებთან, ცხოვრებისეულ ხდომილებებთან? რამდენად შეიძლება შეუნარჩუნდეს ადამიანს ასეთი ენობრივი ვითარების პირობებში (ჰანდკესთან ინფინიტივური და ნომინალური ფრაზები, სიტყვა-ცნებები) საკუთარი, ინდივიდუალური იერ-სახისა და სათქმელის გამოხატვის შესაძლებლობები? ენათმეცნიერული თვალსაზრისით ენა არა მხოლოდ კომუნიკაციისა და არსებული ინფორმაციის გადაცემის საშუალება, არამედ ახლის შექმნის ინსტრუმენტიც არის (შდრ. გურამ რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა, თსუ, 1995, გვ. 43). ეს ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ თანაბრად გაცნობიერდეს როგორც მთლიანი ენობრივი ერთობის, ასევე ცალკეული ინდივიდის ენობრივი გამოცდილება. სინამდვილის ფაქტის გარდაქმნა ცნობიერების ფაქტად, მართალია, ინდივიდის დონეზე მიმდინარეობს, მაგრამ ამ ფაქტის ეროვნული ფორმით დამკვიდრება საერთო გონით სივრცეში მაინც ენობრივი ერთობის დონეზე ხდება (იქვე, გვ. 99). გარდა ამისა, „სიტყვა არის არა საგნის ეკვივალენტი, არამედ თვალსაზრისი მის შესახებ" (ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი). ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანს საგანი ეძლევა არა მის მთლიანობაში, არამედ იგი საგნის მხოლოდ ცალკეულ თვისებებს აღიქვამს. ყოველი გამოთქმაც, ერთი მხრივ, ახდენს რა სამყაროს დანაწევრებას, მეორე მხრივ, ადამიანთან კავშირში წარმოაჩენს საგნებისა და ხდომილებების გარკვეულ მდგომარეობებს, კავშირებსა და მიმართებებს. ეს მოსაზრება, ალბათ, მარტივად შეიძლება დავუკავშიროთ ზემოთქმული ფორმულირებების არსებობის საკითხს, რამდენადაც მათში, როგორც ეროვნული საზრისის ქმედებაში, თანაბარი ძალით ვლინდება ცალკეული ინდივიდისა და საერთო-სახალხო გონის ენობრივი ცნობიერების ერთობლიობა.

„უსურვილო უბედურების" ქართული თარგმანი შესრულებულია ახალგაზრდა მთარგმნელის რუსუდან ბრეგაძის მიერ (ჟურნალი „აფრა", 2001, № IX). იგი დამაჯერებელი წარმატებით გადის იმ სახიფათო ზღვარზე, რომლის მიღმაც მის მიერ გამოვლენილი შემოქმედებითი თავისუფლება მწერლური სტილის ხელყოფა იქნებოდა. მთარგმნელი კარგად გრძნობს ავტორის იდეასა და ჩანაფიქრის დეტალებს. ზედმიწევნითი სიზუსტით მიჰყვება მათ, ამჟღავნებს ავტორისეული წერის მანერისა და თხრობის დინამიკის ფაქიზ წვდომას. Ich-Erzählung-ის თავისებურებებზე გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ პ. ჰანდკეს თხზულებები მაინც მხატვრული სიტყვის ოსტატის ხელწერით გამოირჩევა. ობიექტივისტურ თხრობაში იგი ორგანულად განაზავებს კლასიკური პროზის ენისათვის დამახასიათებელ სიტყვებს, ფრაზებსა და მონაკვეთებს. ამ ლირიკული პასაჟების ემოციური შეფერილობა კარგად ავსებს ნაწარმოების სივრცეს და აზრობრივად დატვირთულ ტექსტს; ასევე ავლენენ პერსონაჟის თვისებებს. გვხვდება მონაკვეთები, როდესაც ლირიზმი ერთგვარი რიტმით გამოკრთება. სწორედ ასეთ მონაკვეთებში ვლინდება განსაკუთრებით მთარგმნელის შემოქმედებითი უნარი:

„Gerade die hellichten Tage wurden gespenstisch, und die Umwelt, im lebenslangen täglichen Umgang aus den Kinderalpträumen nach außen geschwitzt und damit vertraut gemacht, geisterte wieder durch die Gemüter als unfaßbare Spukerscheinung".

თარგმანი:

„სწორედ ყველაზე კაშკაშა დღეები გამოდგა შემზარავი. გარესამყარო, ყოველდღიურ ურთიერთობებში ბავშვის კოშმარული სიზმრებიდან გარეთ გამოჟონილი და ამის წყალობით ესოდენ მახლობელი, კვლავ გაკრთებოდა ადამიანთა სულებში, ვითარცა მოუხელთებელი აჩრდილის გამოცხადება".

„ლექსიკა არასდროს არ გვხვდება აბსოლუტური ფორმით. იგი ყოველთვის შემოსილია იმ მიმართებათა სიუხვით, რაც სიტყვის სახეობიდან გამომდინარეობს" (გურამ რამიშვილი..., გვ. 163). ეს თეორიული მოსაზრება დამაჯერებლად ამყარებს იმ პრაქტიკულ დაკვირვებას, რომ ტექსტის მთლიან სტრუქტურაში ყოველთვის რჩება სივრცე სუბიექტური მიდგომისათვის, რომელიც ხორცს ასხამს მთარგმნელის პოზიციას, გასაქანს აძლევს მის ლიტერატურულ გემოვნებასა და კომპეტენციას. საგნობრივი ვითარებისა და სიტყვის შინაარსის თავისებურებათა წარმოსაჩენად კი დასაშვებია როგორც ლოგიკური აქცენტების გადანაწილება წინადადების წევრთა შორის, ასევე გრძნობების გამახვილება. ამ გაგებით თარგმანში გვხვდება კლება-შემატების დიალექტიკაზე დამყარებული მთელი რიგი წარმატებული ლექსიკური ტრანსფორმაციებისა. ხშირია ასევე სემანტიკური კომპონენტების სახით გამოყენებული, ეროვნული შეფერილობის მქონე ჩანართები, რომლებიც ლოგიკით არიან იმპლიცირებული და კონტექსტის სახეობრივ სისტემას სრულყოფენ:

„...und obwohl niemand nach ihr verlangt hatte, fuhr sie wieder nach Berlin" — „...და, თუმცა მისთვის კალთა არავის დაუგლეჯია, კვლავ ბერლინს გაემგზავრა";

„...und lautlos befolgten beide das Pflichtprinzip" — „ჰოდა ორივენი უხალისოდ შეებნენ მოვალეობის უღელში";

„Bis jetzt hatte sie nichts „angenommen", nun wurden die Lebensumstände so kümmerlich, daß sie erstmals vernünftig sein mußte. Sie nahm Verstand an, ohne etwas zu verstehen" — „აქამდე ვერაფერს „მოეკიდა", მერე კი ცხოვრება ისე გაძაღლდა, რომ მას პირველ რიგში გონიერება და წინდახედულება მართებდა. იგი წინდახედულად იქცეოდა, თუმცა წინ ვერაფერს ხედავდა";

„Sie wurde ein neutrales Wesen, ..." — „ნელ-თბილ არსებად იქცა, ...";

„Nun ging ich ... aus ..." — „მეც ავდექი და ... მივყავი ხელი";

„Uns geht es immer noch besser als anderen" — „ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, სხვებმა იკითხონ";

„Spontan leben" — „გულის კარნახით ცხოვრება";

„unselbständige Sengerknaben" — „უმარიფათო მომღერალი ბიჭები";

„Natürlich sind alle diese Begründungen ganz beliebig ..." — „რა თქმა უნდა, ყველა ეს საბუთი ყურით მოთრეულია...".

მთარგმნელი კარგად გრძნობს თხრობის მიკროსტრუქტურას, რაც ამ ტიპის ნაწარმოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. აქ მიკროსტრუქტურა იქმნება ენის წმინდა ლექსიკური ასპექტით და გამოირჩევა აზრის სრულად გამოხატვის მაღალი ხარისხით. ამ მონაკვეთების მარტივი სინტაქსური წყობა სათარგმნელად მაინც არ არის ადვილი. ეს არის ინფინიტივური ან ნომინალური სტილის წინადადებები (განსაკუთრებით დეტალების აღწერისას), რომლებშიც სიტყვები თითქოს მოკლებულია გარეგნულ მხატვრულობას, აკლია სახეობრივი ფერადოვნება. სამაგიეროდ მხატვრული ზემოქმედების მთელი სიმძიმე გადატანილია შინაგანი აზრის სფეროზე, რამდენადაც, სიტყვის ლოგიკური ბირთვის გარდა, ისინი კარგად ითავსებენ სიტყვის კონტექსტუალურ და დამოკიდებულებით მიმართებებსაც. ავტორს გამოყენებული აქვს საგნობრივი ვითარებისა და თვალსაზრისების

▶▶ დასასრული მე-16 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნიკოლოზ ბერიაშვილი

# სამი მესჯულის იგავი: ცხვრისა,მგლისა და არაკეთილი მწყემსისა

ცხვარმა კუნტრუშს უმატა: ბუნების განახლების ჟამი იყო,რომ ზედ პასაკმაც უნია – სრულწლოვანებამა...

თავქარიანების ჯიშისა არ უნდა გამეჩინა, გაცხარდებოდა, ხო ვიცოდი,– იმდუღრება „მწყემსი". ტყისკენ მიიწევ შე უგუნურო,ჩემი ხელით გამოგლადრავ,სანამ მგლის ლუკმა შეიქნები. არც ჩემი,არც იმისი. ცხვარი თუ გაცხარდაო,და აჰა...

განა მეც იმისთვის არ მინდიხარ,რისთვისაც იმ ჩრდილოს ტყისას? მაგრამ მე გასუქე,მაძღარი ცხოვრების ერთი ბედნიერი წელი გაჩუქე,იმან რა – სულ მუქთადა?

ერთი ვერ ნავატანე,რა დროს უმღეროდა დედამისი „თუ გამაჩინე,კიდეც მარჩინეს". სიმღერის ქვეყნიდან ცხვარ-თხის შემოყვანა იქნებოდა?

ჩამოყრილი ფლაერები კი ყველამ ნაიკითხა, არჩევანის უფლება გაქვთო...

მგლის კანონია ეგ შენი უფლებები,უპატრონო ცხვარი მგლისაა... სხვებს გავაგებინე,რო სუსტის თავისუფლება არ არსებობს – ეგ იგივე უპატრონობაა. იმათ კი დავაჯერე- როგორც კი მარტოს დაგიგულებთ,გადაგყლაპავთ,განა ოდესმე სხვანაირად ყოფილა-მეთქი?

არაკეთილმა მწყემსმა იცის,ეს ერთი სულ სხვა მოდგმისაა: როგორც ყველა მისი წინაპარი,ერთი გაკუნტრუშებისთვის თავს ნააგებს. თვალებში უკვე სხივი აქვს ჩამდგარი,სხივი... მესჯულეა, შეენირება ...

სჯულზე ვდგავართ ჩვენაცა,მაშა... პაპის ნაანდერძევი გაახსენდება – ხვიხვინით იცოდა თქმა ბენჯამენმა (1706-1790) – და ფიჩხის გროვას, ზედ საძროხე ქვაბით,ფარეხში წამოკრეფილ ფლაერს შეუნთებდა.

### HOMO SAPIENS
### საპიენს – ჰომო ?!

*„ჯაყო ველურია, პრიმიტივი, უზნეო, სამაგიეროდ, ჯანსაღია. თეიმურაზი უკვე დეკადანსია,მომაკვდავი. რა სჯობია, მდიდარი წარსული და საფლავში დგომა თუ უკულტურო ჯანმრთელობა?"*

***(მიხეილ ჯავახიშვილი. უბის წიგნაკიდან)***

(ინტუიტიურად ნაგრძნობს, სათქმელის ფორმა – სიმწყობრე მიეცა გადაცემაში – „კონტაქტი სივრცეში" ფსიქოლოგ გუგა გრიგოლიას მოსმენის შემდეგ. მისი ხშირი ციტირებით თხრობას არ დავამძიმებ. თუ რამ ჭკვიანური ითქმება – მადლობა მას ეკუთვნის! პატივიც მისი იყოს, თუ იკადრებს ჩვენგან).

ახირებული მსჯელობისთვის, რომ სოფელ ნაშინდარში ბრინკას ჯაყოზე მყნობით დაიბადა ქართული ლიბერალიზმი, მეთოდოლოგიურ კონცეპტად ვირჩევ ინსტინქტს – სიცოცხლის გეშს, თვითგადარჩენისა და გამრავლების ბაზისურ ადამიანურ მოთხოვნილებას. „სიცოცხლე", რომლითაც ყოველდღიურ მეტყველებაში სიტყვა „არსებობას" ვანაცვლებთ ხოლმე, სალვთისმეტყველო ტერმინიცაა, რომელსაც სულიერი ცხოვრების, ღმერთთან მარადიული მყოფობის, უკვდავების მნიშვნელობა აქვს. იმ ეპოქაში – და სხვა კრიზისების დროსაც – რომელშიც ჯავახიშვილის პერსონაჟებს მოუწიათ ცხოვრებამ, სიცოცხლეს (არსებობას) ინსტინქტზე უკეთესი დამცველი არა ჰყოლია. ასეთ რთულ დროსა და ვითარებაში, სულიერების მთელი სისავსე გონივრულობამდე, ერთადერთ ვარგის ჭეშმარიტებამდე დაიყვანება: რაკი დაუბადებელ სულს არ შეუძლია სააქაოს გადააფრინდეს და უმაღლეს მიზანს – სამოთხეს ისე ეწიოს, ხორცზე ზრუნვა ისევ ამ შორეული პერსპექტივისთვის ზრუნვაა და არა რაიმე საძრახისი, ან – ნაკლებ საპატიო! მოკლედ, ერს თუ ინსტინქტი მოეშალა, ამ ქვეყნისა აღარ არის – განწირულია!

ეს შესავალი საჭიროდ ვცანი, რომ „ჯაყოს ხიზნებს" ვინმემ უსამართლოდ ვულგარული მატერიალიზმი არ დასწამოს.

თეიმურაზ ხევისთავს განგებამ ყველაფერი მისცა: ჩამომავლობა, წოდება, ჯიშ-ჯილაგი, ქონება, დრო-ჟამის შესაფერი განათლება; მაგრამ სანეტარო მშვიდობამ და მოცალეობამ (მისი წოდების პრივილეგიამ), თუ მისი ინტელექტი წვართა, სამაგიეროდ, უვარჯიშებელი მაჯა გაუწვრილა და ღონე დაულია. ნიჰილიზმი (ნიჰილ-არარა) – უცნაური სულიერი სნეულება, რომლის პირველი ნიშანი, მარტოობის მოტივის სახით რომანტიზმს დააჩნდა, ცარიელ ადგილს ამზადებს ახალი მოძღვრებისთვის, რომელიც ეჭვის თესლს აპნევს ყველა ხნულსა და ტვინის ყველა ნაოჭში. „პროგრესული იდეები" თეიმურაზის გამოცარიელებული სულის ახალი შინაარსია. ვფიქრობ ,მწერლის საგანგებო მინიშნებაა: მოძულებული სიცოცხლე – თითქოს კისერზე ჩამოკიდებული ძაღლის ლეშივით რომ ყარს – თეიმურაზს აღარ ახრჩობს, როცა საშველად ღმერთი, ლოცვა და ეკლესია ახსენდება. მისი იდეური ბრძოლა თუ რევოლუციური თავგამოდება, ჩაგრულთა რესენტიმენტით ვერ აიხსნება, რადგან მის წოდებას ლონე ჯერ მოსდევს, სახსარი გააჩნია, არისტოკრატულად გულუხვია, ფლანგავს, სხვისი მწყალობელია და მისი რიდიცა აქვთ. არც ის უმწეო გაბოროტებაა რესენტიმენტი, თეიმურაზს მოგვიანებით რომ ეწვევა.

ნახუცარ ივანეს რომ ნამეტნავად ამხიარულებს – ჩემი ნათქვამი ჭკუაში დაგჯდომიაო. იყო კი თეიმურაზი ამსრულებელი, რასაც იქადის: „ასეთი სადღეისო ათი მცნება ჩავიწერე:

სიკეთეს ნუ დათესავ, თორემ ლენცოფა ამოვა.

ვინც ღილი მოგწყვიტოს, ის თავითფეხებამდე გაატიტვლე, ხოლო ვინც არაფერი დაგიშავოს, ის გაატყავე.

მგლებთან მგლობა და ცხვრებთანაც მგლობა".

თეიმურაზის ქადილს მკითხველი ვერ იჯერებს; ვგონებ, არც ავტორს სჯერა – რომელსაც რომანის გაგრძელება ფიქრად ჰქონდა და მინიშნებაც დაგვიტოვა: ხალხის ძალისა და ენერგიის უცილობელ განახლებას, ისევ წუთისოფლის კანონს უნდა ჩაედგა სიცოცხლის წვენი დაუძლურებული ქვეყნისთვის (თეიმურაზის „ახალი მრწამსი" რა დასაჯერებელია, მაგრამ მისი „ფერისცვალების ნიშნები" მაინც ის „სანამყენეა", ურომლისოდაც ბრინკას და ჯაყოს ერთ შთამომავალში მოთავსება სამომავლოდ შეუძლებელი იქნებოდა).

თეიმურაზს ყოველგვარი ალლო ცხოვრებისა, სიცოცხლის გეში, თვითგადარჩენის ინსტინქტი თუ ბიოლოგიური ფუნქციობა მოშლილი აქვს. მწერალი პირდაპირ ამბობს, რომ ის ახალ ცხოვრებას უარს ეუბნება, რეალობას არ იღებს; პრინციპების ახირებული დამცველი, მეუღლეზე ზრუნვის მოვალეობასაც წაუყრუებს; მერე და მერე ხომ მარგო არც ახსენდება, რომელსაც მეუღლის მოვალეობად ისღა რჩება, რომ თეიმურაზის ყბედობისთვის იყოს ყური, ამ სამყაროში ყველაზე ახლოს მის ბაგეებთან ( ბ. ხარანაული, არაზუსტი ციტირება).

ბატონი გუგა, ლიბერალების მიერ სწორედ რეალობის უგულებელყოფაზე, ევოლუციურად ჩამოყალიბებული ადამიანური ბუნების ბაზისურ მოცემულობათა უარყოფაზე ამახვილებს ყურადღებას; მათ იდეოლოგიაში ტრადიციული ოჯახის, მშობლის ავტორიტეტის, სქესის ბუნების არცნობასა და შეგნებულ ამოყირავებას მიუთითებს. ამ ყველაფერს კი ბავშვობის ტრავმებით ხსნის: უასაკოთათვის იმდენად დამანგრეველი რეალობით, რომელიც იძულებულს ხდის მათ, რეალობაზე უარი თქვან, რათა გადარჩნენ; როცა შეიძლება რეალობამ მოგკლას, მაგრამ ტყუილმა გადაგარჩინოს, აი, სწორედ ამ ვითარებაში იკვანძება ბავშვობის ტრავმების მსხვერპლთა მომავალი ცხოვრების სტრატაგემა. მაგრამ ლიბერალთა კლასტერს, მსხვერპლთან ერთად, ბევრი უსინდისოცაა მიტმასნილი, ხოლო პოლიტიკური მიზნებისთვის მთელი ამ წერილფეხობის იდეოლოგიის მახეში გამბლანდავნი, თითებზე დაითვლებიანო – გვეუბნება პატივცემული ფსიქოლოგი.

ნიჰილზმი საერთო აქვთო, მაგრამ თეიმურაზს არც ბავშვობის ტრავმები ჰქონია, მერე ასეთი ძაღლივით ერთგული, გულწრფელი, გაუბედავი, თავის თავში შეეჭვებული, ბრიყვი, უანგარო, ქართველ ლიბერალებს წინაპრად როგორ ერგებაო – იკითხავს მავანი.

აი, აქ და ახლა დაგვჭირდა ჯაყოს გენები იმის ასახსნელად, თუ საიდან ქართველ ლიბერალებს დამალული ლოჯი, ფარული აგრესია, მშიშრობა, ცბიერება, ფულის – თანაც სხვისი ნაოფლარის სიყვარული, და, საერთოდ, ამდენი დაუმცხრალი ნდომანი...

სწორედ ესაა დამაბნეველი, რომ ერთში თუ ინსტინქტი მოშლიათ, სხვა რამეში ხვეჭისა და ტაცების დაუმცხრალ ჟინს ავლენენ. ჯაყოსნიც არიან და ბრინკასნიც! ისევ პატივცემულ ფსიქოანალიტიკოსს დავესესხები: „დღევანდელი ეპოქის გამოწვევაა, რომ ადამიანების უდიდესი ნაწილი თვითგადარჩენას ახდენს რეალობის უარყოფის ხარჯზე. ოღონდ სადავოა, ეს არის პერვერსია თუ ადაპტაციის სპეციფიკური ფორმა, რომელიც დროებით იღებს პერვერსიის სახეს, იმისათვის, რომ ადამიანმა შეასრულოს თავისი საბოლოო დანიშნულება გადარჩენა-გამრავლებისა".

აგაშენა ღმერთმა, ბრინკას ჯაყოზე მყნობით გადავრჩენილვართ და ეგაა! საქმის ასე მოტრიალებას ვინ იფიქრებდა?!

**P.S.** ნიკო გომელაურის მზის სხივივით ფრაზა მახსენდება, რომელიც ორი პოსტმოდერნისტი ადაპტანტის – ჯამლეტას და ჯონდოს – მხიარულ მაყარში ყველას თავს გვიყრის ქართულადა, ყველაფრის მიუხედავადა...

ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა...

ჰომო საპიენს!

ბიჭია, ბიჭო!

---

# მოთხრობა დედაზე

▶▶ მეთხუთმეტე გვერდიდან

შემცველი ისეთი თხრობითი წინადადებები, რომლებიც სიტყვათა სივიწროვის პირობებში აზრის სიფართოვეს ავლენენ. ფართოა ასევე ამ თხრობითი წინადადებების დიაპაზონი. გვხვდება მოვლენის, მოქმედების, პოზიციისა და ოპოზიციის გამომხატველი წინადადებები. ღრმა ინფორმაციის შემცველ და ფორმულის გამომსახველობამდე დაყვანილ ამ წინადადებებში მაინც გამოკრთის რიტმულმელოდიური ელემენტები, რომლებიც ათვალსაჩინოებენ კიდეც აზრის დანაწევრებას.

მთარგმნელი განსაკუთრებული სიზუსტით იცავს ავტორის სტილს, რადგანაც წინადადების მოდელის შესატყვისი ზმნების გარდა მათში თავს იყრიან ის სიტყვიერი დეტალები, რომლებიც შინაგანი დინამიკით აღბეჭდილ ემოციურ ჯგუფებს ქმნიან. ზოგიერთი ამ სიტყვათაგან, წარმოადგენს ინდივიდუალური ღირებულებითი სიდიდის მქონე ერთგვარ აზრობრივ „თაურსიტყვას" (Sinnwort), რომელთა ველშიც ყალიბდება კოლორიტული შეფერილობის მქონე მიკროკონტექსტი და იქმნება ტექსტის გრძნობად-გონითი მთლიანობის გამომხატველი ენობრივი ხატი:

„Keine Angst, außer die kreatürliche im Dunkeln und im Gewitter; nur Wechsel zwischen Wärme und Kälte, Nässe und Trockenheit, Behaglichkeit und Unbehagen. Die Zeit verging zwischen den kirchlichen Festen, Ohrfeigen, für einen heimlichen Tanzbodenbesuch, Neid auf die Brüder, Freude am Singen im Chor. Was in der Welt sonst passierte, blieb schleierhaft; Die Sonntage: das gekochte Rindfleisch mit der Meerrettichsoße, das Kartenspiel, das demütige Dabeihocken der Frauen, ein Foto der Familie mit dem ersten Radioapparat. Regen – Sonne, draußen – drinnen: die weiblichen Gefühle wurden sehr wetterabhängig, weil „Draußen" fast immer nur der Hof sein durfte und „Drinnen" ausnahmslos das eigene Haus ohne eigenes Zimmer".

თარგმანი:

„არავითარი შიში, გარდა სიბნელისა და ჭექა-ქუხილის ცხოველური შიშისა; მხოლოდ სითბოსა და სიცივის, ნესტისა და სიმშრალის, სიმყუდროვისა და უსიამოვნო განცდის მონაცვლეობა. საეკლესიო დღესასწაულები, გასილაქება საცეკვაოდ გაპარვის გამო, შური ძმების მიმართ, გუნდში გალობით მოგვრილი სიხარული — და დრო გადიოდა. ქვეყნიერების ამბები ბურუსით მოსილი რჩებოდა; ... კვირა დღეები: მოხარშული საქონლის ხორცი პირშუშხას საწებლით, კარტის თამაში, იქვე თვინიერად ჩამომსხდარი ქალები, ოჯახის ფოტოსურათი, პირველ რადიომიმღებთან გადაღებული. წვიმა — მზე, გარეთ — შიგნით: ქალური გრძნობები ძალიან იყო დამოკიდებული ამინდზე, ვინაიდან „გარეთ" თითქმის ყოველთვის ეზო უნდა ყოფილიყო, ხოლო „შიგნით" — საკუთარი სახლი საკუთარი ოთახის გარეშე".

„...anders gab es ja nicht. Selten wunschlos und irgendwie glücklich, meistens wunschlos und ein bißchen unglücklich" — „მიედინებოდა ცხოვრება: იშვიათად — უსურვილო და რაღაცნაირად ბედნიერი, ხშირად — უსურვილო და ცოტათი უბედური".

წინადადებისათვის „Ohrfeigen, für einen heimlichen Tanzbodenbesuch" ამოსავალია არსებითი სახელი სილა (ან სილაქი). ქართულ ენაში უამრავი შესიტყვება არსებობს მის სათარგმნელად: სილა გააწნა, სილა სტკიცა, სილა გაარტყა, ასევე სასაუბრო ფორმა — სილა აჭამა. მთარგმნელი შეგნებულად არიდებს თავს ყველა ამ შესაძლებლობას, ითვალისწინებს პერსონაჟის ყოფით გარემოს და იყენებს კონკრეტული ენობრივი სოციუმისათვის უფრო შესაფერის ფორმას, ზმნური მოქმედების არსებით სახელს — გასილაქება. სწორედ ეს ფორმაა დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული, რადგან გამოხატავს არა ერთჯერად შემთხვევით აქტს (დედანშიც სიტყვის მრავლობითი რიცხვი გვაქვს), არამედ გარკვეულ ქმედებას, რიტუალს, რომლითაც მშობლების დაუკითხავად ცეკვებზე გაპარული ბავშვები ისჯებიან; ამასთანავე მოიცავს დამატებით, ესთეტიკურ ასპექტს.

ტექსტის დინამიკურობისა და გრძნობად-გონითი მთლიანობის ბმულობას ემსახურება მთარგმნელისეული ხერხი, ინფინიტივური ქცევა ან ვნებითი ფორმა წარმოადგინოს მე-2 პირთან საუბრის ფორმით:

„Als Frau in diese Umstände geboren zu werden, ist von vornherein schon tödlich gewesen. Man kann es aber auch beruhigend nennen: jedenfalls keine Zukunftsangst".

თარგმანი:

„ასეთ გარემოში ქალად თუ დაიბადებოდი, თავიდანვე დასაღუპავად იყავი განწირული. თუმცა, მეორე მხრივ, შეგეძლო დამშვიდებულიც ყოფილიყავი: მომავლის შიში მაინც არ გექნებოდა".

როგორც პირველ პირში მოთხრობილი ტექსტი, ნაწარმოები წერილობით კონსტრუირებული მონოლოგის თვისებებსაც ამჟღავნებს. მთხრობელი ან თავად არის ხდომილებათა თვითმხილველი, ან ყველაფერი დედისაგან აქვს მოსმენილი. მთხრობელის პოზიციის შესაბამისად იგი შეიძლება მივაკუთვნოთ ვერდიქტული (განსჯითი, შეფასებითი) ხასიათის ტექსტს, რომელშიც ცხადად იკვეთება კოლექტიურ-ინდივიდუალური და ოფიციალურ-პირადული ხდომილებები. ტექსტის გააზრება მრავალ საფიქრალს აჩენს, მაგრამ აშკარაა, რომ ყოველივე ამას მთხრობელი მოვლენათა გადაფასებამდე არ მიჰყავს. უფრო მეტიც, ტექსტის ფინალური ნაწილის წყვეტილი მოგონებები, ჩანაწერები თუ დაკვირვებები ცხადყოფენ, რომ იგი დედის ცხოვრებაზე საუბრისას ბოლომდე ნეიტრალური რჩება და მკითხველს პირობას აღუთქვამს: „მოგვიანებით ყოველივე ამას უფრო გამოწვლილვით აღვწერ".

არ გამოვრიცხავთ, რომ „უსურვილო უბედურება" ქართველი მკითხველისთვის სხვა კუთხითაც საინტერესო აღმოჩნდეს. ავტორი ქართველი ერისათვის წმინდათაწმინდა ფენომენს, დედას ეძღვნება. განსხვავებით დედის თემაზე შექმნილი ქართული ნაწარმოებებისაგან, პეტერ ჰანდკეს მოთხრობა დედის აპოლოგია არ არის. ქართულ განცდასთან შედარებით ის აშკარად ნეიტრალურია. შესაძლოა ეს შედარება არც მოგვეყვანა, რომ არა ცნობილი ფრანგი მწერლის ალბერ კამიუს გახმაურებული რომანი „უცხო"(„L'Etranger", 1942). თავს ავარიდებთ ამ ნაწარმოებთა შეპირისპირებით ანალიზს და მხოლოდ ზოგადი პერსპექტივის თვალსაზრისით გავიაზრებთ დედის ფენომენთან დაკავშირებულ, ცალკეული ინდივიდისა თუ ეროვნული კოლექტივისათვის ნიშანდობლივ მახასიათებლებს. ამ მცირემოცულობის რომანით ალბერ კამიუ მკითხველს აბსურდის გარემოში მოაქცევს და თავისი მელანქოლიური და უგრძნობი პერსონაჟის, მერსოს ამბავს მოუთხრობს. თხრობა აქაც პირველ პირში ვითარდება და სტილური ხელწერაც მსგავსია. მერსოს ბუნება, ისევე, როგორც თხრობის მანერა, თანდათანობით, ნაწილობრივ, იცვლება, მაგრამ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია მისი დამოკიდებულება დედის მიმართ, რომელიც სრულიად განსხვავებულ განზომილებას იძენს:

„დღეს დედა მოკვდა. ან იქნებ გუშინ, არ ვიცი. თავშესაფრიდან დეპეშა მივიღე: „დედათქვენი გარდაიცვალა. გულითადად გისამძიმრებთ". ეს არაფერს ნიშნავს. შეიძლება გუშინ იყო" (ალბერ კამიუ, „უცხო", გამ, „აგორა", 2012, გვ. 5).

ხანდაზმული მშობლების მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრება დღეს არც ჩვენთვის არის უცხო მოვლენა, მაგრამ განსხვავება მდგომარეობს მათი მონახულების ინტენსიურობასა და, ზოგადად, იმ დისტანციაში, რომელიც მშობელთა და შთამომავალთა ურთიერთობაში წარმოიქმნება. ალბერ კამიუ თავისი პერსონაჟის ინდიფერენტულ განწყობას კიდევ უფრო აძლიერებს შემდგომი ქმედებების აღწერით — მერსოს ცრემლი არ დასცდენია, მორგში მარტო ვერ რჩება, კონსიერჟს კუბოს არ ახსნევინებს, დედის მისთვის უცნობი მეგობრები რომ არ მოსულიყვნენ, ღამესაც არ გაუთევდა, არც დედის ასაკი იცის ზუსტად. უჩვეულო ვითარება დაკრძალვის შემდეგაც გრძელდება — მეორე დღესვე კომედიური ფილმი ნახა და არც სასიყვარულო ავანტიურაზე თქვა უარი. ამის კვალობაზე არც თავშესაფრის დირექტორის სიტყვები გვიკვირს, მერსოს რომ მიახალა:

„აქ იგი უფრო ბედნიერი იყო" (ალბერ კამიუ, „უცხო", გვ. 8).

დედისადმი დამოკიდებულების არაერთგვაროვნება ლიტერატურულ ნაწარმოებებში პერსონაჟთა ცხოვრებაზე აირეკლება, მაგრამ ამ მახასიათებელთა განსხვავებული გრადაცია, მეტ-ნაკლებად, ერის კულტურისა და ყოფა-ცხოვრების საერთო წესსაც გამოხატავს. ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ მათ მაგალითზე, გარკვეულწილად, ინდივიდისა და თვით ერის კულტურული იდენტობის ხარისხი და მისი შენარჩუნების პერსპექტივის შესაძლებლობაც წარმოვიდგინოთ. დღეს ლიტერატურათაშორისი დიალოგი კულტურათაშორისი დიალოგის ფარგლებში განიხილება და თარგმნილი ტექსტის ერთ-ერთი ფუნქცია ისიც არის, უცხო, მაგრამ შესაძლო სინამდვილის მოდელი დაგვანახოს.

---

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მეტრეველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დემეტრაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბელა გველესიანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **ვოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს"
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG0000000161665862

**გამოდის 2 კვირაში ერთხელ**

დაბეჭდილია შპს „საარის" სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე მღვდლის 57

ISSN 2720-8540

ზანდუკელის# 1;ტელ.:2936977E-Mail:litsaqartvelo@yahoo.com

**არა რუსულ კანონს!**
**კი ევროპას!**